# ლელო

№034 (12 411)

12 თებერვალი სამშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიცი, რომ მთავარი თამაში რუსეთთან გვექნება

## კარგი იქნება, თუ მსოფლიო თასამდე არავისთან წავაგებთ!

ინტერვიუ ტიმ ლეიინთან 11

მეტოქე. ირლანდია

# საქართველოში ტრაპატონი ჩამოდის

## სექტემბერში, ირლანდიასთან: ტოპი VS ტრაპი

არ წყდება სპეკულაციები **ჯოვანი ტრაპატონის** ირლანდიის ნაკრებში დანიშვნის თაობაზე. გუშინ ირლანდიურმა გამოცემამ, "აირიშ ეგზამინერმა" ამ თემას კიდევ ერთი სტატია მიუძღვნა. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაცია კომენტარებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ გუშინ მასაც მოუნია აღიარება: სამკაციანი კომისია, რომელიც საგანგებოდ, მთავარი მწვრთნელის მოსაძებნად შეიქმნა, რეკომენდაციას იტალიელ მაესტროს უწევს. ირლანდიელებმა ყოფილი თავკაცი **სტივ სტონტონი** ოქტომბერში დაითხოვეს. მან გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა. სტონტონის წასვლიდან თითქმის ხუთი თვე მიიწურა. ასოციაციამ კი მისი შემცვლელი დღემდე ვერ იპოვა. 6 თებერვალს, დუბლინში, ირლანდიელებმა ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩი გამართეს. მათი გუნდი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **დონ გივენსმა** მოამზადა. ბრაზილიელებმა მეორე შემადგენლობით მინიმალურად გაიმარჯვეს. გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ 26 მარტის ამხანაგური მატჩისათვის ირლანდიას სრულფასოვანი დამრიგებელი ეყოლება.

ტრაპატონი ავსტრიულ "რედ ბულში" მოღვაწეობს. გასულ სეზონში მისი გუნდის ქვეყნის ჩემპიონი გახდა. მაესტრომ მეოთხე ქვეყნის პირველობა მოიგო. აქამდე ტრაპს იტალიის ("ინტერი", "იუვენტუსი"), გერმანიის ("ბაიერნი") და პორტუგალიის ("ბენფიკა") ჩემპიონატები ჰქონდა მოგებული. "აირიშ იგზემინერი" იუწყება, რომ ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის თავმჯდომარე **ჯონ დელენი** პირადად გაემგზავრება ზალცბურგში იტალიელ მწვრთნელთან შესახვედრად. ის სინიორ ჯოვანის ორწლიან კონტრაქტს და წელიწადში 2.91 მილიონ დოლარს შესთავაზებს. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ნაკრების დამრიგებლის საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება.



# ირლანდიას ტრაპს შეუყენებენ

# ვინ შემოსავს ნაკრებს

## ახალი ვარიანტი: უმბრო

UMBRO

ვინ შემოსავს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს მომავალ შესარჩევებში? თემას აქამდეც შევეხეთ და გამცნეთ, ფეხბურთის ფედერაცია იტალიური "დიადორის" გარდა პოტენციურ პარტნიორად გერმანულ "ადიდასსა" და "იაკოს" რომ მიიჩნევს. თუმცა, როგორც შევიტყვეთ ამ ვარიანტებს კიდევ ერთი დაემატა – ინგლისური "უმბრო".

"სანქტ პეტერბურგში ვიზიტისას საუბარი გვქონდა "უმბროს" წარმომადგენლებთან. მათ გარკვეული პირობები შემოგვთავაზეს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ვჩქარობთ.

თებერვლის ბოლოს, სავარაუდოდ 25-ში მილანში "დიადორის" ხელმძღვანელობას შევხვდებით. მათი პირობებიც გვაინტერესებს. ამას გარდა, მოლაპარაკებები გვაქვს გერმანულ "ადიდასთან" და "იაკოსთანაც". ასე რომ ეს 4 ვარიანტია და მათგან საუკეთესოს შევარჩევთ", - ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

**დავით ცაბაძე**

ნაკრები გუნდები

# ერთი ტოპმიოლერი რჩება, მეორე მიდის

**კლაუს ტოპმიოლერის** ეროვნული ნაკრების თავკაცად დარჩენის საკითხი გადაწყვეტილია. ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **პეტარ სეგრტს** მოქმედი კონტრაქტი აქვს და მისი საკითხი ამ ეტაპზე არც განიხილება. აი ის კი გასარკვევია ვინ უხელმძღვანელებს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს. წინასწარი ინფორმაციით ამ გუნდებს **ჰერბერტ ცანკერი** და **ჰაინც ტოპმიოლერი** აღარ გაწვრთნიან. გავრცელებულ ცნობათა თანახმად, 17-წლამდელებს **გელა შეყილაძეს** ჩააბარებენ, 19-წლამდელებს კი **ზაურ სვანაძეს**. თუმცა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები მოვლენათა ასეთ განვითარებას ჯერ არ ადასტურებენ და ამ ვარიანტს ერთ-ერთ უწოდებენ.

"გადაჭრით ვერაფერს გეტყვით თუ ვინ იქნებიან ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელები. ამ პოსტებზე გელა შეყილაძისა და ზაურ სვანაძის ვარიანტები მართლაც განიხილება. თუმცა ეს მხოლოდ სავარაუდო ვარიანტია და ამ საკითხზე ჯერ კიდევ მიდის მსჯელობა. ამ ეტაპზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ჭაბუკთა ნაკრებებს ქართველი მწვრთნელები უხელმძღვანელებენ. თებერვლის ბოლოს გვინდა აღმასკომის სხდომის ჩატარება და ნაკრები გუნდების მწვრთნელებიც იმ სხდომაზე დამტკიცდება", - გვითხრა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**



ჰერბერტ ცანკერი



ჰაინც ტოპმიოლერი



დავით სირაძე

ჩვენთვის სანდო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ უახლოეს დღეებში, სავსებით შესაძლებელია, ნალჩიკის "სპრატაკში" მესამე ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხოს. საუბარია მეორე ბუნდესლიგის "პადერბორნისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელ **დავით სირაძეზე.**

დათო ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს კლუბის ხელმძღვანელობასთან. მას "პადერბორნიდან" წამოსვლა გადაწყვეტილი ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე ჰქონდა. მაშინ დათომ სინანულით აღნიშნა, რომ იქ გადასვლა მისი შეცდომა იყო - გაცილებით ამბიციური კლუბში მოხვედრა მინდოდა და ვიჩქარეო. სავარაუდოდ, სირაძე "სპარტაკთან" კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს.

# დავით სირაძე ნალჩიკის სპარტაკში

## ამისულაშვილმა ყაბარდოელებს მოაგებინა

ნალჩიკის "სპარტაკი" ამჟამად მოსამზადებლად ესპანეთშია და "ლა-მანგას" საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

გუშინ ყაბარდოელებმა ნორვეგიის კლუბ "ლილესტრომს" ტურნირის ნახევარფინალში 3:1 მოუგეს. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფეხბურთელებმა. **ალეკო ამისულაშვილმა** 89-ე წუთზე მეორე ბურთი ნორვეგიელთა კარში თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა. ამ დროისთვის 1:1 იყო. ამის შემდეგ ნალჩიკელებმა ფსიქოლოგიური უპირატესობამოიპოვეს, გაილაღეს და მოწინაალმდეგეს მესამე ბურთიც გაუტანეს. ზეგ ფინალში "სპარტაკი" დონეცკის "შახტიორს" დაუპირისპირდება.

ისევე როგორც ალეკო ამისულაშვილი, **გოგიტა გოგუაც** "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **იური კრასნოჟანმა** ძირითად შემადგენლობაში დააყენა. გოგუა მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. თამაში დაძაბულად მიმდინარეობდა და მსაჯს ორივე გუნდიდან მოუხდა ფეხბურთელებისთვის წითელი ბარათის ჩვენება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ამერს დოლიძე დაუბრუნდა

გრიგოლ დოლიძე, რომელსაც ტრავმის გამო სამი კვირა გაუცდა, "ამერის" შემადგენლობაში გუშინ გამოჩნდა. გლდანელები საკონტროლო მატჩში პირველლიგელ "ჩიხურას" უგოლოდ დაუზავდნენ. თამაში არცთუ სანახაობრივი იყო, "ამერის" შემადგენლობიდან საგოლე შანსები ჩიკვილაძესა და გოცირიძეს ჰქონდათ, საჩხერელთაგან კი მიქაძესა და პეტრიაშვილს.

ამერი: ნადირაშვილი, მესხი, დავითნიძე, ჩიკვილაძე (61. ელბაქიძე), დიდავა, დობროვოლსკი (63. კაკაშვილი), დეკანოსიძე (73. ხუციძე), სილაგავა, დოლიძე (64. შალამბერიძე), დავითაშვილი, რ. გოცირიძე (61. ჩიმაკაძე).

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ბარაბაძე, ხურცილავა, ზივზივაძე, როგავა (60. ჩიკვაიძე), ჭილაძე (87. ჭიტაძე), ნოზაძე, დოლონაძე, მ. მიქაძე, პეტრიაშვილი (85. ენუქიძე).

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ყველაშვილი ვიტ ჯორჯიაში და ფრე ბელარუსებთან

ახალგაზრდა მცველი **ამირან ყველაშვილი** კარიერას "ვიტ ჯორჯიაში" გააგრძელებს. იგი მოლდოვური "შერიფის" საკუთრებაა, თუმცა მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი "ბორჯომის" შემადგენლობაში ჩაატარა, სადაც ზოგჯერ თავდამსხმელის ფუნქციებსაც კი ასრულებდა ხოლმე.

ყველაშვილი ვეტერინარებს პირდაპირ თურქულ შეკრებაზე შეუერთდა და გუშინ "ჯორჯიას" შემადგენლობაში დებიუტიც ჰქონდა. **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა ბელექში ბრესტის "დინამოსთან" ფრედ, 0:0 ითამაშა.

"ვიტ ჯორჯიას" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას ქართველი ფეხბურთელები ფლობდნენ, მაგრამ მეტოქის კარის ალების რამდენიმე რეალური შანსი გაუშვეს ხელიდან.

"ვიტ ჯორჯიამ" ბელარუსებთან ამ შემადგენლობით ითამაშა:

**ბედიაშვილი, ბეჭვაია, ლომაია (46. ყველაშვილი), ა. კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე (46. მაისაშვილი), ლუჭაშვილი (72. ლიპარტია), ბ. ცხადაძე (54. ბერიაშვილი).**

მომდევნო საკონტროლო შეხვედრას ვეტერინარები 14 თებერვალს, ასევე ბელარუსულ "ნემანთან" ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ამირან ყველაშვილი

გახსენი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# ციურიხის პრეზიდენტს ივანიშვილის ეიმედება



გიორგი ივანიშვილი

უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ერთ ჯგუფში მოუწიათ თამაში მოსკოვის "სპარტაკსა" და შვეიცარიულ "ციურიხს". ჰოდა რუსმა ჟურნალისტებმაც ისარგებლეს შემთხვევით და მატჩის წინ შვეიცარიელთა პრეზიდენტ **ანჩელო კანეპას** ინტერვიუ ჩამოართვეს. ერთ-ერთი კითხვა რუსულ ფეხბურთს შეეხებოდა და კანეპამ ქართველებზე ისაუბრა. სამი თვის წინანდელი ამბავი რუსებმა ახლაც გაიხსენეს და დღევანდელი მატჩისთვის (მარსელი-სპარტაკი) მიძღვნილ სტატიაში კანეპას სიტყვები გამოაქვეყნეს.

*"რუსულ კლუბების თამაშს მხოლოდ ევროთასებზე ვადევნებ თვალს. თუმცა კლუბში მყავს ხალხი, რომელთაგანაც რუსულ ფეხბურთზე გარკვეული წარმოდგენა გამაჩნია. "ციურიხშია" გიორგი ივანიშვილი, რომლსაც ძალიან დიდ იმედებს ვუკავშირებ. გიორგი ჩვენს დუბლებში თამაშობს და მჯერა, მალე დიდი ასპარეზზე გააცნობს თავს ყველას. დიდი ხანია მიხეილ ყაველაშვილთან ვმეგობრობ და მასთან დღემდე მჭიდრო ურთიერთობები მაკავშირებს."*

შეგახსენებთ, რომ 18 წლის **გიორგი ივანიშვილი** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი და "ციურიხის" დუბლების ერთ-ერთი ლიდერია. ის დუბლებში შარშან მესამე გუნდიდან გადაიყვანეს, სადაც 16 გოლით და 18 საგოლე გადაცემით ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელი გახდა.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ბოლქვაძე

# ბოლქვაძემ სიმურგში გაიტანა

ზაქათალის "სიმურგში" სულ ახლახანს გადასულმა **დავით ბოლქვაძემ** თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. ექს-ამერელმა ამხანაგურ შეხვედრაში "გაბალას" კარი დალაშქრა. შეგახსენებთ, "გაბალას" რიგებში **თორნიკე აფციაური** ასპარეზობს, ბოლქვაძე კი "სიმურგში" მიმდინარე სეზონის ბოლომდე იჯარით ითამაშებს.

# როგორ აღმოჩნდა ნიკურაძე სომხეთში?

## თავგადასავალი ქართული სიუჟეტით

**ფინეთის პირველი ლიგის ლიდერი "როპსი" ვეიკაუს ანუ უმაღლეს ლიგაში გადავიდა და იქ მოთამაშე ქართველ მეკარეს გიორგი ნიკურაძეს უფრო მაღალ დონეზე თამაშის შესაძლებლობა მიეცა. საქართველოში ორი წლის წინათ დაბრუნებული, მერე კი უკან, ფინეთში წასული მეკარისთვის ეს შანსი იყო, ფინელებისთვის უმაღლეს დონეზე შეეხსენებინა თავი.**

**ამ დროს, ყველასათვის მოულოდნელად, გიორგიმ კლუბი დატოვა, ფინეთიდან წამოვიდა და სომხეთში აღმოჩნდა - მისი გვარი "თანამეგობრობის თასზე" ერევნის "ბანანცის" განაცხადში აღმოვაჩინეთ.**

**გიორგი ნიკურაძე ამჟამად თბილისშია და ინტერვიუ ჩამოვართვით.**

**- გიორგი, თვალებს ვერ ვუჯერებდით, როდესაც "ბანანცის" განაცხადში ამოგიკითხეთ. ფინეთიდან სომხეთში როგორ აღმოჩნდი?**

- მე ფინეთში, "როპსში" განათხოვრებით ვთამაშობდი, იჯარის ვადა დამისრულდა და ჩემდა, სამწუხაროდ, წამოსვლა მომიხდა.

**- გუნდმა სხვა მეკარე შეიძინა?**

- არა, მეკარე ჩემი წამოსვლის შემდეგ იყიდეს. არათუ გაშვებას, გაცილებით უკეთეს კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ჩემი დარჩენა ვერ მოხერხდა. ზუსტ მიზეზებს ვერ გეტყვით. მე არ მომითხოვია ზღაპრული პირობები და მოლაპარაკებაც ჩემი მიზეზით არ ჩაშლილა. უმაღლეს დივიზიონში თამაში ჩემი სურვილი იყო, მაგრამ ამის საშუალება აღარ მომეცა.

**- მიზეზები გაუგებარია...**

- ჯერ ამაზე საუბარი არ მსურს, ბოლომდე მეც ვერ გავერკვიე რა მოხდა. მალე ყველაფერი გაირკვევა და იმედია, ახალ გუნდში გადავალ. სხვათა შორის, "როპსამდე" კიდევ ოთხი გუნდი მიწვევდა. მაშინ "ტპ-47"-ში გამოვდიოდი. მე პირველი დივიზიონის ლიდერი "როპსი" ამოვირჩიე, რადგან საქართველოს შემდეგ, ხელახალი ადაპტაცია მჭირდებოდა. თანაც, გუნდი ჩემ ყოფილ ქალაქთან ახლოს იყო. იმ ქალაქის ახლოს, ლეგენდების მიხედვით, სანტა-კლაუსი ცხოვრობდა. მაგარი ადგილია, წყნარი, კომფორტული, "სანტაპარკი" ჩემი სახლიდან ორ კილომეტრში მდებარეობდა. გადავედით ვეიკაუს ლიგაში და წამოსვლა მომიხდა.

**- ახალ გუნდში გადავალო თქვი. ეს როგორ მოხერხდება, "ბანანცში" ხომ ჩაირიცხე?**

- არა, იქიდან უთამაშებლად წამოვედი. სომხების ვიცე-პრეზიდენტმა დამირეკა, წამოდი და "თანამეგობრობის თასზე" დაგვეხმარეო. პირობებზე არც გვისაუბრია და როდესაც პეტერბურგში ჩასულს ყველაფერი გამომკითხა და ვუთხარი, ჩემში საკომპენსაციო თანხაა საჭირო-მეთქი, უარი მითხრა. არადა, მწვრთნელს გადაწყვეტილი ჰქონდა მეორე შეხვედრაში დავეყენებინე.

**- ახლა რას აპირებ?**

- ირანში მიწვევდნენ, მაგრამ ესეც ვერ გამომივიდა. ვიზაც აღებული მქონდა, მაგრამ აგენტმა დამირეკა, პორტუგალიელი მეკარე ჩამოიყვანესო და მომიხდა თბილისში დარჩენა.

**- უგუნდოდ დარჩი?**

- დავრჩი და ალბათ, ზაფხულამდე ასეც იქნება. იქნებ, მერე მაინც გამოჩნდეს რაიმე ვარიანტი. თუმცა იმედი დღემდე არ გადამიწურია, რომ მანამდეც საინტერესო წინადადებას მივიღებ.

ახლა ინდივიდუალურად გუბაზ დოლიძესთან ვავრჯიშობ და ვცდილობ, ფორმა მინიმალურად მაინც შევინარჩუნო.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ნიკურაძე

# ფარცვანიამ კიევში ითამაშა

კიევის "დინამოს" დუბლშემადგენლობა კვიპროსში **გენადი ლიტოვჩენკოსა** და **იური კალიტვინცევის** ხელმძღვანელობით ემზადება. უკრაინული კლუბი ამხანაგურად ბულგარეთის უმაღლესდივიზიონელ "ვიხრენს" შეხვდა და 2:1 მოუგო.

საქართველოს მოქალაქე **თემურ ფარცვანიამ** ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ბულგარელებთან შეხვედრით, კიეველებმა კვიპროსში შეკრება დაასრულეს და უკრაინის დედაქალაქში დაბრუნდნენ.

ფარცვანია 18 წლისაა და სანამ მოქალაქეობა არ შეუცვლია, ეგებ ჩვენი იუნიორთა ნაკრების ხელმძღვანელები დაინტერესებულიყვნენ მისით.

**მერაბ მამულაშვილი**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



ლევან გვაზავა

# ველით მენეჯერს

## ახალგაზრდა ქართველები პორტუგალიელ მენეჯერს ელოდებიან

ცოტა ხნის წინათ ვწერდით პორტუგალიური გრანდი, ლისაბონის „ბენფიკა" საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრებით **ბაქარ მირცხულავათი და ნიკა ძალამიძით** რომ დაინტერესდა. ფეხბურთელებმა „ბენფიკას" 17-წლამდელთა გუნდში ორკვირიანი სინჯები გაიარეს და მწვრთნელებს თავიც მოაწონეს. მოკლედ, პორტუგალიელებმა ქართველების გუნდში აყვანა გადაწყვიტეს. მირცხულავა და ძალამიძე „ბენფიკას" იანვრის ბოლოს უნდა შეერთებოდნენ, თუმცა ისინი ჯერაც საქართველოში იმყოფებიან. ვითარებაში გასარკვევად ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილ ფეხბურთელს ბაქარ მირცხულავას დავუკავშირდით.

**- პორტუგალიში იანვრის ბოლოს უნდა გამგზავრებულიყავით და კონტრაქტი გაგეფორმებინათ, თქვენ კი ჯერაც ქუთაისში იმყოფებით. რა ხდება, ტრანსფერი ხომ არ ჩაშლილა?**

- არა, ყველაფერი რიგზეა. „ბენფიკა" დაინტერესებულია ჩვენი აყვანით, უბრალოდ, რაღაც იურიდიული საკითხებია მოსაგვარებელი და ამან გამგზავრების პროცესი გააჭიანურა. ევროპაში სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვარს დაიხურა, თუმცა ეს 17-წლამდელთა გუნდებს არ ეხებათ და ჩვენც უპრობლემოდ შეგვიძლია კონტრაქტის გაფორმება. ამ პროცესს ცოტა დრო სჭირდება.

**- პორტუგალიაში როდის მიემგზავრებით?**

- როგორც გვითხრეს, „ბენფიკას" მენეჯერი თბილისში ჩამოვა და ხელშეკრულებას აქვე გავაფორმებთ. კონტრაქტის ხანრძლივობაზე ჯერჯერობით არაფერი ვიცი. ასაკის გამო ხელშეკრულებაზე ხელი მშობლებმა უნდა მოაწერონ.

**- შენი მენეჯერი ვინ არის?**

- მენეჯერი არ მყავს. კონტრაქტის გაფორმებაში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული სამსახური მეხმარება.

**- უქმად ყოფნა შენს სპორტულ ფორმაზე ცუდად არ იმოქმედებს?**

- „ტორპედოს" სტადიონზე დავდივარ და იქ ვემზადები. ვცდილობ, ფორმიდან არ ამოვვარდე და სრულ მზადყოფნაში ვიყო. იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება და მალე „ბენფიკაში" ვითამაშებ.

**დავით პოხრეიძე**
ქუთაისიდან

# როგორ ვერ ივარგა გვაზავამ გოლფში

**ვლადივოსტოკის "ლუჩ-ენერგია" სხვა რუსულ კლუბებთან ერთად ახალი სეზონისთვის თურქულ ბელეკში ემზადება. შეგახსენებთ, რომ იქ ორი ქართველი თამაშობს ალექსანდრე ჩიხრაძე და ლევან გვაზავა. თუ პირველი რუსეთში გაზრდილია და ამ ქვეყნის მოქალაქეა, გვაზავამ მოქალაქეობა მხოლოდ იმიტომ შეიცვალა, რომ კარიერაში ლეგიონერთა ლიმიტს ხელი არ შეეშალა. ახლახან "ლუჩის" ოფიციალურმა საიტმა მასთან ინტერვიუ შემოგვთავაზა. სხვათა შორის, შორეული აღმოსავლეთის კლუბში ის უფრო მცველის პოზიციაზე თამაშობს.**

**- გუნდის მეორე შეკრების საქმეები როგორ მიდის?**

- პირველ შეკრებაზე ყველანი შვებულებიდან დავბრუნდით და ფიზიკური კონდიციების აღდგენისთვის ვმუშაობდით. ახლაც უფრო მეტი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, ტრენაჟორების დარბაზში ვვარჯიშობთ. ჩვენთან ერთადაა ფიზიკური მომზადების მწვრთნელი პაკო არკოსი. სათამაშო კონდიციებს კი ბოლო შეკრებაზე, იაპონიაში დავხვეწთ. ყველას კარგად გვესმის, რომ ასი პროცენტით მზად უნდა შევხვდეთ სეზონს, შარშანდელი შედეგის გამეორება არ გვსურს.

**- რამე განსაკუთრებული ხომ არ არის ზორან ვულიჩის, მლადენ პრალიასა და პაკო არკოსის ვარჯიშებში?**

- კი, თითოეული მათგანის ვარჯიში ორიგინალურია და ერთმანეთს არ ჰგავს. ვარჯიშებს თითქმის არ ვიმეორებთ. ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს. მომწონს ვულიჩის ვარჯიშები.

**- მართალია, შეკრებაზე თავისუფალი დრო ცოტაა, მაგრამ მაინც რას აკეთებთ ბელეკში ამ დროს?**

- დიახ, თავისუფალი დრო თითქმის არ გვაქვს. საკურორტო კომპლექსი მეგოლფეებისთვისაა განსაზღვრული და ის ძალიან კარგია. თუმცა ჩვენი ბიჭები გოლფს არ თამაშობენ, მე ერთხელ ვცადე, მაგრამ ხეირიანად ვერ მოვახვედრე ყვანჯი ბურთს. ჩვენი საქმე მაინც ფეხბურთია და არა გოლფი.

**- თქვენს პოტენციურ კონკურენტებთან ძირითად შემადგენლობაში როგორი ურთი+ერთობა გაქვთ?**

- ყველასთან ვმეგობრობ. ახლებიდან დაკოსტას დავუახლოვდი. ძალიან კარგი ბიჭია, ყურადღებიანი.

**- ოთახში ვისთან ერთად ცხოვრობთ?**

- ოთახში ჩემი მეზობელი გუნდის ლიდერი გიორგი ბაზაევია.

**- საღამოს რას საქმიანობთ?**

- ზოგი ინტერნეტში "დასეირნობს", ზოგი კითხულობს ან ფილმს უყურებს. თუმცა საერთო ჯამში ნაკლებად ვერთობით.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

# ჯაკობიას ერთი ტაიმი



ლაშა ჯაკობია

**ლაშა ჯაკობიას** "ვორსკლამ" თურქულ შეკრებაზე ამხანაგურ მატჩში პოლონეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე "იაგელონიას" 2:1 სძლია. ქართველი ფორვარდი პოლტავური კლუბის ძირითად შემადგენლობაში არ იყო, მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა და უკრაინელი მიმომხილველების ცნობით, თამაშში საკმაოდ კარგადაც ჩაერთო. ჯაკობიას მშვენიერი საგოლე შანსიც მისცემია, მაგრამ ვერ გამოუყენებია.

# ხიზანიშვილი არსენალთან დამარცხდა

საქართველოს ნაკრების მცველმა **ზურაბ ხიზანიშვილმა** ნუხელ 90 წუთი ითამაშა პრემიერლიგის ლიდერ ლონდონის "არსენალის" წინააღმდეგ. იმ კლუბის წინააღმდეგ, სადაც გადასვლა ხუთი-ექვსი წლის წინათ მისთვის საკმაო[illegible]ალური იყო. ბუნებრივია, ქართველ[illegible] მცველი გაორმაგებული ენთუზიაზმით თამაშობს "არსენალის" წინააღმდეგ, თუმცა **ემანუელ ადებაიორთან** და კომპანიასთან მხოლოდ მონდომებით ვერას გახდები. "ბლექბერნი" სტუმრად 0:2 დამარცხდა, მეორე გოლი კი ადებაიორმა მწვავე კონტრშეტევისას ხიზანიშვილთან ორთაბრძოლის მოგების შემდეგ გაიტანა. ზურამ ამ სეზონში მეშვიდედ ითამაშა "ბლექბერნის" შემადგენლობაში. ზედიზედ ორ ტურში 90 წუთი კი პირველად დაჰყო მოედანზე. "ბლექბერნს" 39 ქულა დარჩა, **მარკ ჰიუზის** კლუბი მეცხრე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ)



www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge


დავით მუჯირი

# მუჯირის შეფად არ გამოვდგები

**დავით მუჯირის** წასვლას სამარის "კრილია სოვეტოვში" დღემდე ვერ ინელებენ. პოლონეთის ნაკრების ნევრი **კშიშტიფ ლაგიევკა** ამბობს, წინასწარ ვიცოდი, დათო წასვლას რომ აპირებდა, მაგრამ სანყენია, საბოლოოდ ასე რომ მოიქცა. გუნდმა ძალიან კარგი ფეხბურთელი დაკარგაო.

სამარელთა მთავარი მწვრთნელი **ლეონიდ სლუცკი** კი დღემდე იმეორებს, რომ ქართველი ცუდად მოიქცა: *"კარგად მესმის, რომ გუნდისთვის მაქსიმალური სარგებლობა მხოლოდ ბედნიერ ფეხბურთელს მოაქვს. საკუთარ ბედს ნებისმიერი მათგანი თავად წყვეტს და თუკი დათომ "ლოკომოტივში" გადასვლა საჭიროდ ჩათვალა, მას მხოლოდ წარმატებები მსურს ვუსურვო. უბრალოდ, შეიძლება, გადასვლის ფორმა ცივილიზებული არ იყო. ის ტელეფონზეც არ გვპასუხობდა და ძებნიდან მეოთხე დღეს შევიტყვეთ, რომ "ლოკომოტივში" გადავიდა. ვფიქრობ, "კრილია" ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებდა."*

მოსკოველები ესპანეთიდან შინ დაბრუნდნენ, მერე კი თურქეთს მიაშურეს შეკრებაზე. გუნდს საქართველოს ნაკრებიდან **მალხაზ ასათიანი** დაუბრუნდა და "სპორტ-ექსპრეს" აუხსნა ის მიზეზი, რის გამოც ვარჯიში გამოტოვა - *"ლატვიელებთან შეხვედრისას ფეხი ვიტკინე, მაგრამ საშიში არაფერია. ხვალიდან უკვე მთელი ძალით ვივარჯიშებ."* ასათიანმა თურქეთში მხოლოდ ინდივიდუალურად ივარჯიშა.

ასათიანმა "ლოკომოტივში" თანამემამულის გადასვლაზეც ისაუბრა.

*"ძალიან მიხარია, რომ მუჯირი ამიერიდან ჩვენთან თამაშობს. ის ძლიერი ფეხბურთელი და კარგი მეგობარია. ეჭვი არ მეპარება, რომ გუნდს სწრაფად გაუშინაურდება. დათო ყველაფერს უჩემოდაც მშვენივრად მოახერხებს. ის ჩემზე უფროსია და მასზე შეფობის აღება ცოტა უხერხულიცაა."*

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# ყველა თამაშში მოგებისთვის ვიბრძოლებთ

ბაქოს "სტანდარდში" მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძის მისვლის შემდეგ გუნდი, აზერბაიჯანელი მიმომხილველების თქმით, გაცილებით უკეთ ათამაშდა. "სტანდარდმა" უკვე მოილია თურქული შეკრება და ამჟამად ბაქოში, "ნეფთჩის" ბაზაზე ემზადება. გუშინ, ვებგვერდმა "აზერისპორტმა" კახა ცხადაძესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა.



**- თურქეთში ჩატარებულ მოსამზადებელ შეკრებას როგორ შეაფასებდით?**

- ყველა პირობა გვქონდა გუნდის კარგად მოსამზადებლად. ამხანაგური მატჩები ძლიერ მეტოქეებთან ჩავატარეთ. ასე რომ, მთლიანობაში ამ შეკრებითY კმაყოფილი ვარ.

**- თურქულ შეკრებამდე "სტანდარდს" მხოლოდ ვიდეოჩანაწერებით იცნობდით. თქვენს გუნდზე ახლა მეტის თქმა შეგიძლიათ...**

- როგორც ადრე აღვნიშნე, გუნდი ტაქტიკურად გადავაწყე. ახლა "სტანდარდი" 4-4-2 სქემით ითამაშებს. მართალი გითხრათ, მომწონს ჩემი გუნდი. კეთილსინდისიერი ფეხბურთელები მყავს, აზროვნება არ აკლიათ. ჩემს მოთხოვნებსა და დავალებებს კარგად იგებენ და ასრულებენ კიდეც. ეს კი გუნდთან მუშაობას მიადვილებს.

**- ზამთრის სატრანსფერო პერიოდში 4 ლეგიონერი მოიწვიეთ – ოსვალდო, გუტიერესი, როდრიგესი და ლუკაშევიჩიუსი. მათ როგორი შთაბეჭდილება დატოვეს?**

- ოსვალდო საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. მართალი გითხრათ, გუნდს ძალზედ ესაჭიროებოდა ამ პოზიციის გაძლიერება. გუტიერესი და როდრიგესი თავდამსხმელები არიან. ლუკაშევიჩიუსი კი მცველია. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ფეხბურთელები "სტანდარდს" გააძლიერებენ.

**- გუნდში უკვე გამოარჩიეთ საყვარელი ფეხბურთელები?**

- ასეთები არასდროს მყოლია. ჩემთვის ყველა ფეხბურთელი ერთნაირია და ყველას ერთნაირად ვცემ პატივს. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ მწვრთნელს გუნდში არ უნდა ჰყავდეს მეგობარი ფეხბურთელები.

**- ამ გუნდით მეორე წრეში რა პერსპექტივას ხედავთ?**

- მოკლე პერიოდში დიდი სამუშაო გავწიეთ, მაგრამ ყველა ჩანაფიქრს ვერ განახორციელებ კაცი მოკლე დროში და ყველა პრობლემას ვერ მოაგვარებ. ერთის თქმა ახლავე შემიძლია, ჩვენ ყველა გუნდს ტოლ-სწორად ვეთამაშებით.

**- უკვე განსაზღვრულია, თუ რა მიზნისთვის იბრძოლებს გუნდი?**

- გათამაშების ცხრილში "სტანდარდის" ამჟამინდელ პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყოდი, რომ მესამე ან მეოთხე ადგილს დავიკავებთ. პრაქტიკულად, ეს შეუძლებელია. ჩვენ ყველა მატჩზე მოსაგებად გავალთ მოედანზე. რაც შეიძლება მეტი თამაში უნდა მოვიგოთ - მეორე წრეში სწორედ ეს იქნება ჩვენი მიზანი.

**- საშინაო მატჩებს "შაფას" სტადიონზე ჩაატარებთ, სადაც ხელოვნური საფარია?**

- დიახ, "შაფას" სტადიონზე" ვუმასპინძლებთ მეტოქეებს. მართალია ხელოვნურ საფარზე მოგვიწევს თამაში, მაგრამ ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.

**დავით ცაბაძე**

# იმერეთს თანადგომა გამოუცხადეს

გასული წლის ბოლოს "ლელო" აუწყებდა მკითხველს, რომ ხონში გაიმართა 17-წლამდელთა ორი ნაკრების მატჩი, რომელსაც თვალს ადევნებდა სფფ-ის მწვრთნელთა ბრიგადა **ასლან ბალაძის** ხელმძღვანელობით, რასაც ხონის მუნიციპალური სტადიონი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა... სწორედ ამ მიზეზის გამო, ამ რანგის მატჩების გამართვა ხონში თითქმის ტრადიციად იქცა და კვლავ ჩატარდა შეხვედრა იმერეთ-სამეგრელოსა და აჭარა-გურიის ნაკრებებს შორის, რომელიც იმერეთ-სამეგრელოს გაერთიანებული გუნდის გამარჯვებით დამთავრდა - 3:1. ასეთი დონის მატჩების გამართვა პირველ რიგში დიდად წაადგა ხონში მომავალ თაობაში ფეხბურთისადმი გაზრდილი ინტერესის კიდევ უფრო ამაღლებას. ყოველივე ამან ასევე დადებითი მუხტი შესძინა, ხონის "იმერეთის" ახალგაზრდულ გუნდს, რომელიც ეროვნული პირველობის მეორე ლიგაში ასპარეზობს. გუნდი აღმავლობის გზაზეა და ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით, ამის გარდა, ხონელი ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან საქართველოს მაღალი ეშელონის გუნდებში.

კლუბის არსებობის ისტორიაში ღირსშესანიშნავია ის ფაქტი, რომ "იმერეთის" დახმარების სურვილი გამოთქვა ადგილობრივმა ქველმოქმედმა და ბიზნესმენმა, **ბადრი კაკაბაძემ**, რომელსაც არა ერთი კარგი საქმე გაუკეთებია და ბევრის გაკეთებასაც გეგმავს მშობლიური რაიონისთვის. მან გუნდს შეუძინა სათამაშო ფორმისა და ინვენტარის სრული კომპლექტი. ამ გარემოებამ ხონელ ფეხბურთის გულშემატკივართ კეთილგანწყობა და იმედიანი მომავლის რწმენა გაუღვიძა. სპონსორის დახმარებით და კლუბის პრეზიდენტის, **დავით ჭავჭანიძის** ძალისხმევით, გუნდი ძალას იკრებს და ინტენსიურად ემზადება გათამაშების მეორე წრის ღირსეულად შესახვედრად.

**დემურ ტორაძე**
**ხონი**



# ბურდული დაასვენეს

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ლუგანსკის "ზარიამ" სომხურ "მიკასთან" ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და 3:2 იმარჯვა. ეს სომხური კლუბი სამ ქართველს: **რატი ალექსიძეს, ვიტალი დარასელიასა** და **მიხეილ ბობოხიძეს** აკვირდება და სავარაუდოდ ისინი აღნიშნულ ამხანაგურ მატჩშიც უნდა გამოეცადათ, მაგრამ ჩვენებურთა შესახებ ინფორმაციას ვერც სომხურ ვებ-გვერდებზე მივაკვლიეთ და ვერც უკრაინულზე: "ზარიას" ქართველი ნახევარმცველი **ლადო ბურდული** კი მინდორზე არ გამოჩენილა.

# კორლალიძემ დაჩიას მოაგებინა

მოლდოვურ "დაჩიაში" ამჟამად მხოლოდ ერთი ქართველი, ფორვარდი **ჯაბა დვალი** ირიცხება. თუმცა შესაძლოა, ჩვენებურთა რიცხვი გუნდში ერთით გაიზარდოს. საქმე ის გახლავთ, რომ "დაჩიაში" ტესტირებაზეა ნახევარმცველი **ლევან კორლალიძე**. კიშინიოველები ამჟამად მეორე წრისთვის ემზადებიან და მორიგი ამხანაგური მატჩი გამართეს. "დაჩია" უკრაინულ "ტავრიას" გაეჯიბრა და 1:0 მოიგო. ეს ერთადერთი გოლი კი კორლალიძის ანგარიშზეა - ლევანმა ბურთი საჯარიმო დარტყმით 29-ე წუთზე გაიტანა. კორლალიძეც და დვალიც სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ და მატჩიც ჩაამთავრეს.

**დავით ცაბაძე**


ლევან კორლალიძე

გამოხმაურება

# პლატინი ინგლისელებს აკრიტიკებს

## ფრანგი ჩინოვნიკის აზრით, იდეა პრემიერლიგის ექსპანსიის თაობაზე ხუმრობაა

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ინგლისელთა განზრახვას, პრემიერლიგის კალენდარული მატჩები საზღვარგარეთ ჩაატარონ, ხუმრობა უწოდა: *"უცნაური და კომიკური იდეაა. ეს რომ მოვისმინე, გამეცინა. დარწმუნებული ვარ, ფიფა მას არ დაეთანხმება. ეს სრული სისულელეა. მალე ინგლისურ კლუბებს მხოლოდ უცხოელი პრეზიდენტები ეყოლებათ, ნაკრებს უკვე უცხოელი წვრთნის, აღარც ინგლისელი ფეხბურთელები დარჩებიან და ახლა ის უნდათ, რომ ინგლისშიც აღარ ითამაშონ. ვფიქრობ, ეს ხუმრობაა."*

მკითხველს შევახსენებთ, რომ ინგლისის პრემიერლიგის 20-მა კლუბმა ერთხმად დაუჭირა მხარი ჩემპიონატის ერთი ტურის უცხოეთში ჩატარებას. პრემიერლიგის აღმასკომი განიხილავს იდეას, ჩემპიონატის 39 ტურამდე გაზრდის თაობაზე. თუ ჩანაფიქრი განხორციელდება, ინგლისის პირველობა ახალი ფორმატით 2010-11 წლებში ჩატარდება და დამატებული ტურის მატჩები იანვრის შუა რიცხვებში მსოფლიოს იმ ქალაქებში გაიმართება, რომლებიც ინგლისელთა მასპინძლობას მოისურვებენ.

პროექტს დიდი ფინანსური ინტერესი უდევს საფუძვლად. პრეზიდენტები ამიტომაც დაინტერესდნენ, მაგრამ მწვრთნელთა ერთი ნაწილი ამ პროექტზე საჯაროდ დისკუსიის გამართვას უკმაყოფილო შეხვდა. სერ ალექს ფერგიუსონმა გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, რომ იდეა მთავარ მწვრთნელებთანაც კი არ შეათანხმეს. პრემიერლიგის ერთი ტურის უცხოეთში გადატანა გულშემატკივრების ნაწილმაც არ მოიწონა. პრემიერლიგის იდეამ ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია,



მიშელ პლატინი ინგლისელებს დაუპირისპირდა

რომ დისკუსიაში ბრიტანეთის პრემიერმინისტრი **გორდონ ბრაუნიც** ჩაერთო. მისი აზრით, პროექტის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად გაითვალისწინეს მისმა ავტორებმა ფანების ინტერესი.

ფიფა ინგლისელთა გეგმას 14 მარტს, აღმასკომის მორიგ სხდომაზე განიხილავს. პლატინი ამბობს, რომ ევროპული ფეხბურთის ექსპანსია იმ ქვეყნებში, სადაც სპორტის ეს სახეობა განვითარების სტადიაშია, ადგილობრივი ჩემპიონატების პროგრესს შეაფერხებს. პლატინი ამბობს, რომ მის მოსაზრებას ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერიც** უჭერს მხარს: *"ფეხბურთის მთელი სილამაზე ის არის, რომ ყველა ქვეყანას თავისი კლუბები და გულშემატკივრები ჰყავს. ფეხბურთი ცირკი არ არის, რომ ფულის საშოვნელად ერთი ადგილიდან მეორეზე დასჭირდეს სიარული."*

## ტოტენჰემი ამელიას ყიდულობს

"ტოტენჰემი" "ლივორნოს" მეკარეს **მარკო ამელიას** ეპატიჟება. "დეილი სტარის" ცნობით, შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია. დეტალების დაზუსტების შემდეგ, ზაფხულის ტრანსფერებისას, ამელია ლონდონში გადავა. "მამლებს" მისი შეძენა იანვარშიც სურდათ, მაგრამ ვერ მოასწრეს. ამელია იტალიის ნაკრების მეკარეა. ის 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. გერმანიის მუნდიალზე ამელია იტალიელთა განაცხადში მესამე ნომრად იყო შეყვანილი და ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია. აქვე გეტყვით, რომ გრძელდება მოლაპარაკებები "სარაგოსასთან". "ტოტენჰემს" არგენტინელი თავდამსხმელის **დიეგო მილიტოს** ხელში ჩაგდება უნდა. იანვრის ტრანსფერებისას მილიტოს "მანჩესტერ სიტი" შეეხმიანა. "სარაგოსამ" მანჩესტერელები უარით გაისტუმრა. არაგონელებს არ უნდოდათ ფეხბურთელის გაყიდვა სეზონის ბოლომდე. "ტოტენჰემი" თადარიგს იჭერს, რომ ზაფხულის ტრანსფერებისას მილიტოში ვერავინ შეეცილოს.

## ისევ ლემპარდისა და ბარსელონის შესახებ

"სანდი მეილი" ერთი კვირის წინათ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება. ტაბლოიდმა საკუთარი არხებით გადაამოწმა სპეკულაციების **ფრენკ ლემპარდის** ბარსელონაში მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით. დასკვნა ასეთია: გარიგება სავსებით რეალურია. უფრო მეტიც, 29 წლის ნახევარმცველი ინგლისიდან აბარგებას აპირებს. ის ბარსელონაში სახლს ეძებს. ზაფხულში კატალონიელებს ლემპარდის შეძენა დაახლოებით 10 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. ეს ფეხბურთელის ორი წლის ხელფასია. ზაფხულში ფრენკის კონტრაქტში ორი წელი იქნება დარჩენილი. მოგეხსენებათ, ფიფას სატრანსფერო რეგლამენტის თანახმად, ფეხბურთელს უფლება აქვს, დარჩენილი ორი წელი მისი ორი წლის ხელფასის ოდენობის თანხით გამოისყიდოს. იმასაც შეგახსენებთ, რომ კვირას ლემპარდმა 26 დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა.

ბარსელონელმა ნახევარმცველმა **სერხიო გარსიამ**, შესაძლოა, ინგლისს მიაშუროს. 24 წლის გარსიას "ლივერპული" ეპატიჟება. ფეხბურთელი 17 მილიონ ევრო ღირს. ის მიმდინარე სეზონს იჯარით, "სარაგოსაში" ატარებს.

## შოტლანდიელი ყმაწვილი რეალში?

"რეალი" "ჰიბერნიანისა" და შოტლანდიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელს **სტივ ფლეტჩერს** აკვირდება. ამ ინფორმაციას პოპულარული ბრიტანული ტაბლოიდი "სანდი მეილი" ავრცელებს. მადრიდელებმა ფლეტჩერი ჯერ კიდევ ორი წლის წინათ, იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე შეამჩნიეს. მას შემდეგ სტივს ინტენსიურად აკვირდებიან. მადრიდელთა სკაუტებს ფეხბურთელის პოტენციალში ეჭვი არ ეპარებათ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.



ჯონ ტერი

ჩელსი

# ტერი: კიდევ სამი კვირა

## არისტოკრატებს თავდამსხმელები უფრო სჭირდებათ

"ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** "ტოტენჰემთან" ინგლისის ლიგის თასის ფინალს გამოტოვებს. 24 თებერვლამდე მისი გამოჯანმრთელება საეჭვოა. ეს ინფორმაცია ლონდონელთა თავკაცმა **ავრამ გრანტმა**, "ლივერპულთან" საკვირაო მატჩის (0:0) შემდეგ გააკეთა. გრანტმა გვაუწყა, რომ ტერის კიდევ სამი კვირა გაუცდება. ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი 16 დეკემბერს, "არსენალთან" მატჩისას დაშავდა. მან ტერფის ძვალი გაიტეხა და ორი თვეა, შვებულებაში იმყოფება. ტრავმის გამო ჯონმა შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩშიც ვერ ითამაშა. მის არყოფნაში **ფაბიო კაპელომ** კაპიტნის სამკლაური **სტივ ჯერარდს** გადასცა.

"ჩელსის" ტერიზე მეტად, კოტდივუარელი თავდამსხმელი **დიდიე დროგბა** სჭირდება. დროგბა და მისი თანამემამულე **სალომონ კალუ** აფრიკის ერთა თასიდან დღეს დაბრუნდებიან. გრანტს იმედი აქვს, რომ ფეხბურთელები ჯანმრთელად იქნებიან და მომდევნო ტურშივე ითამაშებენ. "არისტოკრატები" მესამე ადგილზე იმყოფებიან. მათ "მანჩესტერ იუნაიტედისგან" სამი ქულა ჰყოფთ, ლიდერი "არსენალისგან" კი - ხუთი. "მეთოფეებმა" "ბლექბერნთან" მატჩი წუხელ გამართეს. გამარჯვების შემთხვევაში, ისინი "მენიუს" - ხუთი, ხოლო "ჩელსის" შვიდი ქულით გადაუსწრებდნენ.



ალბერტო აკვილანი

## აკვილანი ინტერს ელოდება

"ინტერი" რომაელი **ალბერტო აკვილანის** შეძენის იმედს არ კარგავს. "გაძეტე დელო სპორტის" ცნობით, "ნერაძური" დედაქალაქურ კლუბს ბრაზილიელ თავდამსხმელს **ადრიანოს** შესთავაზებს. ეს უკანასკნელი "სან პაულუშია" განათხოვრებული. ადრიანო მილანში დაბრუნებას აღარ აპირებს. მას ინტერთან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. ამავე პერიოდში იწურება აკვილანის რომაული ხელშეკრულება. "ჯალოროსი" მას თანამშრომლობის გაგრძელებას სთავაზობს. აკვილანი თავს იკავებს. როგორც ჩანს, მას უფრო სარფიანი შეთავაზებების იმედი აქვს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ალბერტოს სწორედ "ინტერში" გადასვლა სურს, რადგან "სან სიროზე" ორჯერ მაღალ ხელფასს ჰპირდებიან.

## ვან დერ ვაარტი ჩელსისაც მოუნდა

ამ უქმეებზე "ლევერკუზენისა" და "ჰამბურგის" მატჩს (1:1) "ჩელსის" გერმანელი სკაუტი **რაინერ ბონჰოფი** დაესწრო. ის **რაფაელ ვან დერ ვაარტს** აკვირდებოდა. ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა საკმაოდ ბევრი იშრომა და მსაჯთან კამათის გამო ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. ის ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე გამორჩეული იყო. ნამატჩევს ბონჰოფმა არ დაადასტურა, რომ სტადიონზე ჰოლანდიელის სანახავად იყო მისული. მან მიმომხილველებს განუცხადა, თუ მატჩს ყურადღებით ადევნებლით თვალს, თვითონაც მიხვდებით, თუ ვისი ნახვა მინდოდაო. ჩელსის სკაუტის ვიზიტის თაობაზე კომენტარის გაკეთება ვან დერ ვაარტსაც სთხოვეს. მან თქვა: *"ამ ეტაპზე ტრანსფერი მეორეხარისხოვანია. მინდა, "ჰამბურგთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობისთვის ვიბრძოლო."*

## ლე რუა განაში დარჩება

აფრიკის ერთა თასის მასპინძელი განა ტურნირს ნახევარფინალში გამოეთიშა. მან კამერუნის ნაკრებთან წააგო. კამერუნელები ფინალში ეგვიპტემ დაამარცხა და ზედიზედ მეორედ დაეუფლა საპატიო ჯილდოს. განელები თასის გათამაშების ფავორიტები იყვნენ. კამერუნელებთან წაგებამ გულშემატკივრები ძალიან დაალონა. მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, მთავარ მწვრთნელ **კლოდ ლე რუას** კონტრაქტი ორი წლით გაუგრძელოს. ფრანგმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ შეთავაზებით ძალიან გახარებულია. ის გადაწყვეტილებას უახლოეს ხანებში მიიღებს. განაში დარჩენის შემთხვევაში, ლე რუას ორი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა მოუწევს: მან გუნდი 2010 წლის აფრიკის ერთა თასსა და იმავე წლის მუნდიალზე უნდა გაიყვანოს. მომდევნო ერთა თასს ანგოლა უმასპინძლებს. მსოფლიოს ჩემპიონატი კი სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში გაიმართება.

არსენალი

# ვენგერი 10 ფეხბურთელის გარეშე

## მორიგი შევსება ესპანეთიდან?

გუშინ, "არსენალი" "ბლექბერნს" შეხვდა. ამ მატჩის შედეგი შეგიძლიათ მე-15 გვერდზე იხილოთ. "მეთოფეები" "ემირიტს სთედიუმზე" საკადრო პრობლემებით გავიდნენ. **არსენ ვენგერმა** ათი წამყვანი ფეხბურთელი ვერ დაიხმარა. **ტომაშ როსიცკის**, **რობინ ვან პერსისა** და **იოჰან ჯურუს** ასპარეზობა იმთავითვე გამორიცხული იყო. ოთხშაბათს, ინგლისთან ამხანაგური მატჩისას შვეიცარიელი ცენტრალური მცველი **ფილიპ სენდეროსი** დაშავდა. ესპანეთთან მატჩისას ფრანგმა ნახევარმცველმა **მატიო ფლამინიმაც** ტრავმა მიიღო. სენდეროსსა და ფლამინის მუხლმა შეახსენა თავი. მათ ხანგრძლივი დასვენება ემუქრებათ. თითი აწუხებდა ესპანელ მეკარე **მანუელ ალმუნიასაც**. გუშინ "არსენალის" კარში, "სიტისთან" წინა მატჩის მსგავსად, იენს ლემანი უნდა მდგარიყო. ბოლო წუთამდე გაურკვეველი გახლდათ **აბუ დიაბის** ასპარეზობა. ის "სიტისთან" ერთი კვირის წინანდელ შეხვედრაში დაშავდა. გუშინ, ვენგერის განკარგულებაში ერთადერთი ცენტრალური მცველი **ვილიამ გალასი** იყო. კოტდივუარელები - **კოლო ტურე** და **ემანუელ ებუე** თვითმფრინავში ისხდნენ და აფრიკის ერთა თასიდან ბრუნდებოდნენ. ვენგერს იმედი ჰქონდა, რომ ტურე "ბლექბერნთან" მატჩს ჩამოუსწრებდა. თუ არა და დაცვის ცენტრში, საყრდენ ნახევარმცველ **ჟილბერტო სილვას** ან მარჯვენა მცველ **ჯასტინ ჰოიტს** უნდა ეთამაშათ.

"არსენალზე" საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. ვენგერი "რეალის" სარეზერვო გუნდის ნახევარმცველ **ესტებან გრანეროთი** დაინტერესდა. გრანერო ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ის 20 წლისაა. "დეილი სტარის" ცნობით, ლონდონელები შეეცდებიან, ესპანურ გრანდს ახლავე მოურიგდნენ და სეზონის დასრულებისთანავე გრანეროს ინგლისში უკრან თავი. ვენგერი იმედს არ კარგავს, რომ სევილიის მარცხენა გარემარბ **დიეგო კაპელსაც** გადაიბირებს. ამ უკანასკნელზე "ტოტენჰემიც" აცხადებს პრეტენზიას. მოსიე ვენგერის სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას "იუვენტუსის" შემტევი ნახევარმცველის **რაფაელე პალადინოს** შეძენაც სურს. დასტურდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პალადინო, შეიძლება, ჟილბერტო სილვაში გაცვალონ. "ბებერ ქალბატონს" პალადინოს აბარგებაზე კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა არ მალავს, რომ "არსენალის" ბრაზილიელი საყრდენის შეძენა სურს.



არსენ ვენგერი

სერია A. ისევ მსაჯები

# სასაცილოა ასეთი სკუდეტო, სატირალი რომ არ იყოს...

## ინტერის გოლები კვლავ კამათის საგანია

ჩვეულებრივ, როგორ რეაგირებენ გულშემატკივრები სამსაჯო შეცდომებზე? მართალი ხართ, პირველ რიგში - სტვენით. მაგრამ ეს მაშინ, როცა საქმე ეხება წვრილმან შეცდომას. განსაკუთრებით მძიმე "დანაშაულზე" კი, როგორც ჩვენში იცოდნენ ხოლმე, მთავარი იარაღი არბიტრის სექსუალური ორიენტაციის გამომხატველი სიტყვის სკანდირებაა. რუსებს ჰქონდათ (ალბათ, ახლაც აქვთ) ასეთი - სუდიუ, ნა მილო! მოკლედ, გასაგებია, რაზეც ვსაუბრობთ. აი, "კატანიის" გულშემატკივრებმა კი ერთობ ორიგინალურ ხერხს მიაგნეს. "ინტერთან" საკვირაო მატჩის დროს სტეფანო ფარინას ნებისმიერ ჩასტვენას "მასიმინოს" აუდიტორია აპლოდისმენტებით ხვდებოდა...

ერთი სიტყვით, სერია A-ში სამსაჯო სკანდალებს ბოლო არ უჩანს. უცნაურია, რომ უკანასკნელ პერიოდში ეს ყველაფერი ჩემპიონის გარშემო იყრის თავს. . გამოგონილი 11-მეტრიანების კვალდაკვალ, გაჩნდა უშუალოდ თამაშიდან გატანილი არარსებული გოლებიც. კვირას, იტალიური უიქენდის დასკვნით მატჩში, "კატანია" "ინტერს" მასპინძლობდა. 64-ე წუთზე, არბიტრმა **სტეფანო ფარინამ**, თავის ასისტენტთან ერთად, არ დააფიქსირა აშკარა თამაშგარე მდგომარეობა, რასაც **ესტებან კამბიასოს** გოლი მოჰყვა. რას უნდა ელოდო ასეთ დროს ტიფოზებისგან, მით უმეტეს, როცა საუბარია ექსტრატემპერამენტულ სიცილიელ ქომაგებზე, თუ არა მინიმუმ თამაშის ჩაშლას (მაქსიმუმ, ამან ვინმეს სიცოცხლეც კი შეიძლება შეიწიროს). ამ დროს კი რას ვხედავთ? აგრესიული ქომაგები ჩვეულებად ქცეული ძალადობიდან ცინიზმზე გადავიდნენ და ბოლო 35 წუთის განმავლობაში ფარინას თითოეულ ჩასტვენას მქუხარე ტაშით ეხმაურებოდნენ. დამთავრდა თუ არა თამაში, მთავარი მსაჯი არ დაელოდა "მესამე ტაიმს" (ბოლო ორი თვეა, რაც დაკანონდა), დაადო თავი და პირდაპირ გასახდელს მიაშურა. არადა, ამ პროცედურას ის უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდეს...

რაც შეეხება სიცილიელ ქომაგთა საქციელს, ეს შეიძლება მაგალითადაც იქცეს სხვებისთვის და ეგებ, იტალიამ საფეხბურთო აგრესიას თავი დააღწიოს. "ინტერის" საკამათო გოლებს კი "კორიერე დელო სპორტმა" ასეთი სათაური უძღვნა - "სასაცილო სკუდეტო".

საინტერესოა, თავად გოლის ავტორის კომენტარი. აი, რა თქვა კამბიასომ: *"თუ თამაშგარე მართლაც იყო, შეიძლება, რამდენიმე მილიმეტრით. არის მომენტები, როცა რეფერიმ გადაწყვეტილება წამის მეათედებში უნდა მიიღოს. ლაინსმენს რომ შეძლებოდა ამ წამის შეჩერება და სიტუაციის შეფასება, თუ ვინ იყო კართან უფრო ახლოს, მაშინ შეცდომაც არ იქნებოდა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ფეხბურთი სულ სხვანაირი იქნებოდა".*

კამბიასო აღიარებით იწყებს და ფილოსოფიით ამთავრებს. თუკი ფეხბურთელი, რომლის გოლზეც ამხელა ამბავი ატყდა, აცხადებს, რომ ის მილიმეტრებით იყო წინ, ესე იგი, მინიმუმ 10-15 სანტიმეტრი უნდა ვიანგარიშოთ (იხ. ფოტო). მაგრამ ერთი მილიმეტრიც ხომ რაღაც მანძილია. ისე, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველს ერთ რამეში კი ვეთანხმებით: როცა საუბარია ამ ყბადაღებულ მილიმეტრებზე, წამებში ამის დაფიქსირება მართლაც ძნელია, შესაძლოა, წარმოუდგენელიც.

მაგრამ მოდით, უფრო გლობალურად შევხედოთ საკითხს. მსაჯებს შეცდომის დაშვებას ვერ აუკრძალავ, რადგან ეს ბუნებრივი მოვლენაა (თუკი ქვეწა გრძნობებიდან არ მოდის). თუმცა ესეც ვიკითხოთ: რატომ უნდა ისჯებოდეს გუნდი, არბიტრისა თუ ლაინსმენის თუნდაც უნებლიე შეცდომის გამო? იქნებ, ამიტომაცაა საჭირო მყისიერი ვიდეოგარჩევა, რომელიც თეთრსა და შავს გამოაჩენს. ამბობენ, ეს ფეხბურთს დინამიურობას დაუკარგავსო. მართალიცაა. წარმოიდგინეთ, რამდენი თამაშგარე ფიქსირდება მატჩის დროს, ან რამდენი საპენალტო სიტუაციაა. თითოეული ასეთი გაჩერება მატჩს დიდხანს გაწელავს. ეს კიდევ არაფერი, უბრალოდ, თამაში მოკვდება. მაგრამ ფაქტია, რომ გამოსავალი მაინც მოსაძებნია...

დავუბრუნდეთ "კატანია"-"ინტერის" მატჩს. გუშინ ფარინამ შეცდომა აღიარა. "რაი უნოსთვის" მიცემულ კომენტარში მან თქვა: *"ეს წუთია, გოლის ეპიზოდის ვიდეოგამეორება ვნახე და უნდა ვაღიარო, რომ შეცდომა დავუშვი".*

რაც შეეხება "მესამე ტაიმთან" დაკავშირებულ ამბავს, ფარინამ ეს ასე ახსნა: *"რა თქმა უნდა, არ იყო სწორი, თუ გავითვალისწინებთ რეგლამენტის მოთხოვნებს, მაგრამ იმ მომენტში გადავწყვიტე, რომ სწორედ ასე მოვქცეულიყავი. აბსოლუტურად ვიზიარებ "ფეარ პლეის" პრინციპებს, ისევე, როგორც სხვა არბიტრები, თუმც საფინალო სასტვენის შემდეგ, არ მსურდა, რომ ჩემი იქ ყოფნით ზედმეტი კამათი გამომეწვია და ამიტომაც სწრაფად გავეცალე მოედანს. იმას, რაც მოხდა, სჯობდა, ესტვინათ, როგორც ამას ყველა ნორმალური მსაჯის მიმართ აკეთებენ"* - აი, ასეთი იყო დიდი საერთაშორისო გამოცდილების მქონე რეფერის მატჩისშემდგომი კომენტარი.

ჩვენ კი ვთქვათ, რომ ფარინა, უბრალოდ, აიჭრა. ჯერ ერთი, რომ მას უხეში პროფესიული შეცდომა მოუვიდა, და მეორეც - დაარღვია ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტი. მოკლედ, ხედავთ რამხელა პასუხისმგებლობად დაჯდა ერთი რიგითი მატჩი?

ფარინასთან დაკავშირებულ ამბებს, საფეხბურთო სამყაროს სხვა წარმომადგენლებთან ერთად, "ფედერკალჩოს" მსაჯთა კურატორი **პიერლუიჯი კოლინაც** გამოეხმაურა. წინა შემთხვევებში, ლეგენდარული არბიტრი, როგორც იტყვიან, ძაღლის ტყავს არ ხევდა, მაგრამ ამჯერად, მისი შეფასება ცოტა სხვაგვარი იყო: *"რეფერი ვალდებულია, მატჩის შემდეგ მეტოქე ფეხბურთელები ერთმანეთისთვის ხელის ჩამოსართმევად მიიწვიოს. ეს საუკეთესო საშუალებაა დაძაბულობის მოსახსნელად. ცხადია, ფარინა ასე არ უნდა მოქცეულიყო. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ჩვენი ორიენტირი სიტუაციის გამოსწორებაა. არბიტრთა დიდი ნაწილი ახალგაზრდაა და არ არის დასამალი, რომ შეცდომაც ბევრია, მაგრამ დიდი თავდადების ხარჯზე, სრულიად შესაძლებელია, რომ საქმე უკეთესობისკენ წავიდეს".*

რა თქმა უნდა, კოლინას შეეძლო, უფრო მკაცრიც ყოფილიყო, მით უფრო, რომ მას არაფერი უთქვამს მთავარზე - გოლზე, რომელიც არ უნდა ჩათვლილიყო. ფარინაც ხომ ახალგაზრდა არ არის...



ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ისარი უჩვენებს, რომ კამბიასო აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში




კატანიელები ფარინას გადაწყვეტილებას აპროტესტებენ



ბერტ ვან მარვიიკი

ჰოლანდიის ნაკრები

# ვან ბასტენს მარვიიკი შეცვლისო

ჰოლანდიის ნაკრების მომავალ მწვრთნელად, შეიძლება, **ბერტ ვან მარვიიკი** დაინიშნოს. **მარკო ვან ბასტენი** თანამდებობას ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს. მან თქვა, რომ გადადგება იმის მიუხედავად, თუ რა შედეგს მიაღწევს მისი გუნდი. ვან ბასტენი ძალების მოსინჯვას საკლუბო ფეხბურთში აპირებს. ვან მარვიიკი კი საკლუბოდან სანაკრებო ფეხბურთში გადასასვლელად ემზადება. ის "ფეიენოორდის" დამრიგებელია. 24 ტურის შემდეგ მის გუნდს 44 ქულა აქვს და ცხრილში მეოთხე ადგილზე იმყოფება. ის გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ "ეინდჰოვენს" ცხრა ქულით ჩამორჩება. ვან მარვიიკი გუნდში გასულ ზაფხულს მივიდა. რამდენიმე თვით ადრე მისტერ ბერტი დორტმუნდის "ბორუსიიდან" დაითხოვეს. ვან მარვიიკმა როტერდამელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის ამ გუნდში 2000-04 წლებშიც მოღვაწეობდა. 55 წლის სპეციალისტმა 2002 წელს უეფას თასი მოიგო.

ბაიერნი

# კაიზერი ძალაუფლებას კარგავს!

## ჰიონესისა და რუმენიგეს ჩუმი რევოლუცია



ფრანც ბეკენბაუერს ბაიერნის პრეზიდენტის პოსტზე 2009 წელს ული ჰიონესი შეცვლის

**ფრანც ბეკენბაუერი "ბაიერნის" პრეზიდენტი და ასე ვთქვათ, პირველი კაცია. ამასთან, მისი სიტყვა არა მხოლოდ გერმანიაში, ან ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში ძვირად ფასობს. მაგრამ როგორც ირკვევა, ბოლო დროს კაიზერმა მიუნხენურ კლუბში ძალაუფლება გარკვეულწილად დაკარგა. ის რჩება გერმანული და საერთოდ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ წამყვან სახედ, მაგრამ უშუალოდ მიუნხენში მან ბოლო დროს აშკარად დაკარგა ის წონა, რაც მანამდე ჰქონდა, როცა ფრანცის სიტყვა კანონი იყო.**

იმის ტენდენცია, რომ **ბეკენბაუერი** რეკორდმაისტერში ძალაუფლებას კარგავს და მიუნხენურ კლუბში სულ უფრო და უფრო ცოტა ეთქმის, **იურგენ კლინსმანის** მიწვევითაც დადასტურდა. მანამდე, "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ხშირად იკბინებოდნენ იმის გამო, რომ ბეკენბაუერი თავის ინტერვიუებში მათ მოსაზრებებს ეწინააღმდეგებოდა და ხშირად თავისი სიტყვის განხილვისა და დისკუსიის გარეშე გატანას ცდილობდა. მაგრამ კაიზერი, რა საკვირველია, ულის და კალეს არ დაემორჩილა და საჯაროდ საუბარი არ შეწყვიტა, რის დასტურადაც თუნდაც იმ მაგალითის მოყვანაც გამოდგება, რომ მას ჯერ კიდევ აქვს კონტრაქტი გაზეთ "ბილდთან", რომლის გვერდებიდანაც ხალხს "ბაიერნში" მიმდინარე პროცესებზე თითქმის ყოველდღიურად ელაპარაკება.

თავიდან ბეკენბაუერი ინტერვიუებში და საკუთარ სვეტებში ხშირად ღიად საუბრობდა ისეთ ინტიმურ დეტალებზე, რაც წესით "ბაიერნის" გარეთ არ უნდა გავიდეს, მაგრამ ბოლო დროს აშკარაა, რომ კაიზერი ველარ წერს და ველარ ლაპარაკობს იმ მოვლენებზე, რაც გუნდში ხდება და შესაბამისად, შექმნილი ვითარების მოკლე და უფრო ანალიტიკურ ანალიზს სჯერდება, ვიდრე დეტალურსა და ფაქტობრივს. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ ფრანცს ინფორმაციის ნაკლებობა აქვს. რაც შეეხება კლინსმანის შემთხვევას, რომელიც ზემოთ ვახსენეთ: ჰიონესმა და რუმენიგემ კაიზერს მომავალი სეზონიდან კლინსის დანიშვნის შესახებ მხოლოდ ბოლო მომენტშილა უთხრეს, იმ დროს, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. არადა, ბეკენბაუერს, როგორც გუნდის პრეზიდენტს, ნებისმიერ დროს შეეძლო, უარი ეთქვა ჰიტცფელდის კლინსმანით შეცვლაზე და უნდა ითქვას, რომ ჰიონესი და რუმენიგე გარკვეულწილად ვალდებულებიც იყვნენ, მწვრთნელის საკითხი პრეზიდენტთან შეეთანხმებინათ, მაგრამ ასე მოიქცნენ და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ნაბიჯსაც თავისი მიზეზი ჰქონდა და კერძოდ ის, რომ ულის და კალეს კაიზერისთვის უბრალოდ ჭკუის სწავლება ან უფრო უარეს შემთხვევაში მისი დაძირვა სურდათ. მათ ბეკენბაუერი ფაქტის წინაშე დააყენეს, ფაქტისა, რომელზეც ფრანცს უარის თქმა შეეძლო, მაგრამ შანსი იმისა, რომ უარი ეთქვა, თითქმის ნულს უტოლდებოდა. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტორიც: დავანებოთ თავი იმას, უნდოდა თუ არ უნდოდა ბეკენბაუერს კლინსმანი, საქმე იმაშია, რომ ის დიდი სიამოვნებით იქნებოდა პირველი ადამიანი, რომელიც მედიას ეტყოდა, გაისად იურგენი მოგვყავსო. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად აღფრთოვანებული იყო ბეკენბაუერი კლინსმანის მოყვანით: საკმარისია, გავიხსენოთ განცხადება, რომელიც ფრანცმა კლინსმანთან კონტრაქტის გაფორმებიდან მესამე დღეს გააკეთა, რომ ყველაფერს მივხვდებით. *"ვფიქრობ, ჟოზე მოურინიო "ბაიერნისთვის" ცუდი მწვრთნელი არ იქნებოდა...!"* - განაცხადა კაიზერმა.

ფაქტი ის გახლავთ, რომ რეკორდმაისტერის სამეთვალყურეო საბჭოს ბოსთა ტრიომ, ჰიონესმა, რუმენიგემ და **კარლ ჰოპფნერმა** მწვრთნელის თემაზე ბეკენბაუერი ალაპარაკეს, თვითონ კი მშვიდად და აუღელვებლად შეუთანხმდნენ კლინსის. აღსანიშნავია, რომ კაიზერთან არც **ტიმ ბოროვსკის** ტრანსფერი შეთანხმებულა, რომელიც მიუნხენურ გიგანტს ზაფხულში მიაშურებს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, რუმენიგე კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ თითქოს ბეკენბაუერის ძალაუფლებამ იკლო. *"როგორც ყოველთვის, მე დღესაც ძალიან ხშირად ვურეკავ ფრანცს და რჩევებს ვეკითხები. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვიღებთ,"* - აცხადებს რუმენიგე. საერთოდ, კაიზერი მაინც რჩება იმ პერსონად, რომელსაც "ბაიერნთან" დაკავშირებით ასე ვთქვათ პირველი და ყველაზე წონადი სიტყვა ეთქმის, მაგრამ მხოლოდ მედიაში. უშუალოდ გუნდში კი, ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ეს ასე აღარაა. ისე კი, საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2009 წელს ბეკენბაუერი პენსიაში გავა და მას რეკორდმაისტერის პრეზიდენტის პოსტზე ჰიონესი შეცვლის. ამის გათვალისწინებით გასაკვირი არცაა, რომ კაიზერი ნელ-ნელა თამაშგარე მდგომარეობაში ექცევა. ირკვევა ისიც, რომ 62 წლის ფრანცს აღარც აქვს იმის სურვილი, რომ ყველა დეტალში ჩახედული იყოს და ყველაფერს მას ეკითხებოდნენ. ჯერ კიდევ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მზადების პერიოდში თქვა, სანამ მე მუნდიალის ორგანიზაციულ საკითხებზე ვმუშაობ (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ), "ბაიერნი" ჰიონესისა და რუმენიგეს სახით სანდო ადამიანების ხელშიაო.

ფაქტია ისიც, რომ ბეკენბაუერი აღარ ესწრება "ბაიერნის" ყველა საშინაო თამაშს, როგორც ეს ადრე ხდებოდა. მისთვის უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს ის, რომ რეკორდმაისტერის თამაშებს სახლში, ტელევიზორში უყუროს და ამითაც ირკვევა, რომ კაიზერი "ბაიერნს" ნელ-ნელა შორდება. *"ხშირ შემთხვევებში მირჩევნია, რომ სახლში დავრჩე, რადგან ასე ჩემი შვილებისთვის უფრო მეტი დრო დამრჩება. აღარ მინდა იმ შეცდომის გამეორება, რომელიც პირველი შვილების შემთხვევაში დავუშვი. ისინი მამას ფაქტობრივად არ იცნობდნენ, რადგან სახლში მეტწილად მხოლოდ მაშინ ვიყავი, როცა ეძინათ,"* - ამბობს ბეკენბაუერი. ის, რომ "ბაიერნი" კაიზერ-ფრანცის ნომერ პირველი საზრუნავი აღარაა, იქიდანაც ჩანს, რომ მწვრთნელის ძიებაში ჩართვის ნაცვლად მან ზალცბურგში წასვლა ამჯობინა და ახალი ვილის მოწყობაზე ზრუნავდა. მანამდე კი, ზალცბურგში თავისი მეუღლის, ჰაიდის ბუტიკის გახსნას დაესწრო, რომელიც ადრე **ლოთარ მათეუსს** ეკუთვნოდა.

რაც არ უნდა იყოს, "ბაიერნის" გარდა ბეკენბაუერს ისედაც უამრავი საქმე აქვს: სატელევიზიო ექსპერტია, "ბილდში" სვეტებს წერს, არის გერმანიის საფეხბურთო კავშირის ფუნქციონერი, ფიფას აღმასრულებელი კომისიის წევრი და ა.შ. *"წელიწადში 200 დღის განმავლობაში გზაში ვარ. თუმცა მუნდიალის დროს 300-ზე მეტი დღე მხოლოდ მგზავრობაში გავატარე,"* - ამბობს ბეკენბაუერი. ამასთან ერთად, ფრანცი 2010 წლის მუნდიალისთვისაც ზრუნავს და სამხრეთაფრიკელებს რეგულარულად აძლევს რჩევა-დარიგებებს. ასე რომ, კაიზერი თითქმის ყველაფრისთვის იცლის, გარდა "ბაიერნისა" და რეკორდმაისტერშიც, ამით ჰიონესმა და რუმენიგემ უკვე ისარგებლეს და ძალაუფლებას ხელში ნელ-ნელა იგდებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

აინტრახტი

# ფენინი, როგორც ოკოჩა

## ჩეხმა ფრანკფურტელ ქომაგებს გულისცემა აუჩქარა

**მარტინ ფენინმა** ბუნდესლიგაში ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა, მაგრამ უკვე მთელი საფეხბურთო გერმანია მასზე ლაპარაკობს. გარდა იმისა, რომ ამ ორ შეხვედრაში 20 წლის ჩეხმა თავდამსხმელმა 4 გოლის გატანა მოახერხა და მთავარი როლი ითამაშა იმაში, რომ ფრანკფურტის "აინტრახტმა" ბუნდესლიგის მეორე წრე იდეალურად დაიწყო, მან "არწივების" ქომაგები თავისი ქცევითაც მოხიბლა. თანაც, ფენინი საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა ყმაწვილია, რომელმაც პირველ რიგში "აინტრახტის" მანდილოსან ფანებს შეაყვარა თავი. თანაც, გარეგნობის გარდა, ამ განვლილ ორ ტურში ის საგოლე ალღოთი და მეტოქის კართან ცივსისხლიანობითაც გამოირჩა.

"არმინიასთან" გატანილი გოლი ფენინის ბუნდესლიგურ კარიერაში, რომელიც ახლახან დაიწყო, მეოთხე გახლდათ და არცაა გასაკვირი, ფრანკფურტელთა ჩეხი შენაძენი ჩვენი გერმანელი კოლეგების ყურადღების ცენტრში რომ მოექცა. ამ ყველაფერს თან ისიც ემატება, რომ ფენინს იუმორის შესანიშნავი გრძნობაც აქვს, რის გამოც ფანებმა მას ახალი ოკოჩა შეარქვეს. შეგახსენებთ, რომ "აინტრახტს" ასეთი ხუმარა ფეხბურთელი ბოლოს 15 წლის წინათ ჰყავდა - საუბარია **ჯეი-ჯეი ოკოჩაზე**, რომელიც ფრანკფურტელ ქომაგებს 1992 წლის შემოდგომიდან აღაფრთოვანებდა. მაშინ, ოკოჩაც ფაქტობრივად არსაიდან გამოჩნდა და თავისი თვალსასეირო დრიბლინგებით ძალიან მალე გახდა "აინტრახტის" ქომაგთა უსაყვარლესი ფეხბურთელი. ოკოჩას დროს ექსპერტები ყველა დროის საუკეთესო დებიუტზე საუბრობდნენ და ასეა ფენინის შემთხვევაშიც: 4 გოლი 2 თამაშში - თავდამსხმელისთვის ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?

ფენინის ყიდვა "აინტრახტის" შეფსკაუტ **ბერნდ ჰიოლცენბაინის** დაჟინებული მოთხოვნა გახლდათ. მარტინს ევროპული გრანდებიც ეპატიჟებოდნენ (მათ შორის იყო "იუვენტუსიც"), მაგრამ "აინტრახტი" პირველი კლუბი იყო, რომელმაც ახალგაზრდა ჩეხს კონკრეტული წინადადებით მიმართა და ამ უკანასკნელსაც ბევრი აღარ უფიქრია - მაშინვე დათანხმდა.

*"ფენინმა გუნდში, როგორც მოსალოდნელი იყო, უდიდესი ეიფორია შემოიტანა და მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, ეს ძალიან კარგია და პრინციპში მოსალოდნელიც იყო, რომ მარტინი თავიდანვე უმაღლეს დონეზე ითამაშებდა. ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ ადაპტაცია არ გაუგრძელდებოდა,"* - აცხადებს "აინტრახტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ჰერიბერტ ბრუხჰაგენი**.

მაგრამ ფაქტია, რომ ფენინმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მეორე წრის ორი ტურის შემდეგ 20 ჩეხი ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელია და არც მალავს, რომ ასეთ დასაწყისს არ ელოდა. "არმინიასთან" მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ მას ჟურნალისტების არმია დაესია. კითხვაზე, სჯერა თუ არა, რომ გერმანიაში მისი მოღვაწეობა ასე იღბლიანად დაიწყო, ფენინმა უკვე გერმანულად უპასუხა: *"შესანიშნავია. თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. აქაურ გარემოსთან შეგუება ოდნავადაც არ გამჭირვებია."*

არადა, თანამემამულე **პაველ ნედვედი** "იუვენტუსში" გადასვლას ურჩევდა. ტურინული გრანდის გარდა მას პრემიერლიგაშიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ "იუვეზე" იმის გამო თქვა უარი, რომ დარწმუნებული იყო, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდებოდა. სავარაუდოდ, საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონის იტალიურ კლუბში გაანათხოვრებდნენ, ინგლისში კი იმის გამო არ წავიდა, რომ უბრალოდ ფეხბურთის თამაშის ბრიტანული სტილი არ იზიდავს. სამაგიეროდ, "აინტრახტში" სიამოვნებით ჩაირიცხა და უკვე ცხადია, რომ არჩევანში არ შემცდარა...

**გოტფრიდ ლენცი**



მარტინ ფენინი, აინტრახტის ახალი ვარსკვლავი



ჰანს მაიერი ნიურნბერგის მწვრთნელი აღარაა

ნიურნბერგი

# რკინის ჰანსი დაჟანგდა?

## ფრანკების შეფებმა მაიერი დაიფრინეს...

გერმანიის თასის მფლობელ "ნიურნბერგს" მიმდინარე სეზონში საქმეები კარგად არ წაუვიდა. ფრანკებმა გასულ სეზონში სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს: თასიც მოიგეს და უეფას თასის საგზურიც მოიპოვეს, რის შემდეგაც ყველა ელოდა, რომ ამ სეზონში FCN კიდევ უფრო წარმატებული იქნებოდა, მაგრამ გადახედეთ სატურნირო ცხრილს, "ნიურნბერგს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. გასულ უქმეებზე ფრანკებმა უშუალო კონკურენტი "ჰანზა" ვერ დაამარცხეს, რაც, როგორც ირკვევა, გუნდის ხელმძღვანელების მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა. გუშინ სალამოს "კიკერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ "ნიურნბერგის" შეფებმა მთავარ მწვრთნელ **ჰანს მაიერს** კარისკენ მიუთითეს.

უშუალოდ ამ ინფორმაციის გავრცელებამდე მაიერმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა: *"მართალია, ჩემმა შვილიშვილებმა უკვე მკითხეს, იქნებ უახლოეს მომავალში ჩვენთვის უფრო მეტი დრო გქონდეს, რადგან ძალიან გვენატრებიო, მაგრამ მე მათ მივუგე, რომ პენსიაში გასვლას ჯერ არ ვაპირებ და ვუთხარი, რომ კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე მაკავშირებს, რომელსაც სავარაუდოდ ბოლომდე შევასრულებ."*

"რკინის ჰანსი" რეგულარულად იმეორებდა, სანამ გუნდი მემორჩილება და ბოსები ნდობას მიცხადებენ, არსად არ წავალ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამ გუნდთან ერთად წარმატებების მიღწევა რეალურიაო. მაგრამ მაიერი არც იმას გამორიცხავდა, რომ უახლოეს მომავალში პოსტი დაეტოვებინა, იმას კი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა, რომ თანამდებობიდან ასე მალე გაათავისუფლებდნენ. "კიკერის" ცნობით, მისი შეცვლის რეალური კანდიდატი ბილეფელდის "არმინიის" ყოფილი დამრიგებელი **თომას ფონ ჰეეზენია**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# რობინიო რომას ვერ დაუპირისპირდება?

## სამეფო კლუბი ბრაზილიელი ახალგაზრდების ძებნას განაგრძობს. ტიაგო ლუისის შემდეგ პორტუგალმა დენტინიო აღმოაჩინა

**გასულ კვირას "სანტიაგო ბერნაბეუზე" სამეფო კლუბმა საკუთარ გულშემატკივრებს შესანიშნავი შეხვედრა აჩუქა. ესპანური ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ, რომ "რეალმა" "ვალიადოლიდი" გამანადგურებელი ანგარიშით, 7:0 მიწასთან გაასწორა. ამ ტრიუმფალურ გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოყვა. ბერნდ შუსტერის ბიჭები ქება-დიდებით ცაში აიყვანეს. თავად გერმანელი სპეციალისტიც უზომოდ გახარებული გახლდათ, თუმცა ერთმა გარემოებამ მას განწყობა ოდნავ გაუფუჭა. საქმე ის არის, რომ "ვალიადოლიდთან" ხსენებულ მატჩში რობინიომ ტრავმა მიიღო და მე-14 წუთზე მოედანი დატოვა. ის როისტონ დრენტემ შეცვალა. გუშინ ბრაზილიელ ფორვარდს "რეალის" ექიმებმა საგულდაგულო სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს.**

საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "რეალის" ერთ-ერთი ექიმის, **მიგელ დელიბესის** განცხადებას გაგაცნობთ: *"ვალიადოლიდთან" მატჩის დებიუტში რობინიომ ფეხი იტკინა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. იმედი გვქონდა, რომ ტკივილი მალე გაუვლიდა, თუმცა ასე არ მოხდა. ბრაზილიელი გულდასმით შევამოწმეთ და დიაგნოზიც დავუსვით. მას ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. გადაჭრით შემიძლია განვაცხადო, რომ რობინიო პრიმერა დივიზიონის მომავალ ტურში ვერ იასპარეზებს. შესაძლოა, საქმე იქამდეც გართულდეს, რომ რომში "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ საპლეიოფო შეხვედრაშიც ვერ ითამაშოს. სამეფო კლუბის ექიმები, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სამხრეთამერიკელი ფორვარდი მაქსიმალურად მოკლე დროში დავაყენოთ ფეხზე. სენიორ შუსტერი არ მალავს, რომ რობინიო ჰაერივით საჭირო მოთამაშეა. მოკლედ, ჩვენზე რაც იქნება დამოკიდებული, ბუნებრივია, ყველაფერს პირნათლად შევასრულებთ. დანარჩენი კი დროის ამბავია. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება."*

დიაგნოზი დასმულია, მაგრამ **რამონ კალდერონისა** და სამეფო კლუბის მთავარი ექიმის, **ალფონსო დელ კორალის** შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, ფეხბურთელს დღეს კიდევ ერთი გამოკვლევა ჩაუტარონ. **რობინიოს** სალამოს მადრიდის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში მიიყვანენ და კომპიუტერულ გამოკვლევას ჩაუტარებენ. ესპანური გრანდის მესვეურებს არ სურთ, სამხრეთამერიკელის ჯანმრთელობით გარისკონ და საქმე გაართულონ. სხვათა შორის, "ვალენსიის" სამედიცინო შტაბს სწორედ იმის გამო საყვედურობენ, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი დასკვნებით კმაყოფილდებიან და დაშავებული ფეხბურთელები სტაციონარში კომპიუტერულ გამოკვლევაზე არ მიჰყავთ. ძნელი სათქმელია, რამდენად სამართლიანია ეს საყვედური, მაგრამ ფაქტია, "ვალენსიას" წლის განმავლობაში ყველაზე მეტი ფეხბურთელი უშავდება ხოლმე. აღსანიშნავია, რომ "ღამურებს" რეაბილიტაციის შემდეგაც სერიოზული პრობლემები ექმნებათ. მოკლედ, კალდერონს არ სურს, რობინიოც გაუთვალისწინებელი მოვლენების მსხვერპლი გახდეს და სრულფასოვანი გამოკვლევის ჩატარებას ითხოვს.

"ვალიადოლიდთან" მატჩის შემდეგ ტკივილმა **სერხიო რამოსი** და **მაჰამადუ დიარაც** შეაწუხეს. რობინიოსგან განსხვავებით, მათ იძულებით შვებულებაში გასვლა არ ემუქრებათ. გუშინ, სერხიო რამოსმა სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს მან მომხდარის შესახებ მოახსენა: *"ისეთი შეჯახება არ მქონია, რომ ტკივილი კონკრეტულად ამით ავხსნა. უბრალოდ, მთელი თამაშის განმავლობაში სერიოზული დატვირთვა მქონდა. ერთი შეხედვით, იოლი თამაში ჩავატარეთ და ძალიან მარტივად გავიმარჯვეთ, თუმცა პატარ-პატარა შეჯახებების გამო ტერფი და წვივის კუნთები მტკივა. ექიმებმა დამაიმედეს, ტრავმა არ გაქვსო. კიდევ კარგი, ცოტა დრო მაქვს იმისთვის, რომ თავს მივხედო და დავისვენო. შუა კვირაში მატჩი რომ გვქონდეს, ნამდვილად ვერ ვიასპარეზებდი. იმედია, მომავალ უქმეებამდე ყველაფერი რიგზე იქნება."*

საგულისხმოა, რომ დიარამაც დაახლოებით იგივე თქვა. აფრიკელის განცხადებით, გადატვირთულმა კალენდარმა და ვალიადოლიდელებთან უშეღავათო ბრძოლამ მის ფიზიკურ მდგომარეობაზე ცუდად იმოქმედა. მაჰამადუ ზოგად გადაღლილობასა და ბარძაყის კუნთების ტკივილს უჩივის. თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ მას ტრავმა არ აწუხებს.

"რეალის" ხელმძღვანელობა მიმდინარე წარმატებებით ტკბობის პარალელურად სამომავლო საკითხებზე ინტენსიურად მუშაობას განაგრძობს. **პრედრაგ მიატოვიჩი** სამხრეთ ამერიკაში ნიჭიერ ახალგაზრდებს ეძებს. რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ მადრიდული გრანდი სანტოსელი **ტიაგო ლუისის** შეძენაზე მუშაობს. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ სამეფო კლუბი კიდევ ერთი ამომავალი ბრაზილიელი ვარსკვლავით, **დენტინიოთი** დაინტერესდა. ის გუნდის ტექნიკურმა დირექტორმა, **მიგელ ანხელ პორტუგალმა** ბრაზილიაში ვიზიტისას აღმოაჩინა. პორტუგალი ამტკიცებს, რომ დენტინიო ფენომენალური ნიჭის მქონე ფორვარდია და ის სამეფო კლუბის ნათელ მომავალს უზრუნველყოფს. მადრიდში დაბრუნებულმა სენიორ მიგელ ანხელმა დირექტორატის წევრებთან დენტინიო იმდენად კარგად დაახასიათა, რომ მათ "კორინთიანსთან" მოლაპარაკებების სასწრაფოდ დაწყება გადაწყვიტეს.

19 წლის ფორვარდი "კორინთიანსის" საყმაწვილო სკოლის აღზრდილია. გეცოდინებათ, გუნდს საკმაოდ ბევრი პრობლემა ჰქონდა. მას განსაკუთრებით ფინანსური თვალსაზრისით გაუჭირდა და ამიტომ იძულებული გახდა, საკადრო პრობლემების გადასაჭრელად თინეიჯერი ფეხბურთელები ახალგაზრდული გუნდიდან ძირითად შემადგენლობაში გადაესროლა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დენტინიომ საზოგადოებაზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. უფრო მეტიც, მან სენსაცია მოახდინა და თითქმის მთელი ბრაზილიის საფეხბურთო წრეები აალაპარაკა. "რეალის" ტექნიკურმა დირექტორმა მიგელ ანხელ პორტუგალმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: *"არ დავმალავ, "ბარსელონას" პოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდა ტალანტების მოძიებასა და ძირითად შემადგენლობასთან მათ გაშინაურებას შეეხება, ძალიან მოგვწონს. ყველა ვხედავთ, ჯოვანი და ბოიანი დღეს შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ. ცოტა ხნით ადრე საზოგადოებამ ლიონელ მესი გაიცნო. კატალონიელები აშკარად სწორ გზას მიყვებიან. გადავწყვიტეთ, მათი გამოცდილება გაგვეზიარებინა და ჩვენი მომავლის შენება დაგვეწყო. "რეალი" ახლა ტიაგო ლუისისა და დენტინიოს შესაძენად მუშაობს. დარწმუნებული ვარ, ისინი ისეთივე წარმატებას მიაღწევენ, როგორიც მესიმ, ჯოვანიმ და ბოიანმა მოიპოვეს. მიატოვიჩის დავალებით, "სანტოსთან" და "კორინთიანსთან" ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვიწყებ. დარწმუნებული ვარ, ბრაზილიური კლუბების მესვეურები გარკვეულ დაბრკოლებებს შეგვიქმნიან, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ზუსტად ვიცი, ორივე ფეხბურთელს "სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშის პერსპექტივა უზომოდ ხიბლავს. სამეფო კლუბს ტრანსფერების გაჩარხვაში სწორედ მათი შეუვალი პოზიცია დაეხმარება."*



რობინიომ შვებულება გამოიწერა

**ილია ნიკოლაიშვილი**

ბარსელონა

# ოლეგერი ლაზარეთში

## კატალონიელებს ახლა სამუელ ეტოოს ტრავმა უფრო აღელვებთ



სამუელ ეტოო აფრიკის თასიდან დაშავებული დაბრუნდა

**ძირითად** შემადგენლობაში თამაშს მონატრებულ ოლეგერ პრესასს ნატვრა გასულ უქმეებზე აუსრულდა. მას შემდეგ, რაც ჯანლუკა ძამბროტამ იტალიის ნაკრებში ჩატარებულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო, ფრენკ რაიკაარდი იძულებული გახდა, დაცვის მარჯვენა ფლანგი სწორედ ოლეგერისთვის ჩაებარებინა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღით ადრე კატალონიელმა ფეხბურთელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, "ბარსელონა" ჩემი სახლია, მაგრამ თუ მომავალშიც სათადარიგოთა სკამზე მომიწევს ჯდომა, იძულებული გავხდები, სხვაგან წავიდე. თითქოს, ძამბროტას ტრავმამ და მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებამ მას სულზე მოუსწრო, მაგრამ ოლეგერისთვის ბედი მუხთალი აღმოჩნდა.

"სევილიასთან" მატჩში "ბარსას" მცველმა მარცხენა ხელი იტკინა. ექიმებმა ურჩიეს, მატჩი არ გაეგრძელებინა, მაგრამ თამაშს დახარბებულმა მცველმა ისინი მოატყუა, არაფერი მჭირს, პრობლემა არ მაქვსო. **პრესასი** მოედანზე დაბრუნდა და ტრავმა გაირთულა. ერთ-ერთი შეჯახებისას ის წაიქცა და მინდორზე სწორედ ნატკენი თითით დაეხეთქა. საბრალოს ფალანგი მოტყდა. ოლეგერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოედანი ამის შემდეგაც არ დატოვა. საფინალო სასტვენის შემდეგ კი ხელის მტევანი იმდენად გაუსივდა, ექიმებმა უმალ სევილიის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში გააქანეს. რენტგენზე გამოსახულ მოტეხილობას პირველი კურსის სტუდენტიც კი შეამჩნევდა. კლუბის მთავარი ექიმის **რიკარდ პრუნას** გადაწყვეტილებით, ოლეგერს ბარსელონის წამყვან ქირურგთან **შავიერ მირთან** წაიყვანენ და ოპერაციას გაუკეთებენ. სენიორ მირი საუკეთესო სპეციალისტად მიიჩნევა. სხვათა შორის, სპორტულ სამყაროში მას ძალიან კარგად იცნობენ. თავად განსაჯეთ, MotoGP-ის პილოტები ყოველთვის ამ ადამიანთან მკურნალობენ. ბატონი შავიერის სამედიცინო კარიერას ერთი უკმაყოფილო პაციენტიც კი არ ახსოვს. მოკლედ, პაციენტი საიმედო ხელში მოხვდება, მაგრამ მკურნალობის შედეგი კატალონიური გრანდის ფეხბურთელს არც ერთ შემთხვევაში არ გაახარებს, რადგან სრულ რეაბილიტაციას სულ მცირე თვენახევარი დასჭირდება.

გუშინ, სალამოს, დამწუხრებულმა ოლეგერმა "ბარსას" ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა: *"არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა. ამდენი ხანია არ მითამაშია, ძლივს მოედანზე გავედი და ასეთი უსიამოვნება შემემთხვა. ალბათ, თვეზე მეტი დრო გამიცდება. იმედია, ორ კვირაში იმის საშუალება მაინც მომეცემა, რომ ვივარჯიშო. თამაში კი სახიფათოა, რადგან მოწინააღმდეგესთან შეჯახების შემთხვევაში მოტეხილი თითი არ შემიხორცდება. მოკლედ, მართლაც ძალიან დიდი უსიამოვნება შემემთხვა."*

ოლეგერი ძალიან ცოდოა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ "ბარსელონას" ხელმძღვანელობასა და გულშემატკივრებს მის ბედზე მეტად ახლა **სამუელ ეტოოს** მდგომარეობა აღელვებთ. მოგეხსენებათ, კატალონიური გიგანტის სუპერფორვარდმა პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნა არ გაითვალისწინა და აფრიკის თასზე საასპარეზოდ გაემგზავრა. კონტინენტის ჩემპიონატის ფინალში სწორედ ის მოხდა, რისიც **ჟოან ლაპორტას** ყველაზე მეტად ეშინოდა. პრეზიდენტი ბუნებრივია, იმაზეც წუხდა, რომ ტურნირის მსვლელობისას ეტოო "ბარსას" ვერ დაეხმარებოდა, თუმცა მთავარი მაინც ტრავმის შიში გახლდათ. ეგვიპტესთან ფინალურ შეხვედრაში სამუელმა ტკივილი იგრძნო, მან სამედიცინო დახმარებაც ითხოვა, მაგრამ თამაში არ შეუწყვეტია. ბოლოს მოედანი კოჭლობით დატოვა. შეხვედრას კატალონიაშიც უყურებდნენ და ნანახით შოკირებულები დარჩნენ. ფრენკ რაიკაარდს იმედი აქვს, რომ მის შეგირდს კუნთი არ განყდომია და საქმე მხოლოდ კუნთის დაჭიმვას შეეხება. ყოველ შემთხვევაში, ეტოოს ბარსელონაში დაბრუნებისთანავე რიკარდ პრუნას კაბინეტში გააქანებენ. სამუ პრატის აეროპორტში დღეს ჩაფრინდება.

ეტოოსგან განსხვავებით, აფრიკის თასიდან **იაია ტურე** სრულიად ჯანმრთელი ბრუნდება. განაში ტურნირის მოსაგებად ჩასული კოტდიუარის ნაკრები მეოთხე ადგილს დასჯერდა. ბუნებრივია, ამ გარემოებით მთელი გუნდი დამწუხრებული დარჩა. მათ შორის, ტურეც... თუმცა ნახევარმცველი კატალონიელ გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ სანაკრებო წარუმატებლობა საკლუბო კარიერაში ხელს არ შეუშლის. აი, რა უთხრა მან განაში "დიარიო ასის" საგანგებო კორესპონდენტად მივლინებულ **როდრიგო სანტოსს** : *"აფრიკის თასმა უდიდესი იმედგაცრუება მოგვიტანა. ტურნირი ფანტასტიკურად დავიწყეთ, მაგრამ ბოლოს რაღაც დაგვემართა და ხელმოცარულები დავრჩით. ნახევარფინალის შემდეგ გასახდელში ყველა ვტიროდით. ძალიან კარგად მესმის, "ბარსას" ინჩასებს კოტდიუარის ნაკრების ისტორია ნაკლებად აინტერესებთ. მართლებიც არიან. საზოგადოებას პირობას ვაძლევ, რომ ეროვნულ გუნდში განცდილ წარუმატებლობას დავივიწყებ და "ბარსას" ინტერესებს კეთილსინდისიერად მოვემსახურები. თავს არ დავზოგავ. თუ მთავარი მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში დამაყენებს, ამ უქმეებზევე დავამტკიცებ, რომ გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ."*

მგზავრობით დაღლილი ტურე დღევანდელ ვარჯიშს გამოტოვებს. ხვალიდან კი ინტენსიურ მზადებას შეუდგება. მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ აფრიკელი კვლავ ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. სხვათა შორის, მისი არყოფნა "ბარსას" ნახევარდაცვას აშკარად დაეტყო. **იოჰან კრუიფს** ტყუილად არ უთქვამს, რომ კატალონიელებმა "სანჩეს პისხუანზე" ორი ქულა შუა ხაზის სუსტი თამაშის გამო დაკარგეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# მოღალატე მარსელიდან

## ვენგერის მორიგი კულინარიული შედევრი



მატიო ფლამინი

**ღმერთმა არ ქნას და თუკი ერთ დღესაც არსენ ვენგერს მოსწყინდება საფეხბურთო ყოველდღიურობა და მომაბეზრებელი ვარჯიშების ჩატარება, მას შეუძლია ძალიან კარგი კონდიტერი დადგეს. კანფეტის შექმნა ხომ ფრანგს ყველაფრისგან შეუძლია. "არსენალის" შეფპოვარის უკანასკნელი კულინარიული შედევრი მისივე თანამემამულეა, 23 წლის საყრდენი ნახევარმცველი მატიო ფლამინი. ეს უკანასკნელი გასაოცარ და, რა თქმა უნდა, კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს.**

2004 წლის ზაფხულზე "მეთოფეთა" ძირითადი შემოსავლები "ეშბარტონ გროუვის" მშენებლობისკენ იყო მიმართული. ამას დავუმატოთ ის, რომ იმ წლის იანვარში მოსიე **არსენ ვენგერმა ხოსე ანტონიო რეიესში** 35 მილიონი ევრო გადაიხადა და სრულიად ცხადი გახდება მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა ფრანგი მწვრთნელი იძულებული, თითქმის ცარიელი ჯიბეებით გასულიყო ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე, სადაც ყველაფერს ცეცხლის ფასი ედო. დირექტორთა საბჭომ სხვა გამოსავალი მას უბრალოდ არ დაუტოვა. არსენი რისი არსენი იყო, რომ ამ პირობებშიც კი არ ენახა სარგებელი (გავიხსენოთ, თუ რა თანხა გადაიხადა თავის დროზე ნიკოლა ანელკაში - 700 ათასი ევრო). მან მზერა ჯერ ბენილუქსის ბაზარს მიაპყრო - **რობინ ვან პერსი** და **ემანუელ ებუე** საკმაოდ მისალებ ფასში შეიძინა, შემდეგ გროშებად გამოისყიდა ლუპოლისა და ალმუნიას ტრანსფერები, ხოლო **მატიო ფლამინი** "მარსელიდან" სულაც უფასოდ გადაიბირა. ჩრდილოეთ ლონდონში ვენგერის მორიგ თანამემამულეს მშვიდად შეხვდნენ. "არსენალის" გულშემატკივრები, დიდი ხანია, შეგუებულები იყვნენ, რომ არსენს თანამემამულეთაგან არამხოლოდ ანრი და პირესი ჩამოჰყავდა, არამედ **დემელი** და **გრონდენიც**, ამიტომ კიდევ ერთხელ პატივისცემით მოეპყრნენ მის ასეთ "პატრიოტულ სისუსტეს".

რამდენადაც მას ლონდონში მშვიდად შეხვდნენ, იმდენად აღშფოთდნენ მისი უფასოდ წასვლით მარსელში. ვენგერმა ფეხბურთელის პრეზენტაციაზე ტრაფარეტულზე ტრაფარეტული ფრაზები წარმოთქვა: რომ ის მოხარულია ახალგაზრდა, ნიჭიერი, კრეატიული ნახევარმცველის შეძენის, რომელსაც შეუძლია ახალ გუნდს დაეხმაროს როგორც შეტევაში, ისე დაცვაში. რაც შეეხება ფლამინის ყოფილ მწვრთნელ **ჟოზე ანიგოს**, რომელიც ფეხბურთელს ჯერ კიდევ "მარსელის" იუნიორთა გუნდში პატრონობდა, ის ისეთი განიწმატებული იყო, რომ გამოთქმების შერჩევა არცკი უცდია: *"ეს გაუგონარი ღალატია. მატიომ, უბრალოდ, გამომიყენა და გადამაგდო! მან თქვა, რომ ჩვენთან სათამაშო პრაქტიკის მოკლების ეშინოდა. რეალურად კი უკეთეს ხელფასს დახარბდა. მისგან ეს იყო წესებით აკრძალული დარტყმა როგორც ჩემთვის, ისე გუნდისთვის. აღარასოდეს გავაკარებ გუნდს ისეთ ფეხბურთელს, ვისაც გუნდთან პროფესიული კონტრაქტი არ ექნება."*

მატიოს ყოფილ თავკაცს შეიძლება გაუგოს ადამიანმა: დაბადებით მარსელელი ფლამინი "ოლიმპიკის" ბავშვთა სკოლაში 5 წლის ასაკში მივიდა და მას მერე ყველა ასაკობრივ გუნდში ჰქონდა ნათამაშები. 2003-04 წლების სეზონების დასაწყისში კი უკვე მთავარი გუნდის საჩემპიონატო განაცხადში მოხვდა. მოხვდა არა იმდენად იმის წყალობით, რომ იმ ეტაპზე ამ დონეზე სათამაშოდ მზად იყო, უფრო იმიტომ, რომ **ალენ პერენის** შემცვლელმა ანიგომ აქცენტი ჯერ კიდევ პირმოუპარსავ ბიჭებზე გააკეთა. მატიო ნელ-ნელა გუნდის წამყვან ძალად უნდა ჩამოყალიბებულიყო. სეზონის ბოლოს მას ყველა ტურნირში 17 მატჩი მოუგროვდა, რაც 18 წლის ფეხბურთელისთვის არაა ცუდი შედეგი. არსენ ვენგერის მზერას პატარა ბიჭის შესანიშნავი თამაშები უეფას თასზე "ნიუკასლისა" და "ლივერპულის" წინააღმდეგ არ გამოპარვია. ფეხბურთელმა ისარგებლა იმით, რომ მის მშობლიურ კლუბთან არანაირი იურიდიული დოკუმენტი არ აკავშირებდა და ვენგერის პირველ დაძახილზევე "არსენალთან" 4 წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მარსელელთა ბოსი პაპე დიუფი ნახევარი წლის განმავლობაში ცდილობდა სასამართლოს გზით დაემტკიცებინა, რომ ფეხბურთელის კონტრაქტი "მეთოფეებთან" კანონის გვერდის ავლით გაფორმდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ გამოარკვია, რომ ლონდონელები კანონთან აბსოლუტურად მართლები იყვნენ.

სადებიუტო სეზონი "ჰაიბერიზე" იუნიორი ფრანგისთვის ცუდად არ წარმართულა, მიუხედავად იმისა, რომ მოედნის ცენტრში ადგილს ძირითადად **ფაბრეგასი, ვიეირა, ჟილბერტო** და **ედუ** ინაწილებდნენ, ხოლო მატიოს როლი მხოლოდ ეპიზოდებით იფარგლებოდა. მთელი სეზონი ძირითადში ის 9-ჯერ მოხვდა (სულ 21 თამაში) და ერთი გოლიც შეაგდო "ევერტონის" კარში, თუმცა უკვე აღარაფრის გადამწყვეტი, რადგან იქამდე მისმა თანაგუნდელებმა ლივერპულელები მიწასთან გაასწორეს - 6 გოლი გაუტანეს.

ახალბედა ფეხბურთელები გუნდში გასაოცრად მალე ჩაეწერნენ - ებუე, კოლო ტურე, სენდეროსი, ფლამინი - თითქოს მთელი ცხოვრება ერთად თამაშობდნენო.

ვიეირასა და ედუს წასვლის შემდეგ ნახევარდაცვაში სიხალვათე გაჩნდა და თითქოს მატიოს ჯერი დგებოდა, დაემტკიცებინა, თუ რა შეეძლო საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, მაგრამ უცბად აღმოჩნდა, რომ გუნდში თითქმის ყველა განაპირა მცველი ტრავმირებული იყო - ლორენი, **ეშლი კოული, კლიში, ჯილბერტი**. თუკი მარჯვენა მცველის პოზიციაზე "ბევერენიდან" დაბრუნებული ებუეს დაყენება შეეძლოთ, მარცხენა მცველის პოზიციაზე არჩევანი არ არსებობდა. იქ გადასროლილმა სენდეროსმა და სიგანმა საშინლად ითამაშეს... ვენგერმა იძულებითი ნაბიჯი გადადგა და გამოკვეთილი მემარჯვენე ფლამინი მარცხნივ დააყენა. მოხდა სასწაული! ებუე-სენდეროსი-კოლო ტურე-ფლამინის ოთხეულმა დაცვა "არსენალის" უძლიერეს იარაღად აქცია და ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე წაუბორძიკებლად იარა. ეს ოთხეული მშვენივრად საუბრობდა ერთ ენაზე (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ოთხივესთვის ფრანგული მშობლიური ენაა). როდესაც 2006 წლის ზაფხულზე **კემპბელმა**, კოულმა და სიგანმა დატოვეს "ემირიტსი", უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ვენგერს მათი სრულფასოვანად შეცვლის პრობლემა არ დაუდგებოდა.

"ჩელსიდან" გალასის გადმობირე[illegible] და გაელ კლიშის გამოჯანმრთელების შემდეგ, 2006-07-ის სეზონში ვენგერმა ისევ გადაწყვიტა ფეხბურთელის ცენტრში დაბრუნება, მაგრამ მატიოს გზა ძირითადისკენ ამჯერად ფაბრეგასისა და ჟილბერტოს დუეტმა გადაუკეტა - მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე ფრანგი მცველად თამაშობდა, ამ ფეხბურთელებმა შესანიშნავად მოახერხეს შეთამაშება. ფლამინი ისევ სკამზე დაბრუნდა. მისმა მოთმინების ფიალამ შევსება იწყო და უკვე სეზონის ბოლოს ის სადღაც-სადღაც ალაპარაკდა, რომ შეიძლებოდა ადგილსამყოფელი შეეცვალა. მით უფრო, რომ მის 4-წლიან კონტრაქტს სულ მალე ვადა გასდიოდა. *"ჩემი წინაპრები წარმოშობით იტალიიდან არიან,"* - გაიხსენა მან, როცა ერთხელ იტალიაში გადაბარგების პერსპექტივაზე დაეკითხნენ - *ჩემი კარიერის ამ ეტაპზე მე მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მჭირდება, რის გარანტიასაც "არსენალში" ვერ მაძლევენ".*

ზაფხულის მოახლოებასთან ერთად ფეხბურთელის ტონი ჯერ შერბილდა, ხოლო ბოლოს სულაც შეიცვალა: *"დიახ, მე ძალიან ახლოს ვიყავი გუნდის დატოვებასთან, იმიტომ, რომ მოედანზე იმაზე იშვიათად ვჩნდებოდი, ვიდრე ეს მე მსურდა. თუმცა ველაპარაკე მოსიე ვენგერს და გადავწყვიტე, რომ ამ ეტაპზე აქ დარჩენა სჯობს."* ამ საუბრის შემდეგ ფლამინი ძალიან მალე ისევ ძირითადში აღმოჩნდა. ჟილბერტოს თავს რაღაც მოხდა. რამდენიმე თვეში ის უცბად დაბერდა, ეფექტურობა დაკარგა და ამან ფრანგს სასტარტოსკენ გზა გაუხსნა. დღეს მის ადგილს საყრდენი ნახევარმცველის ადგილას დიდი ასოებით აწერია - "დაკავებულია". მიმდინარე სეზონში მატიომ ძალიან მოუმატა და რომ არსებობდეს ნომინაცია ყველაზე "პროგრესირებადი" ფეხბურთელისათვის, ჯილდოს უეჭველად ფლამინი დაისაკუთრებდა. შემოდგომაზე ფეხბურთელმა ეროვნულ ნაკრებში მიიღო მიწვევა და ეჭვსგარეშეა, რომ უეჭველად მოხვდება ევრო 2008-ის საბოლოო განაცხადში. რაც შეეხება საკლუბო ცხოვრებას, "არსენალი" მას ხანგრძლივ და კარგადანაზღაურებად კონტრაქტს უმზადებს.

ინტერვიუ მოჰამედ სისოკოსთან

# გულმა მიკარნახა, რომ ჩემი სამშობლოს ნაკრებში უნდა მეთამაშა



მოჰამედ სისოკო

**"იუვენტუსის" ახალწვეული მოჰამედ სისოკო ტურინელ ტიფოზთა ყურადღების ცენტრში მოექცა. ახალი სახე ყოველთვის საინტერესოა: ვინ არის, საიდან მოდის და საით მოდის? ამ და კიდევ სხვა თემებზე ის "ტუტოსპორტის" კორესპონდენტს ესაუბრა...**

**- საფრანგეთში დაიბადე, მაგრამ მალის ნაკრებში თამაში არჩიე. 23 წლის ასაკში კი უკვე შეგიძლია იტრაბახო, რომ ესპანეთისა და ინგლისის ჩემპიონატებში გითამაშია. ახლა იტალიური თავგადასავალი გელოდება...**

- დიახ, საფრანგეთში დავიბადე და ისევე, როგორც ყველა ჩემი მეგობარი, ვოცნებობდი, ლურჯი მაისურით მეთამაშა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ სხვანაირად მოხდებოდა.

**- მალის ნაკრების სასარგებლოდ არჩევანი შეგნებულად გააკეთე?**

- შეგნებულად გავაკეთე და თანაც ძალიან ბევრი ვიფიქრე. ადვილი არ იყო, უარი მეთქვა საფრანგეთის ნაკრებში მოხვედრის პერსპექტივაზე. 18 წლის ვიყავი, როცა ისტორიულ სამშობლოში ჩავედი. თითქოს თავში რაღაც გადამიტრიალდა... გულმა მიკარნახა, რომ არჩევანი მალის ნაკრებზე უნდა შემეჩერებინა და დღემდე ვამაყობ ამ გადაწყვეტილებით.

**- როგორც ჩანს, ეს არ იყო საფეხბურთო მიზეზების გამო...**

- მალი განვითარებადი ქვეყანაა. იქ ფეხბურთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საუბარია ეროვნულობის განცდაზე. ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან კანუტე, დიარა, და მათ შორის მეც, შეგვიძლია, ქვეყნისა და ხალხისთვის ბევრი რამ გავაკეთოთ. მალის ნაკრებში გამოძახება ყოველთვის აღმაფრთოვანებს და უარს არასოდეს ვამბობ. არც ვიტყვი...

**- დავუბრუნდეთ ჭაბუკობის წლებს. რომელ გუნდს ქომაგობდი?**

- ვქომაგობდი... (იცინის) ვქომაგობდი "პარი სენ ჟერმენს".

**- ვინ იყო შენი კუმირი?**

- რა თქმა უნდა, ზიდანი.

**- მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი თუ ნახე?**

- ცხადია, და საფრანგეთსაც ვგულშემატკივრობდი.

**- ბერლინური ფინალის რამდენიმე მონაწილე - ბუფონი, კამორანეზი, დელ პიერო... დღეს შენი თანაგუნდელები არიან. საინტერესოა არა?**

- ძალიან კარგად ვიცი, სადაც მოვხვდი. იმაზე მეტი საამაყო რა უნდა იყოს, როცა "იუვენტუსს" გუნდის გასაძლიერებლად სჭირდები.

**- საფრანგეთის ნაკრების ისტორია მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ამ გუნდში თამაში დაიწყეს აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებმა...**

- ეს ფაქტია, მაგრამ ფეხბურთი საზოგადოებასთან ერთად იცვლება. ამ ცვლილებებს კი დადებითად ვაფასებ.

**- მაინც რამ მოგიყვანა პროფესიულ ფეხბურთში?**

- პატარა კლუბში ვთამაშობდი და უცებ, გამიჩნდა შანსი, "ოსერში" სინჯებზე წავსულიყავი. ამ პროცესს ლეგენდარული მწვრთნელი გი რუ უძღვებოდა. მრავალთა შორის, მან არჩევანი ჩემზე შეაჩერა. მაშინ მეორე თავდამსხმელად ვთამაშობდი.

**- თუმცა რაფა ბენიტესმა სხვა პოზიციაზე გამოგცადა...**

- 18 წლის ვიყავი, როცა "ვალენსიაში" გადავედი. თავიდან, იქაც თავდასხმაში ვთამაშობდი, მაგრამ შემდეგ ბენიტესმა გადაწყვიტა, საყრდენ ნახევარმცველად გამოვეცადე. სხვათა შორის, კარგადაც გამოვიდა. ის სეზონი წარმატებული იყო ჩემთვისაც და კლუბისთვისაც: "ვალენსია" ჩემპიონი გახდა.

**- რაკი თავდამსხმელი იყავი, არ ნანობ, რომ ნახევარმცველად გადაყვანის გამო ბომბარდირობის შანსი მოგესპო?**

- არანაირად. ბენიტესის ინტუიციამ საშუალება მომცა, უფრო დიდი სიმაღლისთვის მიმეღწია. აუცილებელი არ არის, გუნდში ყველას გოლი გაჰქონდეს. იმითიც ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ მეტოქეს ბურთის ფლობასა და შეტევების განვითარებაში ვუშლი ხელს.

**- შემდეგი ნაბიჯი იყო "ლივერპული"...**

- დიახ, როცა ბენიტესი "ლივერპულის" მწვრთნელი გახდა, გადაწყვიტა, მეც თან წავეყვანე.

**- მასთან მჭიდრო ურთიერთობა გქონდა. რა მოხდა ამის შემდეგ?**

- არ ვიცი, ვერ ავხსნი მიზეზს. სადებიუტო სეზონში პრემიერლიგას კარგად გავუშინაურდი და ნორმალური სეზონიც ჩავატარე, ბევრ შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ მერე და მერე მყარად ჩავჯექი თადარიგში. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო, რადგან ვთვლიდი, რომ სკამზე ჯდომით კარიერა დამენგრეოდა. ამიტომაც დავიწყე ახალი კლუბის ძებნა... მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ყოველთვის ბენიტესის მადლიერი ვიქნები. მან ბევრი რამ მასწავლა.

**- ძირითად შემადგენლობაში ადგილი ხავიერ მასკერანომ წაგართვა, მერე გუნდში ბრაზილიელი ლუკაში მიიწვიეს, რამაც კიდევ უფრო გააუარესა შენი მდგომარეობა. გამოდის, ისინი შენზე ძლიერები არიან?**

- არც ერთი და არც მეორე არანაირად არ მჯობია. დაწერეთ ისე, როგორც ვამბობ.

**- რა განსხვავებაა იმ ლიგებს შორის, რომელშიც გითამაშია?**

- ესპანური ფეხბურთი მოთამაშეთა ინდივიდუალიზმზეა დაფუძნებული. ინგლისში კი საოცრად მაღალი ტემპი და მოქმედების ინტენსივობაა. ეს ვარიანტი ჩემთვის უფრო მისაღები იყო. "კალიარიასთან" პირველი მატჩი ჩავატარე და მომეცა საშუალება, იტალიური ფეხბურთიც ახლოს გამეცნო. პირველი შთაბეჭდილებით, ესპანური ფეხბურთისგან ის საგრძნობლად განსხვავდება.

**- ამბობენ, თითქოს კლაუდიო რანიერიმ გირჩია, სასტიკი "ინგლისური ვარდნებისგან" თავი შეგეკავებინა...**

- დარწმუნებული ვარ, იტალიურ ფეხბურთს მალე შევეჩვევი. თუ საჭირო გახდა, თამაშის მანერასაც შევცვლი. აქვე მინდა ვთქვა, რომ თანაგუნდელები ყველაფერს აკეთებენ, რათა ადაპტაციის პერიოდი სწრაფად და იოლად გადამატანინონ.

**- "იუვენტუსში" გადასვლა ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს შეგეძლო. მართალია?**

- მართალია. მოლაპარაკებები თითქმის დასრულებული იყო და მტკიცედ გადავწყვიტე, "იუვენტუსში" გადავსულიყავი. მაგრამ ბენიტესმა მოულოდნელად ვეტო დაადო ტრანსფერს და ინგლისში დავრჩი. არ ვიცი, რატომ მოხდა ასე. შეიძლება ითქვას, ნახევარი წელი დავკარგე. ამჯერად, ჩემი გავიტანე.

**- რა მიზანი დაისახე "იუვეში"?**

- რა თქმა უნდა გამარჯვებები. კარიერის განმავლობაში რაღაც მეც მაქვს მოგებული, მაგრამ გაცილებით მეტი მინდა, ახლა "იუვეს" სახელით.

**- როგორ იქმნი სათამაშო განწყობას?**

- ვცდილობ, კონცენტრირება გავაკეთო იმ დავალებაზე, რასაც მწვრთნელი მაძლევს. რაც შეიძლება მეტი ორთაბრძოლა უნდა მოვიგო.

**- სხვათა შორის, "კალიარისთან" მატჩის დროს, ბურთთან შენი თითოეული შეხება აპლოდისმენტებს იწვევდა. გესმოდა ეს თუ ყურადღებას არ აქცევდი?**

- არ მოგატყუებთ, ნამდვილად არ მიმიქცევია ყურადღება. მთლიანად თამაშზე ვიყავი ფაკუსირებული.

**- სპორტის სხვა სახეობები თუ გიტაცებს?**

- მიყვარს კალათბურთი და ვქომაგობ კობი ბრაიანტს. მომწონს ტონი პარკერიც, მაგრამ კობი უნიკალურია.

**- და მუსიკა?**

- R'n'B.

**- თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

- ისევ და ისევ ფეხბურთით. ცხადია, ოჯახში ყოფნაც მიყვარს, მეუღლესა და პატარა ქალიშვილთან ერთად. ეს არის ჩემი სიხარული და უდიდესი პასუხისმგებლობა.

**- პირველი, რაც ახალმა თანაგუნდელებმა შეხვედრისას გითხრეს...**

- მომიყვნენ, თუ რა გრძნობა ამოძრავებს თითოეულ მათგანს "ინტერის" მიმართ. აუცილებელია, რომ ფეხბურთში პრინციპული მეტოქეები გყავდეს.



ტიმ ლეინი და ვიცე კაპიტანი გოდერძი შველიძე

ინტერვიუ ტიმ ლეინთან

# ვიცი, რომ მთავარი თამაში რუსეთთან გვექნება

## კარგი იქნება, თუ მსოფლიო თასამდე არავისთან წავაგებთ!

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ერთა თასის გათამაშებაში ორი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მოიგო. რუმინელებისა და პორტუგალიელების ძლევა ბორჯღალოსნებმა საკმაოდ დამაჯერებლად შეძლეს. თუმცა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა სეზონში, ქართველ მორაგბეებს წინა აქვთ - შორეულ ციმბირში, კრასნოიარსკში, 12 აპრილს რუსეთის ნაკრებთან. ჩვენი გუნდის ავსტრალიელ მწვრთნელ ტიმ ლენთან საუბარი ამ თემით დავიწყეთ.

- ჩემთვის კარგადაა ცნობილი, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველები რუსებთან თამაშს. რაც ჩამოსული ვარ, ყველა მათთან მატჩზე ლაპარაკობს. ეგ კი არა და, "ტულონში" რომ ვმუშაობდი, ჯერ კიდე მაშინ მეუბნებოდა გია ლაბაძე, რუსებთან შეხვედრაში სათამაშოდ აუცილებლად უნდა გამიშვა, ჩვენთვის ეს თამაში ყველაზე მნიშვნელოვანიაო. რუსებს აპრილში ვეთამაშებით, მანამდე კი კიდევ ორი თამაში გვაქვს გასამართი. რასაც ცხადია, უფრო უკეთ შესათამაშებლად გამოვიყენებთ. იმედი მაქვს, რომ ამ მატჩისთვის ყველა ის მორაგბე შეძლებს ჩამოსვლას, ვინც აუცილებლად დაგვჭირდება. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

**- ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა თქვენი ხელმძღვანელობით უკვე ორი შეხვედრა გამართა. გუნდის შესაძლებლობები უფრო კარგად დაინახეთ. როგორ ფიქრობთ, რა აქვთ ბორჯღალოსნებს დადებითი და რაა ნაკლი, რომლის გამოსწორებაზეც დაუყოვნებლივ მუშაობაა საჭირო.**

- თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ რუმინელებთან, ანუ უფრო ძლიერ გუნდთან მეტი პოზიტიური დავინახე ჩვენი გუნდის თამაშში, ვიდრე პორტუგალიელებთან. კარგი იყო შერკინების თამაში, მოლი. მეტოქე ინდივიდუალურად ერთი-ერთზე თამაშშიც დავჯაბნეთ. მორაგბეებს ძალა დიდხანს შერჩათ. ხაზგასმით აღსანიშნავია სათამაშო დისციპლინა. პირველი ტაიმის ბოლოს ცოტა ავირიეთ. შესვენებაზე რა მითითებებიც მივეცი ზუსტად შეასრულეს და შედეგმაც არ დააყოვნა. კარგი იყო ფეხით თამაშიც. გუნდი უფრო შეკრული, შეთამაშებული გამოიყურებოდა.

**- რა მითითებები მიეცით გუნდს შესვენებაზე?**

- ვუთხარი, რაც შეიძლება დიდხანს შეენარჩუნებინათ ბურთი და გამუდმებით მოწინააღმდეგის მოედანზე ეთამაშათ. ირაკლი აბუსერიძესა და ლაშა მალაღურაძეს დავავალე, რაც შეიძლება ხშირად ეცვალათ შეტევის მიმართულება, რაც გააკეთეს კიდეც შესანიშნავად. პოზიტიური იყო, ასევე ისიც, რომ მთელ თამაშში მხოლოდ ხუთჯერ დავჯარიმდით. ეს კარგი მაჩვენებელია.

**- არაფერი გითქვამთ გუნდის ნაკლზე.**

- ნაკლი ძირითადად მოთამაშეების ტექნიკური წუნია. ბურთს ხშირად სრულიად უწყინარ სიტუაციებში ვკარგავდით. პრობლემები გვაქვს დაცვაში თამაშშიც.

**- თუ შეგიძლიათ, დაახასიათეთ გუნდი სათამაშო ამპლუების მიხედვით.**

- პირველი ხაზი ორივე თამაშში კარგი იყო. მხოლოდ ერთხელ იყო, ხუთმეტრიანი დერეფნიდან მოლით ლელო რომ ვერ გაიტანეს. ვფიქრობ აქ პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

მეორე ხაზში ძალიან მომეწონა მამუკა გორგოძე. ძალიან ძლიერი, დიდი პოტენციალის მქონე მორაგბეა. ბურთით რომაა, რაღაც განსაკუთრებულ, განსხვავებულად მწვავე სიტუაციებს ქმნის. ერთი სიტყვით, თავი კარგად წარმოაჩინა.

მესამე ხაზითაც კმაყოფილი ვარ. პრეტენზიები თითქმის არ მაქვს. მშვენიერი გამოდგა ირაკლი აბუსერიძისა და ლაშა მალაღურაძის წყვილი. ეს უკანასკნელი კარგად თამაშობს ფეხით და თამაშიც სწორად მიჰყავს.

კარგად წარმოაჩინა თავი შუამარბმა ირაკლი გიორგაძემ. ბურთს დიდხანს ინარჩუნებს, სახიფათოდ უტევს. ძალიან სასარგებლო მოთამაშეა.

დავით კაჭარავა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. განსაკუთრებით დაცვაში თამაშში. კოლოსალურ სამუშაოს ასრულებს.

მომეწონა ფულბეკიც, ოთარ ბარკალაია. ფეხით მშვენივრად ითამაშა, გადმოკიდებულ ბურთზეც დროულად მიდიოდა, ორიენტაცია არ ეშლებოდა. სერიოზული მორაგბეა.

გარემარბების ცოტა უკმაყოფილო ვარ. სწრაფები კი არიან, მაგრამ სივრცის აღქმა აკლიათ, ვერ მანევრირებენ. რუმინელებს უკეთესი გარემარბები ჰყავთ.

**- საქართველოს ნაკრებს ორივე შეხვედრაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. მათ შორის გარემარბებიც.**

- სამწუხაროდ, მხოლოდ გია ლაბაძესა და "მონ დე მარსანში" მოთამაშე ირაკლი მაჩხანელს ვიცნობ. შესაბამისად ვერ ვიტყვი, მათი ყოფნა რამდენად გააძლიერებს გუნდს. ცხადია, კარგი იქნება, თუკი ნაკრებს უკეთესი მორაგბეები შემოუერთდებიან. ჯერჯერობით კი ამ კონტინგენტთან ვაგრძელებთ მუშაობას.

**- პრივატულ საუბარში თქვენმა ასისტენტმა ლევან ცაბაძემ გამანდო, რომ მიზნად დაგისახავთ, მსოფლიო თასამდე არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში არ წააგოთ.**

- კარგი იქნება, თუ ამას შევძლებთ. თუ წავაგეთ, ეს ან იმის ბრალი იქნება, რომ შეცდომები დავუშვით ან მოწინააღმდეგე იყო ბევრად ძლიერი.

**- ორი კვირის განმავლობაში ქართველ მორაგბეებს ახლოს გაიცნობთ, როგორი ბიჭები არიან ისინი?**

- ძალიან კარგი ბიჭები არიან. მოედნის მიღმა დისციპლინირებულნი, თავაზიანები და მეგობრულები არიან. ურთიერთობაში პრობლემა არ გვაქვს. ეს ყველაფერი ერთი შეხედვით, ძნელია, 10-12 დღეში კარგად გაიცნო ყველა, მით უფრო, რომ მათ ენაზე არ ვლაპარაკობ. უახლოეს 2-3 წელიწადში ვფიქრობ, უკეთესად შევისწავლი ყველას. ასე რომ, მსოფლიო თასზე შეკრული, კარგად მომზადებულ გუნდი ვიქნებით.

**- ოჯახიდან საკმაოდ მოშორებული, უცხო გარემოში იმყოფებით. თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

- გოლფის თამაში მიყვარს, თბილისში კი გოლფის მოედანი არაა. ასე რომ, არ ვიცი, რა გავაკეთო. კარგი იქნება, თუ თავისუფალი დრო ნაკლებად მექნება. როგორც შევთანხმდით, წლეულს საქართველოში ექვსი თვე უნდა დავყო და ყველა ასაკობრივი ნაკრებისა და კლუბების მწვრთნელებს დახმარება გავუწიო. სამუშაო ბევრი მექნება და იმედი მაქვს, მაქსიმალურად დამტვირთავენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კლასიფიკაცია

# პირველად, მეთოთხმეტე ადგილზე!

საქართველოს ნაკრები არასოდეს ყოფილა ასე მაღლა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში - რუმინეთის ნაკრების 22:7 დამარცხებამ საქართველოს მეთოთხმეტე ადგილზე აღზევების საშუალება მისცა. ჩვენებმა რუმინეთის ნაკრებს გადაასწრეს და კანადას დაეწიენ. რეიტინგში მყოფ 95 ნაკრებიდან პროგრესი მხოლოდ საქართველოს ნაკრებმა განიცადა. "ბორჯღალოსნებმა" ზუსტად 15 ქულით მოუგეს რუმინელებს, რამაც მათი სარეიტინგო ქულები 67,25-მდე გაზარდა. ზუსტად ამდენივე ქულა აქვს კანადის ნაკრებს. შემდეგ მატჩში საქართველოს ნაკრები პორტუგალიას 23 თებერვალს ესტუმრება, თუმცა მეტი წინსვლა ერთა თასის დასრულებამდე შეუძლებელია, რადგან ტონგა (მე-13 ადგილი) 4 ქულაზე მეტით გვისწრებს. ჩვენს გუნდს ახლა მე-14 ადგილის დაცვა მოუწევს.

| IRB-ის რეიტინგ-ლისტი | |
|---|---|
| 1. სამხრეთ აფრიკა | 90,81 |
| 2. ახალი ზელანდია | 89,59 |
| 3. არგენტინა | 87,42 |
| 4. ავსტრალია | 84,20 |
| 5. ინგლისი | 83,83 |
| 6. საფრანგეთი | 82,13 |
| 7. ირლანდია | 78,20 |
| 8. უელსი | 76,79 |
| 9. ფიჯი | 75,88 |
| 10. შოტლანდია | 74,70 |
| 11. იტალია | 73,01 |
| 12. სამოა | 71,61 |
| 13. ტონგა | 71,51 |
| **14. საქართველო** | **67,25** |
| 14. კანადა | 67,25 |
| 16. რუმინეთი | 66,01 |
| 17. რუსეთი | 65,88 |
| 18. იაპონია | 65,35 |
| 19. აშშ | 64,68 |
| 20. ურუგვაი | 63,18 |
| 21. ესპანეთი | 62,30 |
| 22. პორტუგალია | 60,06 |
| 23. კორეა | 57,99 |
| 24. ჩილე | 57,07 |
| 25. ნამიბია | 56,82 |
| 34. ჩეხეთი | 51,92 |

## თარიღი



**ნანა იოსელიანი.** დაიბადა 12. 02. 1962, თბილისი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (1979). ორჯერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში: 1988 წელს მაია ჩიბურდანიძესთან (7.5:8.5), 1991-ში - სე ცზიუნთან (2.5:8.5). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების ხუთგზის ჩემპიონი (1980, 82 - სსრკ ნაკრებში; 1992, 94, 96 - საქართველოს ნაკრებში), მეორე (2002) და მესამე (1998) პრიზიორი. სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1981, 82, 86, 87). გოგონებს შორის ევროპის ორგზის ჩემპიონი (1978, 79). ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.



**გივი ჯანელიძე**

დღეს, 12 თებერვალს, 78 წლისა გახდებოდა, ზეგ 14 თებერვალს კი 40 დღე შესრულდება მისი გარდაცვალებიდან. მოხდა ისე, რომ მიზეზთა გამო, თანაც რთულ კლიმატურ პირობებში, ჩვენმა სპორტულმა საზოგადოებამ ამ ღვაწლმოსილ პიროვნებას ვერ მიაგო ჯეროვანი პატივი მშობლიურ რაჭაში. მაშინ ნეკროლოგიც ვერ გამოქვეყნდა.

გ. ჯანელიძე ქუთაისში დაიბადა პედაგოგების ოჯახში. ხუთი წლისა იყო, ოჯახი საცხოვრებლად რომ გადავიდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში. იქ გაატარა ბავშვობა, აღიზარდა ამ კუთხის ადამიანების ხალასი ურთიერთობების ტრადიციებზე, მისთვის სიცოცხლის ბოლომდე უწმინდესი იყო ადამიანების სიყვარული, ლხინსა და გაჭირვებაში მათ გვერდით დგომა, არაფერი გამორჩებოდა, ღირსეულთა ამაგის წარმოსაჩენად ხომ სადაც საჭირო იყო, მუდამ პირველი შეაწევდა სიტყვას.

ყმაწვილობიდან მოყოლებული ტრიალებდა სპორტულ სამყაროში. ერთნაირი წარმატებით გამოდიოდა სიმაღლეზე ხტომაში, ბადროს ტყორცნაში, მოკლე მანძილებზე რბენაში, ჯერ მოსწავლეთა შემდეგ კი სხვადასხვა დონის სტუდენტთა შეჯიბრებებში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სკოლაში დაიწყო მუშაობა ფიზაღზრდის მასწავლებლად თბილისში, სადაც 1960 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა. მერე დედაქალაქის სპორტსკოლაში გადაიყვანეს, იქიდან საქართველოს სპორტკომიტეტში, 1987 წლიდან კი სპორტის აკადემიის კადრების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. სხვადასხვა დროს იყო სპორტსაზოგადოებების პრეზიდიუმის, უმაღლესი სკოლების მეთოდკაბინეტის წევრი, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელმძღვანელი, საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციების და სიმპოზიუმების ორგანიზატორი და მონაწილე.

ყველგან, სადაც კი იმუშავა გ. ჯანელიძემ წარუშლელი კვალი დატოვა უპირველესად მაღალი პასუხისმგებლობის გამო, რასაც ის მუდამ ავლენდა ნებისმიერ საქმეში. ღვაწლიც დაუფასდა - დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, იყო საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, მინიჭებული ჰქონდა წარჩინებული მასწავლებლის წოდება.

გ. ჯანელიძის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება იმ ადამიანების გულებში, ვინც მას ახლოს იცნობდა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონია.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის აკადემია*



მანუჩარ მარკოიშვილი აზოვმაშთან წაგებულ ფინალში

საქართველოს მე-16 ჩემპიონატი. მე-16 ტური

# სად გაქრა ენერგია?

**რუსთავი, 11 თებერვალი**

**ენერჯი–ვითა 67:79**

15:27, 15:18, 21:19, 16:15

ენერჯი: ჩიტაშვილი (14ქ, 5პ), სტეფანოვი (12ქ, 11მ), ბოისა (12ქ, 8მ, 4პ), დიდია (8ქ), ლეჟავა (6ქ, 5მ), ლიპარტელიანი (6ქ), გოგობერიშვილი, ტუჯანი (9ქ, 6მ), ჭოჭუა

ვითა: მარხვაშვილი (25ქ, 5პ), ნ. ნოზაძე (2ქ), ბეჟანიშვილი (8ქ, 8მ), მ. ბერიშვილი (4ქ, 4პ), ლ. ნოზაძე (9ქ, 5მ), ნივნივაძე (11ქ, 8მ, 6პ), გვიმრაძე (20ქ, 12მ, 4პ), ძიძიგური (1ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 16 | 13 | 3 | 29 |
| 2. თსუ | 16 | 10 | 6 | 26 |
| 3. ავიამშენი | 16 | 8 | 8 | 24 |
| 4. დინამო | 16 | 7 | 9 | 23 |
| 5. ვითა | 16 | 6 | 10 | 22 |
| 6. მაკაბი | 16 | 4 | 12 | 20 |

საქართველოს ჩემპიონატის მე-16 ტური ორმაგად საინტერესო გამოდგა: ჯერ "დინამომ" მეორეადგილოსანი თსუ დაამარცხა, ხოლო გუშინ "ვითამ" ერთპიროვნულ ლიდერ "ენერჯის" მისსავე მოედანზე 79:67 სძლია.

შეიძლება, ვინმემ ამ წაგებას ერთგვარი გამართლება მოუძებნოს - მასპინძლებს ლიდერები **ლაშა გამყრელიძე** და **ზვიად ბაბიაშვილი** აკლდნენ, მაგრამ აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სერიოზული დანაკლისი "ვითასაც" ჰქონდა - რუსთავში ვერ ითამაშეს **დავით ბერძენიშვილმა** და **გიორგი მარკოიშვილმა**, ხოლო **ბერიშვილი** საოპერაციო რომ არის, ალბათ შეხსენება არ გჭირდებათ.

ასე რომ, დანაკლისი ორივე მხარეს ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი ის ხდება, ვინ აიღებს ლიდერობას და როგორ გაართმევს თავს. "ენერჯის" შემადგენლობაში ანატოლი ბოისამ 10-დან მხოლოდ 2 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო გუნდის სნაიპერმა **ბესიკ ლეჟავამ** რვავე შორეული ტყორცნა ააცილა, სერბმა **იოვან სტეფანოვმა** ბევრი იშრომა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში გუნდს ქულებით ვერ დაეხმარა.

თუ რუსთაველთაგან თანაგუნდელების აყოლიება ვერავინ შეძლო, "ვითაში" ეს გამთამაშებელმა **გიორგი მარხვაშვილმა** გააკეთა. მან 25 ქულა ჩააგდო, 5 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა და ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. მარხვაშვილს კარგად აუბა მხარი "ვითას" მეორე გამთამაშებელმა **ბექა ნივნივაძემ**, რომელმაც 11 ქულა, 8 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. ხოლო **დავით ბერძენიშვილი** ღირსეულად შეცვალა მისმა **სეხნია გვიმრაძემ** - 20 ქულა, 12 მოხსნა. გამოცდილ **ვაკო ბეჟანიშვილს** გუნდში რა ფუნქცია აქვს თავადაც მოგეხსენებათ. ტრავმირებული კოჭი საბოლოოდ მოიშუშა თბილისელთა სათადარიგო ცენტრმა **ლუკა ნოზაძემ**, რომელმაც წელს პირველად ითამაშა.

მატჩის მსვლელობაზე მეოთხედების ანგარიშებიც სათანადოდ გესაუბრებათ: სტუმრებმა თავიდანვე მოიპოვეს ფორა და როცა "ენერჯიმ" შეხვედრის ბედის გადაწყვეტა ერთი ამოსუნთქვით სცადა, გვიმრაძემ და მარხვაშვილმა მეტოქეს ამის საშუალება არ მისცეს.

ამ შეხვედრის შემდეგ დაიძაბა მდგომარეობა როგორც ცხრილის სათავეში, ასევე პლეიოფიში მომხვედრთა ზონაში. დანარჩენს ცხრილის გადახედვის შემდეგ თავად დაინახავთ. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში საუკეთესო ოთხეული გადის.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**



ზურაბ ტომარაძე ვითას წუთშესვენებაზე

ლეგიონი

# ერთი თასიც ვერ მოიყუდეს

გასული კვირა ევროპულ წამყვან საკალათბურთო ქვეყნებში სათასო ბატალიებით აღინიშნა. ესპანეთსა და იტალიაში თასის მეოთხედფინალში ის რვა გუნდი მოხვდა, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო რვეულებში შედიოდნენ. შესაბამისად, **ნიკა ცქიტიშვილის** "ტერამო" და **ტაირონ ელისის** "კახასოლი" ოფსაიდში აღმოჩნდნენ და ერთკვირიანი დასვენება მოუწიათ.

სათასო ბატალიებში **მანუჩარ მარკოიშვილი** და **ვლადიმერ ბოისა** მონაწილეობდნენ. წინასწარ გეტყვით: ვოვას "არისმა" საბერძნეთის თასზეასპარეზობა ნახევარფინალში დაასრულა, ხოლო **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" უკრაინის თასის ფინალში წააგო "აზოვმაშთან".

შუა კვირაში ბოისას თანაგუნდელები თასის ნახევარფინალში "ოლიმპიაკოსთან" ორი ქულის სხვაობით დამარცხდნენ - 70:72. ქართველმა ფორვარდმა 8 ქულას მოუყარა თავი.

ამ გუნდების შეხვედრა, საბერძნეთის ჩემპიონატის ეგიდით, კვირას ლამითაც შედგა და ანალოგიური შედეგით დასრულდა - "ოლიმპიაკოსმა" შინ 81:61 იმარჯვა. ანგარიშის მიხედვით აუცილებლად დაგრჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ მასპინძლებმა არისელები იოლად დაამარცხეს, მაგრამ საბედნიეროდ, გუშინ საღამოს "ევროსპორტმა" გადმოსცა ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი და ბევრ ქომაგს საკუთარი თვალით შეეძლო ენახა, რომ გორდონ ჰერბერტს "ოლიმპიაკოსზე" არანაკლები გუნდი ჰყავს. მართალია, მასპინძლებმა თავიდან 15 ქულის სხვაობით დაწინაურება მოახერხეს, მაგრამ ბოლო პერიოდში ბოისას თანაგუნდელებმა თამაშის აწყობა მოახერხეს და ცალდარისის ორქულიანის შემდეგ ანგარიში გაათანაბრეს - 55:55. სირენამდე 7 წუთი რჩებოდა და ათამაშებული "არისის" შეჩერება "ოლიმპიაკოსელებს" ძალიან უჭირდათ. სწორედ ამ დროს საქმეში ჩაერთვნენ ბერძენი მსაჯები და არასამართლიანი ჯარიმებით სტუმრები მწყობრიდან გამოიყვანეს, თამაში აურიეს და, წარმოიდგინეთ, რამდენად გაცხარდა მშვიდი გორდონ ჰერბერტი, რომ არბიტრებს მისი მოედნიდან გაძევება მოუწიათ. 55-ს რამდენი უნდა მივუმატოთ, რომ 80 გახდეს? დიახ, სწორედ 25:0 სპურტი მოაწყვეს ოლიმპიაკოსელებმა და საბოლოოდ 81:61 გაიმარჯვეს.

ვლადიმერ ბოისამ პარკეტზე 14 წუთი ითამაშა, 2-2 ქულა-მოხსნა და 4 ფოლი ჩაიწერა.

ქულაუხვი მატჩები არც მანუჩარ მარკოიშვილს ჩაუტარებია. უკრაინის თასის ნახევარფინალში მან "სუმიხიმპრომს" 13 წუთში 3 ქულა ჩაუგდო. "კიევმა" სუმელები თანაბარ ბრძოლაში 75:70 დაამარცხა.

ფინალში დედაქალაქელთა მეტოქე "აზოვმაში" იყო. ვინაიდან რეგულარულ ჩემპიონატში "კიევს" აზოვისპირელები დამარცხებული ჰყავდათ, ფინალშიც ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ტომო მაჰორიჩის შეგირდებს მეტოქემ ერთი წაფორხილება არ აპატია - მეორე მეოთხედი 24:12 მოუგო და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, სწორედ ეს ეპიზოდი გახდა გადამწყვეტი. "კიევმა" ბოლო მეოთხედში ბევრი იბრძოლა, მაგრამ 63:73 მარცხს თავი მაინც ვერ აარიდა.

ქართველი უკანახაზელის (რომელმაც რიგ ეპიზოდებში გამთამაშებლის ფუნქციები შეასრულა) წინააღმდეგ "აზოვმაშის" კალათბურთელები კარგად გაისარჯნენ და მიზანსაც მიაღწიეს - მანუმ 18 წუთში 3 ორქულიანი, 2 სამიანიააცილა და მატჩი უქულოდ დაასრულა. მის აქტივში მხოლოდ თითო მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა იყო.

"კიევი" მორიგ მატჩს უკრაინის სუპერლიგაში 15 თებერვალს ჩაატარებს - "ბუდიველნიკს" ესტუმრება. 19-ში კი ულების თასის მეთექვსმეტედფინალში ბელგიურ "ოსტენდეს" დაუპირისპირდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი. U-18

# ქებამ აწყინათ...

საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატზე გუშინ მეოთხე ტური გაიმართა. განსაკუთრებით საყურადღებო იმ მოჭადრაკეთა შეხვედრები იყო, ვინც თავიდან ფავორიტად არ ითვლებოდა და ლიდერებში გაერია. გოგონებში ასეთად **ანა კუჭავა** წარმოჩინდა, ბიჭებში კი **ალექსანდრე ებრალიძე**. გუშინდელ მიმოხილვაში მათზე შევაჩერეთ ყურადღება და დამსახურებულადაც ვაქეთ, მაგრამ როგორც ჩვენში ამბობენ ხოლმე, ქებამ აწყინათ და მეოთხე ტურში ორივემ წააგო. ანა კუჭავამ თეთრებით **ნინო ანაკიძესთან** ვერაფერი გააწყო, - დებიუტშივე დათმო ინიციატივა და ვითარების გამოსწორება ველარ მოახერხა. ებრალიძეს შავი ფერი ჰქონდა და მეტოქედაც ძლიერი მოჭადრაკე, **დიმიტრი კვარაცხელია** ჰყავდა. გამოცდილებამ თავისი გაიტანა და დიმიტრიმ მორიგი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში, - მას ახლა 4 ქულა აქვს, რაც მაქსიმალური შედეგია და ლიდერობაც ჩაიბარა, თუმცა ამ საქმეში ერთი მოცილე მაინც ჰყავს - **ირაკლი ჯანიაშვილი**. ირაკლიმ შავი ფერით ერთ-ერთი ფავორიტი **ზურაბ ჯავახაძე** დაამარცხა. დღეს ლიდერთა ბრძოლაში თეთრი ფერი ჯანიაშვილის მხარეს იქნება, რაც კიდევ უფრო ძაბავს შეხვედრას - რეიტინგით ფავორიტი ირაკლია - მეხუთე, კვარაცხელია კი ბევრით არ ჩამორჩება მეტოქეს - მეშვიდეა.

საინტერესო ბრძოლა გაიმართება მეორე დაფაზე სადაც უპირველესი ფავორიტი **ლევან ბრეგაძეა** (მან მეოთხე ტურში შავებით **კახაბერ წერეთელს** მოუგო) და უმცროსი თაობის გამორჩეულ მოჭადრაკეს, **ირაკლი ბერაძეს** ხვდება თეთრებით. ბრეგაძეს 3 ქულა აქვს, ბერაძეს კი - 3.5. ლევანი სტარტზე დაკარგულის აღმოფხვრას ეცდება, ირაკლის კი, ამ მატჩში ალბათ, გამარჯვება ძალიან გაუჭირდება და ყაიმზე ყაბულს იქნება.

3.5 ქულა კიდევ მხოლოდ ერთ მონაწილეს - **გიორგი ნიკოლაშვილს** აქვს; 3 ქულა კი ერთბაშად 8-ს მოუგროვებია...

გოგონებში ერთხელისუფლებიანობაა - 4 ქულით **ფატი რიჟამაძე** ლიდერობს. მან გუშინ თეთრებით აჯობა **ნათია ჯალაბაძეს**. მეორე დაფაზე კუჭავა-ანაკიძის შედეგზე მოგახსენეთ, არანაკლები ინტრიგა სდევდა მესამე დაფაზე მიმდინარე შეხვედრას, სადაც **მარიამ თევზაძე ლელა უგულავას** ხვდებოდა. თეთრებით თევზაძე თამაშობდა, მაგრამ საწყისი უპირატესობის გამოყენება ვერ მოახერხა - უგულავამ ინიციატივა იგდო ხელთ და დიდ უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ბევრს ფიქრობდა, რაც ცაიტნოტში მოხვედრის საშიშროებას უქადდა. ასეც მოხდა - ლელას დრო თვალსა და ხელს შუა შემოადნა და იქ, სადაც მშვიდად და ზუსტი გათვლით უნდა ეთამაშა, ნაჩქარევად მოუხდა გადაწყვეტილების მიღება. შედეგი კი სავალალო აღმოჩნდა: სვლები არაზუსტი აღმოჩნდა და თევზაძემ მუქარაც ხომ აირიდა, კონტრიერიშზეც გადავიდა და მოუგერიებელი თავდასხმა განახორციელა მეტოქის მეფეზე - 1:0 და თევზაძე ლიდერებში გაერია: მის გარდა სამი ქულა მხოლოდ **ანა შამათავასა** და ანა კუჭავას აქვთ. გოგონებში პირველი ნომერი **მერი არაბიძე** ჯერაც ჩამორჩება მონინავეებს, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ თეთრებით დაამარცხა **თეკლა მაჭარაშვილი**. არაბიძეს 2.5 ქულა აქვს მეექვსე-მეცხრე ადგილებს იყოფს ანა კუჭავასა და **ირმა გელდიაშვილთან** ერთად.

მეხუთე ტურში: **გოგონები:** ნინო ანაკიძე (3.5)-ფატი რიჟამაძე (4); ნათია ჯალაბაძე (3)-ანა შამათავა (3); მარიამ თევზაძე (3)-ანა კუჭავა (2.5); ირმა გელდიაშვილ (2.5)-მერი არაბიძე (2.5); ლელა უგულავა (2)-დეა ჩაკვეტაძე (2); ნანი უნაფქოშვილი (2)-მარიამ სულამანიძე (2); თეკლა მაჭარაშვილი (1.5)-დეა გოგიშვილი (2).

ბიჭები: ირაკლი ჯანიაშვილი (4)-დიმიტრი კვარაცხელია (4); ლევან ბრეგაძე (3)-ირაკლი ბერაძე (3.5); გიორგი ნიკოლაშვილი (3.5)-ნოდარ დავარაშვილი (3); ალექსანდრე მერაბიშვილი (3)-ზურაბ ჯავახაძე (3); ანდრო ერვანდინი (3)-ნოდარ ლორთქიფანიძე (3); თორნიკე ხურციძე (3)-თორნიკე გაბუნია (3); ლაშა კაჭარავა (2.5)-რევაზ ჭკუასელი (2.5); ალექსანდრე ებრალიძე (2.5)-ნიკოლოზ შენგელია (2.5); ალექსანდრე ხახუტაშვილი (2.5)-კახაბერ წერეთელი (2).

**ზვიად შათირიშვილი**



გიორგი ბაინდურაშვილი

# ოთხმოცდაერთიც გამოვაკეთეთ

**პარიზის** სუპერთასზე საქართველოს ნაკრების მონაგარი ერთადერთი ვერცხლია, თუმცა იგი ყველაზე საჭირო დროს და ყველაზე საჭირო ადგილზეა მოპოვებული - 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში, გიორგი ბაინდურაშვილის მიერ. მოგეხსენებათ, ლიცენზიის მოპოვება ყველაზე საჭოჭმანო სწორედ ამ წონაში იყო, ახლა კი საქმე სერიოზულად გამოსწორდა. ბუნებრივია, გადაჭრილი და გადაწყვეტილი არც ჯერაა რამე, მაგრამ მდგომარეობა კი საგრძნობლად გამოსწორდა და ბაინდურაშვილს საგზურის მოპოვების სერიოზული შანსი გაუჩნდა. ამ მოგებით მან 50 ქულა შეიმატა და 100 ქულა გაუხდა, თუმცა ჯერ კვლავაც მეშვიდეა. ერთი ეგაა, უკვე საგრძნობლად გაუსწრო მდევრებს.

**აქვე** კიდევ ერთხელ უნდა განვმარტოთ ლიცენზიის განაწილების ჩახლართული პრინციპი. რეიტინგის მიხედვით, საგზურს 9 სპორტსმენი იღებს, ოღონდ საამისოდ, მაინც და მაინც, 9 კაცში მოხვედრაც არაა საჭირო. საქმე ისაა, რომ ამ 9 ფალავანში არ შედიან ისინი, რომლებმაც მსოფლიო პირველობაზე უკვე გაინაღდეს საგზურები. ასევე არ შედიან მათი სხვა თანამემამულენი, ხოლო იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც რამდენიმე წარმომადგენელი მოუხვდებათ, მხოლოდ თითო საგზურია გათვალისწინებული - რადგან ფედერაცია მხოლოდ ერთ საგზურს იღებს, სხვები ავტომატურად აკლდებიან რეიტინგს. ამდენად, მოჭიდავე, შეიძლება, სადღაც მეთხუთმეტე ადგილზე გავიდეს, მაგრამ წინ მდგომთაგან იმდენი ამოვარდეს, ლიცენზია მაინც ერგოს. ბაინდურაშვილიც ასეთ მდგომარეობაშია - რეიტინგში მე-14, მაგრამ ზემოაღნიშნული კატეგორიების მიხედვით, რამდენიმე ფალავანი აკლდება და მეშვიდეზე გადადის. ჩვენდა ბედად, მსოფლიოზე ხუთმა ევროპულმა ქვეყანამ - საფრანგეთმა, პოლონეთმა, იტალიამ, ბრიტანეთმა და ჰოლანდიამ გაინაღდა ლიცენზია და ხუთივე ეს ფალავანი უსწრებს ბაინდურაშვილს. ახლა ისინი ავტომატურად აკლდებიან ჩათვლას. დაწინაურებულთაგან ავტომატურად ვარდება მეორე იტალიელიც - **ანტონიო კიანო**, რომელიც ლიდერთა შორისაა და ჩვენებურს სერიოზული კონკურენტი აკლდება.

ალბათ, ბუნებრივად გაჩნდება კითხვა, რისთვის მონაწილეობენ სალიცენზიო ტურნირებში ლიცენზიამოპოვებული ფალავნები ან მათი თანამემამულენი - მხოლოდ სატურნირო პრაქტიკისა და შიდა კონკურენციისთვის. ზემოთ ვთქვი, რომ საგზურს ფედერაცია იღებს და არა პირადად სპორტსმენი. ამდენად, ლიცენზიის მოპოვება ოლიმპიადაზე წასვლის გარანტია არაა. თუ მის მომპოვებელს უშუალოდ ოლიმპიადის წინ თუ კონკურენტმა აჯობა, მწვრთნელი უპრობლემოდ შეცვლის.

ვიდრე რეიტინგში არსებულ მდგომარეობას მიმოვიხილავთ, მანამ ის ვთქვათ, რომ პარიზის ტურნირის მოგებით მას რუსმა **ალიბეკ ბაშკაევმაც** გაუსწრო - 110 გაუხდა. თუმცა ამით ჩვენი მდგომარეობა არ იცვლება, რადგან ჩვენებურს მეორე რუსი - **სირაზუდინ მაგომედოვი** ისედაც უსწრებდა. რუსთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება - ამათგან მხოლოდ ერთი უნდა გავითვალისწინოთ, მეორე კი ავტომატურად ამოვარდება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გამო, სალიცენზიო რეიტინგს მოჭიდავეთა სოლიდური გუნდი აკლდება და ბაინდურაშვილი მეშვიდეა. ახლა მას გერმანელი **ოლე ბიშოფი**, ბელარუსი **სიარჰეი შუნძიკაუ**, პორტუგალიელი **ჟოაო ნეტო**, აზერბაიჯანელი **მემან აზიზოვი**, უკრაინელი **რომან გონტიუკი** და ორი რუსიდან ერთ-ერთი (მნიშვნელობა არა აქვს, მაგომედოვი თუ ბაშკაევი) უსწრებენ. ამათგან ბიშოფმა თითქმის გაინაღდა საგზური, თუმცა ვინ რომელ ადგილზე გავა, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ბაინდურაშვილს სხვებმა არ გადაუსწრონ. თავად ბაინდურაშვილის წარმატების გარდა, პარიზში ჩვენთვის სასიკეთო ისიც მოხდა, რომ ცუდად იჭიდავეს აზერბაიჯანელებმა. განსაკუთრებით, აზიზოვმა, რომელიც რეიტინგში გვისწრებს. აბსოლუტურად გვაწყობდა ფრანგი **ალენ შმიტის** ბრინჯაოც - ფრანგებმა ლიცენზია მსოფლიოზე მოიპოვეს, შმიტმა კი ამ წარმატებით სხვებს შეუშალა ხელი ქულების მოპოვებაში.

ჩვენთვის საინტერესო მდგომარეობაა რეიტინგის მომდევნო ადგილებზეც, ბაინდურაშვილის მდევართა შორის. მას კვალში **რაჯაბლი**, ჩვენივე **გრიგოლ შინჯიკაშვილი**, სლოვენიელი **კლემენ ფერიანი**, პოლონელი **ლუკაშ ბალანდა** და პორტუგალიელი **დიოგო ლიმა** უდგანან. ამათგან ბალანდა ავტომატურად ვარდება - ლიცენზია პოლონეთმაც მსოფლიოზე გაინაღდა, სხვების თანამემამულენი კი, ფერიანის გარდა, ისედაც უსწრებენ ბაინდურაშვილს. არსებითად, ამათგან რეალური კონკურენტი მხოლოდ სლოვენიელია, რადგან სხვები არა იმდენად ბაინდურაშვილს, არამედ უფრო თანამემამულეებს ებრძვიან სანაკრებო ადგილისათვის. ამ ჯგუფთან ყველაზე ახლოს შვეიცარიელი **კეისი კელერი** და ჩერნოგორიელი **სრდიან მრვალიევიჩი** დგანან, სხვები კი საკმაოდ შორს არიან. თუმცა ვინც დავასახელეთ, იმათგან არავინაა იმდენად ძლიერი, რომელიმე ტურნირის მოგება შეეძლოს, სხვა ხარისხის მედლების მოპოვება კი მაინც და მაინც, ბევრ ქულას ვერ შეჰმატებთ. მით უფრო, დარჩენილი სალიცენზიო ტურნირებიდან სუპერთასი მხოლოდ ერთია, რიგით თასებზე კი ბევრად დაბალ ქულებს იღებენ. ვიქონიოთ იმედი, რომ პარიზული მოულოდნელობა მომდევნო სალიცენზიო ტურნირებში არ განმეორდება.

**ბუნებრივია**, პარიზში მოპოვებული ერთი მედალი არანაირად არ აკმაყოფილებს ქართველი ქომაგის ამბიციას, რომელიც ძიუდოისტებმა ბევრად უკეთეს მონაგარს მიაჩვიეს, მაგრამ ასეთი მოკრძალებული შედეგები უსიამოვნო ტრადიციად მოგვდგამს. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს შეჯიბრება მხოლოდ და მხოლოდ 4 ქართველს მოუგია - **შენგელი ფიცხელაურს, ამირან ტოტიკაშვილს, გიორგი რევაზიშვილსა** და **გიორგი გუგავას**. თუმცა წლევანდელი ტურნირი წარუმატებელი მარტო ჩვენთვის კი არა, თავად მასპინძლებისთვისაც გამოდგა. ვაჟთა ტურნირში მონაწილე მათი 28-კაციანი შემადგენლობა მხოლოდ 2 ჯილდოს - თითო ოქროსა და ბრინჯაოს ამარა დარჩა. ოქრო მძიმეწონოსანმა **ტედი რინერმა** მოიპოვა, ბრინჯაო - ზემოხსენებულმა შმიტმა. თუმცა ეს ტურნირი მასპინძლებისთვის მაინც კოშმარულად ჩამთავრდა.

მსოფლიო თასზე მონაწილე გუნდები პარიზშივე დარჩნენ ერთობლივ შეკრებაზე და სეზონის მომდევნო სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან. მომდევნო შეჯიბრება მომავალ უქმეებზე ავსტრიულ ლეონდინგში გაიმართება, რასაც 23-24 თებერვალს ჰამბურგის სუპერთასი მოსდევს, 1-2 მარტს კი პრალის ტურნირია. სალიცენზიო მარათონს 11-13 აპრილს ლისაბონში გასამართი ევროპის ჩემპიონატი დაასრულებს. სწორედ ამის შემდეგ გამოვლინდება ლიცენზიის მფლობელი ის 9-9 კაცი ყოველ წონაში.

პარიზში ერთობლივ შეკრებაზე ჩვენი ნაკრებიც დარჩა. გუნდი სამშობლოში კვირის ბოლოს დაბრუნდება, ავსტრიაში საჭიდაოდ კი სულ სხვა შემადგენლობა გაემგზავრება: **ამირან პაპინაშვილი** და **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (60), **უჩა ხუციშვილი** (66), **თენგიზ პაპოშვილი** (73), **საბა გავაშელიშვილი** და **ლევან ნიკლაური** (81), **ვარლამ ლიპარტელიანი** და **ბესიკ ტყემალაძე** (90), **გიორგი ყიზილაშვილი** და **ზვიად ჩინჩალაძე** (+100). აქვე გეტყვით, რომ მწვრთნელები 100 კგ-ში არავის ნაყვანას არ აპირებდნენ, ყიზილაშვილს კი წონას არ აკლებინებდნენ და მძიმეში აჭიდავებდნენ. პარიზის ტურნირის შემდეგ მათ განზრახვებში რამე თუ შეიცვალა, ჯერჯერობით ვერ გეტყვით.

**ირაკლი თავაძე**



# ერთი ბრინჯაო, კურტანიძე მერვეზე

**ამ** უქმეებზე ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღება პარიზისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ძიუდოისტთა მსოფლიოს სუპერთასი ჩატარდა, თუმცა ანკარაშიც არანაკლებ მნიშვნელოვანი ტურნირი გაიმართა - იაშარ დოგუს სახელობის მემორიალი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც "ოქროს დიდი პრიზის" მეორე ეტაპიც გახლდათ. საქართველოს ნაკრები ამჟამად სომხეთში, წახკაძორშია შეკრებაზე და მისმა ხელმძღვანელობამ ანკარაში მეორე შემადგენლობა გააგზავნა. სამწუხაროდ, სათადარიგოებმა ვერ იხეირეს და მხოლოდ ერთადერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს - მძიმეწონოსანმა **ლაზარე მარსაგიშვილმა**. დანარჩენთაგან აღსანიშნავი **ნიკოლოზ გაგნიძის** (84) მეხუთე ადგილია, სხვებისთვის კი ესეც მიუღწეველი აღმოჩნდა. არადა, ანკარაში ჭიდაობდა **ლუკა კურტანიძეც** (96), რომელიც მერვეზე გავიდა.

**ირაკლი თავაძე**



# უძრაობის ხანა

**გუშინ** ATP-იმ ახალი რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** ოთხი საფეხურით დაიხია უკან. ლადოს 87 სარეიტინგო ქულა აქვს და მსოფლიო კლასიფიკაციაში 369-ე ადგილზეა. სხვები: 1219 (+1) **ნოდარ ითონიშვილი** - 4 ქულა, 1491 (-2) **გიორგი ხრიკაძე** და **გიორგი ჭანტურია** - 1-1. ნოდარ ითონიშვილი იტალიაში ბარის ტურნირის (10 ათასი დოლარი) საკვალიფიკაციო ბადეში მონაწილეობდა, სადაც პირველივე წრეში იტალიელ **ჯაკომო ორადინისთან** დამარცხდა - 3:6, 3:6.

ქალთა რეიტინგში (WTA) **მაკა ჩახნაშვილი** 148 ქულით მსოფლიოს 194-ე ჩოგანია, რაც გასული კვირის მაჩვენებელს სამი საფეხურით ჩამოუვარდება. ასე თუ გაგრძელდა, სამწუხაროდ, ჩვენს პირველ ჩოგანს მეორე ასეულის დატოვება მოუწევს. **ანა ტატიშვილი** 88 ქულით მსოფლიოს 282-ე ჩოგანია (+3). **სოფიო შაფათავამ** ერთი ადგილით წაიწია წინ და 46 ქულით 408-ე პოზიციაზეა მსოფლიო კლასიფიკაციაში. სხვები: 510 (+1) **თინათინ ყაველაშვილი** - 31 ქულა, 591 (-1) **სალომე დევიძე** - 22, 605 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 21, 641 (+3) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18, 694 (-1) **სოფიო ქვაცაბაია** - 16, 804 (-1) **ეკა გორგოძე** - 10 და 841 (+1) **სოფიო მელიქიშვილი** - 9.

სოფიო ქვაცაბაია მალიორკაშია, სადაც 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესეს. სოფიო პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან ესპანელ **მაგდა რიუტობოუს** მოუგო - 6:7, 7:6, 6:1. საკვალიფიკაციო წრეში მან ბელგიელ **ინეკ მერგაერტს** მოუგო - 6:3, 7:5 და ძირითად ბადეში გავიდა, სადაც მეორე ნომრად განთესილ იტალიელ **ლიზა საბინოს** (385) შეხვდება. პორტუგალიაში ასევე 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში **მაგდა ოქრუაშვილი** ჰოლანდიელ **ჩეინი ევიკს** შეხვდა და 0:6, 3:6 წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





# ლიუბეკი აღმა, დათუკაშვილი დაღმა

**გერმანული** სახელბურთო ბუნდესლიგის განახლება გამარჯვებით აღნიშნა **სერგო დათუკაშვილის** "ლიუბეკმა". ჩვენებურის გუნდი მერვეადგილოსან "გოპინგენს" დაუხვდა და მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით წააგო, შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა - 25:24.

ნამატჩევს, "ლიუბეკეს" მწვრთნელმა **ველიმირ კლიაიჩმა** კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ზამთრის არდადეგებზე შემადგენლობის გაძლიერება გუნდს უკვე დაეტყო. კლიაიჩის თქმით, ამ კონტინგენტით უძლიერესთა რეიგებში ადგილის შენარჩუნება სავსებით რეალურია.

რაც შეეხება დათუკაშვილის მონაგარს, იგი "გოპინგენთან" მატჩში ერთ გოლს დასჯერდა, ერთხელ კი მოედნიდან გააძევეს 2 წუთით. ამით სერგომ გვარიანად დაიხია უკან ბომბარდირთა დავაში და მე-14 ადგილამდე დაეშვა. მას 20 მატჩში 113 გოლი აქვს გატანილი. ტოპ- მეგოლეთა სიას "კილის" ხელბურთელი **ნიკოლა კარაბატიჩი** (135 გოლი) ლიდერობს, მეორე ადგილზეა **კონრად ვილჩინსკი** ("ფუქსე", 132), ხოლო სამეულს აგვირგვინებს ნორდჰორნელი **ჟან ფილიპი**, რომელსაც 129-ჯერ შეურხევია მეტოქეთა კარის ბადე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზამთრის არდადეგებზე "ლიუბეკმა" შემადგენლობა გააძლიერა. როგორც ჩანს, ამან ქართველის როლი შედარებით შეამცირა, რომელიც სეზონის პირველ ნახევარში, ფაქტობრივად, მარტო მიათრევდა გუნდს. ამდენად, იგი ალბათ, ძველებურად ბევრ გოლებს ველარ გაიტანს, მაგრამ, როგორც სერგო ამბობს, ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუნდი ბუნდესლიგიდან არ გავარდეს...

თუკი დათუკაშვილი დაბლა დაეშვა, სამაგიეროდ, მისმა გუნდმა, როგორც იქნა, თავი დააღწია გასავარდნ ზონას. "ლიუბეკემ" ერთი საფეხურით ზემოთ აიწია და 18-გუნდიან ბუნდესლიგაში მე-15 ადგილზეა.

**კობა ხატისაშვილი**

# 5 დარტყმა, 4 გოლი

**ევროპის** ხელბურთის ფედერაციის თასზე, **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგმა" მერვედფინალის პირველი მატჩი ჩაატარა. მაკედონიელები სკოპიეში ესპანურ "გრანოლერსს" 800 გულშემატკივრის წინაშე დაუხვდნენ. შესვენებაზე სტუმრები ერთბურთიანი უპირატესობით (13:12) გავიდნენ, მაგრამ მეორე ტაიმი ჭანტურიას გუნდმა უფრო უკეთ ჩაატარა და საბოლოოდ, 29:26 მოიგო. განმეორებითი შეხვედრა 17 თებერვალს შედგება ესპანეთში და თუკი "მეტალურგს" მეოთხედფინალში თამაში უნდა, 3 ბურთზე მეტით არ უნდა დამარცხდეს. რაც შეეხება ჭანტურიას მონაგარს, მან "გრანოლერსის" კარში 5-ჯერ დაარტყა და 4 გოლი გაიტანა.

**კობა ხატისაშვილი**



## გარნეტი რაშიდ უოლასმა შეცვალა

საბოლოოდ გადაწყდა, რომ "ბოსტონ სელტიქსის" ერთ-ერთი ლიდერი **კევინ გარნეტი** მონაწილეობას ვერ მიიღებს "ყველა ვარსკვლავის მატჩში", რომელიც შაბათს, ნიუ ორლეანში გაიმართება. 31 წლის კალათბურთელმა აქამდე ვერ მოირჩინა მუცლის კუნთის ტრავმა, რომლის გამოც უკვე ზედიზედ შვიდი მატჩი გამოტოვა.

*"არა მგონია, რომ გარნეტმა ამ კვირას თამაში შეძლოს. ის მომდევნო ორ ტურში და "ოლ სტარის" შეხვედრაში მოედანზე ვერ გავა"*, - აცხადებს "ბოსტონის" მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი**.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** უკვე მოუნახა გარნეტს შემცვლელი. ეს გახლავთ "დეტროიტ პისტონზის" ფორვარდი **რაშიდ უოლასი**.

## გარსია კიდევ ორ თამაშს გამოტოვებს

"საკრამენტო კინგზს" გამთამაშებელი **ფრანსისკო გარსია** გამოაკლდა. კალათბურთელი გუნდს გასვლით ტურნეში არ გაჰყვა.

გარსიას უთამაშებლობის მიზეზი ზურგის ტრავმაა. როგორც "კინგზის" ექიმები ვარაუდობენ, გამთამაშებელი "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდამდე ვერ დაეხმარება თავის გუნდს, რაც იმას ნიშნავს, რომ გარსიას კიდევ ორი თამაშის გამოტოვება მოუწევს. სავარაუდოდ ის გუნდს 19 თებერვალს, "პორტლენდთან" მატჩში შეუერთდება.

## სპრიუელი არ დაბრუნდება

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" ვეტერანმა მცველმა **სემ კასელმა** განაცხადა, რომ წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა **ლეთრელ სპრიუელმა** NBA-ის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. კასელი სპრიუელის ძველი მეგობარი გახლავთ.

*"სპრიუელი დაბრუნებას არ აპირებს. მას კალათბურთისგან ცუდი მოგონებები დარჩა. ორი წლის წინ, მას NBA-ში თამაშის გაგრძელებაზე ჩამოვუგდე სიტყვა და "კლიპერსში" დავპატიჟე. მეგონა მის დაყოლიებას მოვახერხებდი, მაგრამ კატეგორიულად განმიცხადა, რომ ყოველგვარი მოტივაცია აქვს დაკარგული"*, - ამბობს კასელი.

## მილერი მაიამიში გადადის

შესაძლოა, უახლოეს დღეებში "მაიამი ჰიტი" კიდევ ერთი მაღალი კლასის ოსტატით შეივსოს. ეს გახლავთ "მემფის გრიზლისის" თავდამსხმელი **მაიკ მილერი**, რომელმაც ამ დღეებში გამოთქვა თავისი ამჟამინდელი კლუბის დატოვებს სურვილი.

"ჰიტის" ხელმძღვანელობა უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს "მემფისთან". "მაიამი" მზად არის მილერის სანაცვლოდ ორი მცველი - **ჯეისონ უილიამსი** და **რიკი დევისი** დათმოს. სავარაუდოდ, გარიგება ძალიან მალე შედგება, მით უმეტეს, რომ NBA-ში გაცვლების განხორციელების პერიოდი 21 თებერვალს სრულდება.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, "ჰიტის" რიგებში "ფინიქსიდან" **შონ მერიონი** გადავიდა.

## დალასმა ფაზეკაში გამოიძახა

"დალას მავერიქსი" ერთ-ერთი ქვედა ლიგიდან ფორვარდ **ნიკ ფაზეკაშის** გამოძახებას აპირებს. "დალასმა" ეს კალათბურთელი 2007 წლის დრაფტზე 34-ე ნომრად აირჩია და გამოცდილების მისაღებად, კლუბ "ტუზლაში" გაამგზავრა. ახლა, როგორც ჩანს, ფაზეკაშს NBA-ში თავის გამოჩენის შანსი ეძლევა.

"დალასის" მთავარმა მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელთა ჩანაფიქრით, ფაზეკაში "მავერიქსს" "ყველა ვარსკვლავის" უიქ ენდის შემდეგ შეუერთდება.

## შაქის დებიუტი ამ კვირას იგეგმება

სავარაუდოდ, ძალიან მალე შედგება "ფინიქს სანზში" ვეტერანი ახალწვეულის, **შაკილ ო'ნილის** დებიუტი. ლეგენდარული ცენტრალური თავდამსხმელი პირველად "სანზის" მაისურს ოთხშაბათს, "გოლდენ სტეიტთან" მატჩში მოირგებს. იმ შემთხვევაში, თუ შაკმა "მეომრებთან" შეხვედრისთვის მაინც ვერ მოასწრო გამოჯანმრთელება, მაშინ ის აუცილებლად ითამაშებს მეორე დღეს "დალასის" წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ "ფინიქსმა" ო'ნილი "მაიამისთან" განხორციელებული გაცვლის შედეგად დაიმატა. მის სანაცვლოდ "სანზმა" ორი კალათბურთელი - **მერიონი** და **ბენქსი** დათმო.

## მესინას NBA-ში მუშაობა მოუნდა

მოსკოვის ცსკა-ს იტალიელმა დამრიგებელმა **ეტორე მესინამ** არ გამორიცხა მომავალში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე კლუბში მწვრთნელად მუშაობა. თავდაპირველად, წამყვან ევროპელ სპეციალისტს მწვრთნელის ასისტენტად სურს ძალების მოსინჯვა, ხოლო შემდეგ კი, მთავარ მწვრთნელობას აპირებს.

უკვე სახელდება ის სავარაუდო კლუბი, სადაც შეიძლება კარიერა გააგრძელოს იტალიელმა სპეციალისტმა. ეს გუნდია "კლივლენდ კავალიერზი", რომლის მთავარ მწვრთნელთან, **მაიკ ბრაუნთან** მესინას მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს.

## საფრანგეთი მსოფლიო ჩემპიონატს უმიზნებს

უკვე ორი ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას 2014 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძლობაზე. საფრანგეთის კალათბურთის ფედერაციამ FIBA-ში მამაკაცთა შორის XVII მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზების განაცხადი გააგზავნა.

ასე რომ, ახლა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ორი განაცხადია შეტანილი - ესპანეთის და საფრანგეთის. არ არის გამორიცხული, ამ ორ ქვეყანას მალე რუსეთიც შეუერთდეს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ხასიათების ბრძოლა

სავსებით გასაგებია "სან ანტონიო სპურსის" მთავარი მწვრთნელის, **გრეგ პოპოვიჩის** აღშფოთება **პაუ გასოლის** "ლოს ანჯელეს ლეიკერსში" გადასვლასთან დაკავშირებით (ამის შესახებ ჩვენს გუშინდელ ნომერში ვწერდით). რაც უფრო ახლოვდება პლეი ოფის ეტაპი, მით უფრო უფუჭდება ხასიათი სახელოვან სპეციალისტს. ამ ეტაპზე NBA-ის მოქმედი ჩემპიონი სამხრეთ-დასავლეთი კონფერენციის შუაშია გაჩხერილი და უნდა ვაღიაროთ, რომ გაუგებარია, რის ხარჯზე აპირებენ "დეზები" დივიზიონის ლიდერის, "ნიუ ორლეანის" დაწევას. ასეთ სიტუაციებში გამობრძმედილი მწვრთნელი კარგად ხვდება, რომ მხოლოდ **ტიმ დანკანის** წყალობით ჩემპიონობის შენარჩუნება ურთულესი (და იქნებ, შეუძლებელიც) საქმე იქნება. **მანუ ჯინობილის** მონდომება კი, დიდი ამოცანების შესასრულებლად არასაკმარისია. კვლავაც თამაშგარე მდგომარეობაშია NBA-ში ერთ-ერთი საუკეთესო ევროპელი ლეგიონერი: ფრანგმა **ტონი პარკერმა** თავისი გუნდის ზედიზედ მეექვსე შეხვედრა გამოტოვა.

თავსატეხი საკმარისად აქვს პოპოვიჩის გუშინდელ ოპონენტს, "ბოსტონ სელტიქსის" მთავარ მწვრთნელ **დოკ რივერსსაც**. ბოსტონელთა ლიდერი **კევინ გარნეტი** გამოჯანმრთელებას არ ჩქარობს და უკვე ყველასთვის ცნობილი გახდა, რომ ეს კალათბურთელი "ყველა ვარსკვლავის მატჩს" ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. ასევე ტრავმის გამო არ თამაშობს ცენტრალური თავდამსხმელი **კენდრიკ პერკინსი**. ასე რომ, გუშინდელ დაპირისპირებაში ის გაიმარჯვებდა, ვისაც უკეთესი ხასიათი ექნებოდა.

თამაშის დაწყებიდანვე მოჰკიდა საქმეს ხელი **პოლ პირსმა** და პირველ მეოთხედში მის ანგარიშზე უკვე 14 ქულა იყო, ხოლო მისთვის ბურთის მთავარი მიმწოდებელი **რაჟონ რონდო** გახდა, რომელმაც საწყის 12 წუთში 5 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. რომ არა მანუ ჯინობილი, სტუმრების საქმე ძალიან ცუდად წავიდოდა, მაგრამ არგენტინელის მონდომებით, ტეხასელებმა პირველი მეოთხედის მოგებაც კი მოახერხეს, მაგრამ მეორეში და მესამეში "ბოსტონმა" არანაირი შანსი არ დაუტოვა მოქმედ ჩემპიონს და ეს იმ დროს, როცა "სელტიქსმა" მესამე მეოთხედში 19-დან მხოლოდ 10 საჯარიმო გამოიყენა.

მოულოდნელობები არც მეოთხე მეოთხედში მომხდარა: სტუმრებმა მაინც ვერ შეძლეს პოლ პირსის შეჩერება, რომელიც იმ დღეს ძალიან ნაყოფიერად ირჯებოდა: 35 ქულა და "ცოცხალი" ტყორცნების გამოყენების 61 პროცენტი (ასე რომ, პირსს უნდა ეპატიოს 5 შეცდომის დაშვება). "ბოსტონმა" ბოლო 11 წლის განმავლობაში პირველად მოუგო საკუთარ მოედანზე "სან ანტონიოს" - და დოკ რივერსაც ხასიათი გამოუკეთდა.

### ტურის გმირი: შონ მერიონი

გუშინდელ ტურში ყველაზე დიდი ყურადღება ერთი კალათბურთელისკენ იყო მიპყრობილი - **შონ მერიონმა** პირველად მოირგო "მაიამი ჰიტის" მაისურა. აქედანვე უნდა ითქვას, რომ გამოცდილმა ფორვარდმა ზეწოლას გაუძლო და სადებიუტო მატჩში საუკეთესო თვისებები გამოავლინა. მან "ლეიკერსის" წინააღმდეგ ერთი ამოსუნთქვით შეასრულა პირველი მაიამური ორმაგი დუბლი - 15 ქულა და 14 მოხსნა. ხოლო ის, რომ "ჰიტმა" კიდევ ერთხელ წააგო, არავის გაკვირვებია, მით უმეტეს, რომ ბრწყინვალედ მოქმედებდა **კობი ბრაიანტის** გუნდი.

მიუხედავად წაგებისა, გუშინ ყველამ დაინახა, რომ "მაიამი" ჯერაც ცოცხლობს. **პატ რაილის** გუნდის მოქმედებებს სიცოცხლე სწორედ მერიონმა შესძინა. თუმცა ამ გუნდს, შონის გარდა, სასწაულმაც უნდა უშველოს... მანამდე კი, "მაიამიმ" ბოლო 23 მატჩში 22-ე წაგება გაიფორმა.

### ტურის ანტიგმირი: ვაშინგტონი

თებერვალში დედაქალაქური კლუბმა ვერაფრით უპოვნა გასაღები გამარჯვებებს. თითქოს, "ვაშინგტონის" კალათბურთელები ყველაფერს სწორად აკეთებენ, სტაბილურად თამაშობს **ანტუან ჯეიმისონი**, ხოლო "ფინიქსთან" მატჩში მას **ბრენდან ჰეივუდიც** დაეხმარა, რომელმაც ამ სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა - 21 ქულა. და მაინც, მოგება მაინც არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, თებერვალში.

"უიზარდს" "ფინიქსის" დამარცხების ყველა შანსი ჰქონდა. შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს "სანზის" ახალწვეული **შაკილ ო'ნილი,** მაგრამ არიზონელები მის გარეშეც გავიდნენ ფონს: საფინალო სირენამდე 8.8 წამით ადრე, ჯეიმისონმა ორ ქულამდე შეამცირა "ვაშინგტონის" ჩამორჩენა, მაგრამ **ამარე სტაუდმაიერმა** ორი ზუსტი საჯარიმოთი სტატუს-კვო აღადგინა. **დეშონ სტივენსონის** სამქულიანი ზუსტი კი გამოდგა, მაგრამ საბოლოო შედეგზე მას გავლენა არ მოუხდენია - "ვაშინგტონმა" ზედიზედ მეშვიდე მატჩი წააგო, რაც, ბუნებრივია, მშვიდი ძილის საშუალებას ვერ მისცემს გუნდის მთავარ მწვრთნელ **ედი ჯორდანს**.

### ტურის ციფრი: 8

კვლავინდებურად ძალიან კარგ და საიმედო კალათბურთს თამაშობს "დეტროიტ პისტონზი". გასულ ტურში, ეს გუნდი ერთი თავით მაღლა იდგა კრიზისში მყოფ "შარლოტ ბობკეტსზე".

ის, რომ "ბობკეტსი" დეტროიტში ვერ მოიგებდა, პირველივე მეოთხედში გახდა ცნობილი: **ტაიშონ პრინსმა** თავისიანების 21 ქულიდან 14 თავის ანგარიშზე მიითვალა, ხოლო სტუმრებმა თამაშიდან 12 ტყორცნა (14-დან) გააფუჭეს.

"დეტროიტი" კი რეკორდზე მიდის - ბოლო 11 დღეში მეხუთე გამარჯვება და ზედიზედ რვამატჩიანი წაუგებელი სერია.

### ტურის ციტატა

*"ვიცი, რომ ლებრონი ვერ მიტანს, როცა მას ვამარცხებ"*, - განაცხადა **კარმელო ენტონიმ** ლებრონ ჯეიმსისთვის მორიგი დუელის მოგების შემდეგ. გასულ სალამოს, კარმელოს "დენვერმა" მისსავე მოედანზე დასცა "კლივლენდი" და თანაც ისე, რომ მოწინააღმდეგეს ერთი მეოთხედიც არ მოაგებინა.

**ბოსტონი-სან ანტონიო 98:90**

20:23, 23:18, 25:20, 30:29

**ბოსტონი:** პირსი (35 ქ), ალენი (19 ქ), პაუსი (10), რონდო (5 ქ. 11 მ. 12 პ).

**სან ანტონიო :** დანკანი (22 ქ. 14 მ. 6 პ), ჯინობილი (21 ქ), ფინლი (19 ქ).

**მაიამი-ლეიკერსი 94:104**

24:25, 23:26, 26:31, 21:22

**მაიამი:** ბლაუნტი (22 ქ), უეიდი (19 ქ. 9 პ), მერიონი (15 ქ. 14 მ), რაიტი (15 ქ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (33 ქ), ოდომი (15 ქ. 18 მ. 6 პ), ვუიაჩიჩი (13 ქ), გასოლი (12 ქ. 7 მ).

**მინესოტა-ტორონტო 82:105**

25:29, 22:22, 14:26, 21:28

**მინესოტა:** ჯეფერსონი (18 ქ. 9 მ), იარიჩი (11 ქ), ტელფეირი (6 ქ. 9 მ).

**ტორონტო:** ბარნიანი (16 ქ), კალდერონი (15 ქ. 10 პ), ბოში (14 ქ. 9 მ), ფორდი (7 ქ. 13 პ).

**კლივლენდი-დენვერი 83:113**

24:35, 21:28, 19:27, 19:23

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (30 ქ), ჰიუზი (14 ქ), ილგაუსკასი (9 ქ. 10 მ).

**დენვერი:** ენტონი (27 ქ. 8 მ), აივერსონი (25 ქ. 13 პ), სმიტი (18 ქ), კემბი (8 ქ. 17 მ).

**ნიუ ჯერსი-დალასი 101:82**

21:22, 25:18, 31:21, 24:21

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (29 ქ. 9 მ), ჯეფერსონი (19 ქ), უილიამსი (15 ქ), კიდი (13 ქ. 14 პ).

**დალასი:** ნოვიცკი (21 ქ. 8 მ), ჯოშ ჰოვარდი (16 ქ), ბასი (13 ქ. 6 მ).

**დეტროიტი-შარლოტი 113:87**

29:13, 26:25, 28:24, 30:25

**დეტროიტი:** პრინსი (21 ქ), ჰემილტონი (18 ქ), ბილაპსი (11 ქ. 7 პ), მაკდაიესი (8 ქ. 12 მ).

**შარლოტი:** რიჩარდსონი (27 ქ. 5 პ), ფელტონი (14 ქ), მოჰამედი (10 ქ. 8 პ).

**ფინიქსი-ვაშინგტონი 108:107**

27:21, 24:25, 34:35, 23:26

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (31 ქ. 13 მ. 4 დ), ბელი (21 ქ), ჰილი (13 ქ), დიაო (13 ქ), ნეში (10 ქ. 12 პ).

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (28 ქ. 10 მ), ჰეივუდი (21 ქ. 10 მ), მეისონი (18 ქ), სტივენსონი (18 ქ), ბლეტჩი (10 ქ. 11 მ).




ჯინობილიმ პოლ პირსს (მარჯვნივ) ვერაფერი მოუხერხა

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ფილადელფია 4:3**

1:1, 2:0, 1:2

**გოლები:** 0:1 უმბერგერი-10 (ჯ. კარტერი-16, რ. ჯონსი-20), 1:1 სიკორა-18 (მალკინი-40, მელოუნი-13), 2:1 გონჩარი-9 (მალკინი-41, ლეტანგი-9), 3:1 მალკინი-31 (სიკორა-21, მელოუნი-14), 3:2 უმბერგერი-11 (დაუნი-6, ჯ. ვანდერმეერი-12), 4:2 ლეტანგი-4 (მალკინი-42, სიკორა-22), 4:3 პარტნელი-18 (მ. რიჩარდსი-39, კ. ტიმონენი-22).

**ვაშინგტონი-რეინჯერსი 3:2 (ო)**

1:1, 1:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-47 (ფერი-1, ბექსტრიომი-36), 1:1 შ. ეივერი-6 (გომესი-42, მარა-15), 1:2 დრური-18 (სტრაკა-13), 2:2 გორდონი-5 (ოვეჩკინი-28, სიომინი-9), 3:2 მ. გრინი-15 (ოვეჩკინი-29, სიომინი-10).

**დეტროიტი-ანაჰაიმი 2:3**

1:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 დაციუკი-19 (ლიდსტრიომი-48, ზეტერბერგი-37), 1:1 რ. კარტერი-3 (რ. ნიდერმაიერი-5, მარჩანტი-6), 1:2 შნაიდერი-8 (კუნიტცი-19, გეტცლაფი-41), 1:3 ჰასკინსი-3 (შნაიდერი-20), 2:3 ფრანცენი-11 (ჰუდლერი-22, სამუელსონი-22).

**სენტ ლუისი-მინესოტა 1:2 (ბ)**

1:1, 0:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 გაბორიკი-29 (კ. იონსონი-17, ფედორუკი-6), 1:1 კარია-14 (ე. მაკდონალდი-26, ბრიუერი-14).

**ბულიტები გაიტანეს:** ბოიესი (სენტ ლუისი), დემიტრა (მინესოტა), ბერნსი (მინესოტა).

**კოლამბუსი-ლოს ანჯელესი 2:3 (ბ)**

1:1, 1:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კოპიტარი-23 (კამალერი-17, დ. ბრაუნი-18), 1:1 პეინსი-6 (ფერდიოვი-25, პეკა-20), 1:2 კოპიტარი-24 (ო'სალივანი-17), 2:2 ნეში-29 (პეკა-21, ტარნსტრიომი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ნეში (კოლამბუსი), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), ო'სალივანი (ლოს ანჯელესი).

**ბაფალო-ფლორიდა 5:3**

0:1, 3:1, 2:1

**გოლები:** 0:1 მეზეი-2 (ჰორტონი-29, ბუტი-10), 1:1 კალეტა-1 (მეირი-4, პიტერსი-1), 2:1 პომინვილი-15 (პრატი-4), 3:1 დ. რუა-20 (ვანეკი-19, ბ. კემპბელი-33), 3:2 ო. იოკინენი-29 (მაკლინი-12, ბოუმისტერი-15), 3:3 ჰორტონი-17 (უეისი-23), 4:3 ვანეკი-17 (ბ. კემპბელი-34, პომინვილი-34), 5:3 დ. რუა-21 (მპაჩეკი-14, ბ. კემპბელი-35).

**ფინიქსი-ნეშვილი 3:6**

1:3, 2:0, 0:3

**გოლები:** 0:1 ბონკი-12 (პევერლი-3, ჟიდლიცკი-26), 0:2 ლეგვანდი-13 (დუმონი-29, შ. უებერი-8), 0:3 არნოტი-19 (დუმონი-30, რადულოვი-22), 1:3 დოუნი-18 (პ. მიულერი-20, ჟ. პერო-8), 2:3 ვინიკი-7 (უელერი-5, იორკი-7), 3:3 ჟოვანოვსკი-8, 3:4 დუმონი-20 (რადულოვი-23, არნოტი-31), 3:5 პევერლი-2 (ბონკი-12, ლეგვანდი-26), 3:6 გელინასი-9 (ფიდლერი-14, დევრისი-9).

**ვანკუვერი-ჩიკაგო 3:2 (ბ)**

0:0, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ბაროუზი-7 (პ. სედინი-44), 1:1 შარპი-26 (ტეუვზი-18, ბარკერი-5), 1:2 ბარკერი-2 (ვიშნიევსკი-10), 2:2 ნესლუნდი-20 (ოლუნდი-10, სალო-10).

**ბულიტები გაიტანეს:** შენონი (ვანკუვერი).



ოლოფ კიოლციგმა მე-700 მატჩი ითამაშა

### ტურის მოვლენები

- "პიტსბურგის" რუსმა ლეგიონერმა **ევგენი მალკინმა** ბოლო ორ მატჩში შვიდი ქულა დააგროვა. მას შემდეგ, რაც "პინგვინებს" ტრავმის გამო **სიდნი კროსბი** დააკლდათ, მალკინმა 21 ქულის (8+13) დაგროვება შეძლო (10 მატჩში). თავად "პიტსბურგმა" კროსბის გარეშე 6 შეხვედრა მოიგო.

- "პინგვინზმა" ბოლო 6 მატჩში ოთხი მოგება მიითვალა და საკუთარი დივიზიონის ლიდერი გახდა.

- "ფილადელფიას" ვარსკვლავ ფორვარდს **დანიელ ბრიერს** ზედიზედ რვა ტურია გოლი არ გაუტანია.

■ ■ ■

- "ვაშინგტონის" გერმანელმა მეკარემ **ოლაფ კიოლციგმა** კარიერაში მე-700 მატჩი ჩაატარა და 296-ე გამარჯვებას მიაღწია. ამ მაჩვენებლით ის ყველა დროის სიაში "ფილადელფიას" ლეგენდარულ მეკარეს, **რონ ჰექსტოლს** გაუტოლდა, რომელთანაც 23-ე ადგილს იყოფს. კიოლციგი "ვაშინგტონის" ისტორიაში პირველი გოლკიპერია, ვისაც კარიერაში 700 მატჩი დაუგროვდა.

- "კეპიტალზის" ფორვარდმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა** სამი ქულა მიითვალა და 76 ქულით (47+29) სათავეში უდგას ბომბარდირთა დავას. ეს თავდამსხმელი აგრეთვე ლიგის ლიდერია რიცხობრივ უპირატესობაში გატანილი გოლების რაოდენობით - 17.

- "ნიუ იორკმა" შეწყვიტა სტუმრად 4-მატჩიანი მოგებათა სერია.

- "რეინჯერსის" ფორვარდი **იარომირ იაგრი** ზედიზედ შვიდი მატჩია უგოლოდ ტოვებს ყინულს.

■ ■ ■

- სტენლის თასის მფლობელმა "ანაჰაიმმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

- "დეტროიტის" ვეტერანმა მცველმა კარიერაში 1600-ე მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- "სენტ ლუისს" ბოლო 13 ტურში მხოლოდ ორი მოგება აქვს და ამის გამო, "ბლუზმენები" დასავლეთ კონფერენციაში მე-12 ადგილამდე ჩამოქვეითდნენ.

■ ■ ■

- "ლოს ანჯელესმა" შეწყვიტა ოთხმატჩიანი ნაგებათა სერია.

- "კოლამბუსმა" შინ ზედიზედ მეოთხედ წააგო.

■ ■ ■

- "ბაფალომ" ბოლო რვა მატჩში ექვსი მოიგო.

- ბაფალოელთა მეკარემ, **რაიან მილერმა** კარიერაში მე-100 გამარჯვებას მიაღწია.

- "ფლორიდამ" ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ მეორედ წააგო.

■ ■ ■

- "ფინიქსს" საკუთარ მოედანზე უარყოფითი ბალანსი აქვს. **უეინ გრეტცკის** გუნდმა მასპინძლის რანგში 26-დან 15 მატჩი წააგო.

■ ■ ■

- "ვანკუვერმა" ამ სეზონში ოციდან ოცი მატჩი მოიგო იმ დროს, როცა ორი პერიოდის შემდეგ მიჰყავდა ანგარიში. მასპინძელმა **მარკუს ნესლუნდმა** ძირითადის დასრულებამდე წუთითა და 18 წამით ადრე გაათანაბრა ანგარიში.

# კრივი

## კლიჩკო VS იბრაჰიმოვი

# მძიმეწონოსანი ამფიბია

სუპერმძიმე წონაში IBF-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს, უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** ეჭვი ეპარება, რომ WBO-ს საჩემპიონ ქამრის მფლობელთან, რუს **სულთან იბრაჰიმოვთან** გამაერთიანებელი ბრძოლაში გამარჯვებულის გამოვლენას, დაგეგმილი 12 რაუნდის ჩატარება დასჭირდება. როგორც ცნობილია, ეს საინტერესოა ორთაბრძოლა 23 თებერვალს, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენში" უნდა გაიმართოს.

გერმანული "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში უმცროსი კლიჩკო ამბობს, რომ მისი მოწინააღმდეგე ადრე დაეცემა რინგზე. ამავე აზრზეა უკრაინელის მწვრთნელი **ემანუელ სტიუარდი**. *"იბრაჰიმოვი თავიდანვე ეცდება მაღალი ტემპით ბრძოლის წარმართვას და პირველივე რაუნდებში სისწრაფეზე იმუშავებს. ასე იქამდე გაგრძელდება, სანამ მას სუნთქვა არ უმტყუნებს. აი მაშინ კი, ვლადიმერის ჯერიც დადგება"*, - ამბობს მწვრთნელი.

კლიჩკო უკვე დიდი ხანია ემზადება ამ ბრძოლისთვის და მან თავის სანვრთნელ პროცესში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანა. კერძოდ, ვლადიმერი კვირაში ერთხელ წყალში ატარებს მეცადინეობებს - აუზში ის "ჩრდილთან" ბრძოლას მართავს, სპარინგ-პარტნიორთან ვარჯიშობს და ფსკერზე გარბენებს აკეთებს.



როგორც ჩანს, კლიჩკომ მსგავს ზომებს მას შემდეგ მიმართა, რაც ერთ-ერთ ამერიკულ არხზე იბრაჰიმოვის მენეჯერის, **ბორის გრინბერგის** უკრაინელი მოკრივისადმი შეურაცხმყოფელი ფრაზები გაისმა, რომელთა გამეორებაც გაზეთის ფურცლებზე უადგილოდ გვეჩვენება.

# ჩოგბურთი

## რეიტინგები

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 6555 |
| 2(2). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3827 |
| 3(3). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3760 |
| 4(4). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3695 |
| 5(5). მარია შარაპოვა (რუს) | 3061 |
| 6(7). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2925 |
| 7(6). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2720 |
| 8(8). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2682 |
| 9(9). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2198 |
| 10(10). სერენა უილიამსი (აშშ) | 2022 |
| 11(13). ელენა დემენტიევა (რუს) | 1915 |
| 12(12). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1817 |
| 13(14). პატი შნიდერი (შვეიც) | 1756 |
| 14(11). ნადია პეტროვა (რუს) | 1638 |
| 15(16). დინარა საფინა (რუს) | 1632 |
| 16(15). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1632 |
| 17(17). შაარ პეერი (ისრ) | 1480 |
| 18(20). აგნეს შავაი (უნგ) | 1478 |
| 19(18). ამელი მორესმო (საფ) | 1398 |
| 20(19). სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1286 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1000 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 825 |
| 3. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 555 |
| 4. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 525 |
| 5. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 520 |
| 6. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 366 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 366 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 300 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 280 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუს) | 266 |
| 11. ვენუს უილიამსი (აშშ) | 250 |
| 11. სერენა უილიამსი (აშშ) | 250 |
| 13. ნა ლი (ჩინ) | 230 |
| 14. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 225 |
| 15. ვირჟინ რაზანო (საფ) | 196 |
| 16. ამელი მორესმო (საფ) | 195 |
| 17. აგნეს შავაი (უნგ) | 193 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 192 |
| 19. შაარ პეერი (ისრ) | 190 |
| 20. კაისი დელაკუა (ავსტრა) | 186 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 145 076 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 599 240 |
| 3. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 321 398 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 313 458 |
| 5. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 238 635 |
| 6. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 233 378 |
| 7. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 233 021 |
| 8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 175 132 |
| 9. ვენუს უილიამსი (აშშ) | 166 288 |
| 9. სერენა უილიამსი (აშშ) | 166 288 |
| 10. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 157 204 |
| 11. შაარ პეერი (ისრ) | 150 785 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 145 247 |
| 13. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 115 701 |
| 14. ელენა დემენტიევა (რუს) | 102 818 |
| 15. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 99 410 |
| 16. ჟი იანი (ჩინ) | 95 311 |
| 17. ვ. რუანო პასკუალი (ესპ) | 91 861 |
| 18. ნადია პეტროვა (რუს) | 88 737 |
| 19. სანია მირზა (ინდ) | 87 493 |
| 20. ა. მედინა გარიგესი (ესპ) | 86 806 |

# TV სპორტი

**12 თებერვალი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
21:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:55 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერი სიტი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:02 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 სპორტკლუბი.
10:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
13:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
15:27 სპორტდოსიე.
15:55 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვა. ზაგრები. ხორვატია.
18:42 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერი სიტი.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:45 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ლანსი-დინამო (კ).
22:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
01:40 სპორტის სამყარო.
02:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
02:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბლექბერნი.
04:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
06:02 სპორტდოსიე.
06:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კოლორადო-ანაჰაიმი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
11:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ოსტერსუნდი. შვედეთი.
12:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ფინალი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
14:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. II დღე. ანტვერპენი. ბელგია (LIVE).
16:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ოსტერსუნდი. შვედეთი.
17:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. შერეული რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი (LIVE).
18:45 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. შერეული რბოლა. ოსტერსუნდი. შვედეთი.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
03:00 ავტოსპორტი. დეიტონას 24 საათიანი რბოლა. აშშ.
04:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
04:15 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ტორონტო.
14:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. ოლიმპიაკოსი-არისი.
15:00 ახალი ამბები.
16:45 სნუკერი. უელსის ჩემპიონატი. II დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
18:30 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. როჩესტერი-ტორონტო.
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები (LIVE).
22:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
23:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები (LIVE).
01:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
02:30 რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**არსენალი-ბლექბერნი 2:0**

**არსენალი:** ლემანი, კლიში, გალასი, სანია, სენდეროსი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ედუარდო და სილვა.

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ბერნერი, ხიზანიშვილი, ოოიერი (80. რიგტერსი), უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი (77. ა. მოკოენა), რიდი, მაკარტი (77. რობერტსი), სანტა კრუსი.

**გოლები:** 1:0 სენდეროსი (4), 2:0 ადებაიორი (90)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 13(9)-6(2); **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 2-5; **ჯარიმა:** 12-6; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 26 | 19 | 6 | 1 | 54-18 | 63 |
| 2. მანჩესტერ იუნ | 26 | 18 | 4 | 4 | 50-14 | 58 |
| 3. ჩელსი | 26 | 16 | 7 | 3 | 38-17 | 55 |
| 4. ევერტონი | 26 | 14 | 5 | 7 | 41-23 | 47 |
| 5. ლივერპული | 25 | 11 | 11 | 3 | 40-17 | 44 |
| 6. ასტონ ვილა | 26 | 12 | 8 | 6 | 48-34 | 44 |
| 7. მანჩესტერ ს | 26 | 12 | 8 | 6 | 34-29 | 44 |
| 8. პორტსმუთი | 26 | 11 | 8 | 7 | 36-26 | 41 |
| 9. ბლექბერნი | 26 | 10 | 9 | 7 | 32-33 | 39 |
| 10. ვესტ ჰემი | 25 | 10 | 7 | 8 | 30-23 | 37 |
| 11. ტოტენჰემი | 26 | 8 | 8 | 10 | 48-41 | 32 |
| 12. მიდლსბრო | 26 | 7 | 8 | 11 | 23-38 | 29 |
| 13. ნიუკასლი | 26 | 7 | 7 | 12 | 29-47 | 28 |
| 14. სანდერლენდი | 26 | 7 | 5 | 14 | 26-45 | 26 |
| 15. ბოლტონი | 26 | 6 | 7 | 13 | 26-35 | 25 |
| 16. ვიგანი | 26 | 6 | 5 | 15 | 24-42 | 23 |
| 17. რედინგი | 26 | 6 | 4 | 16 | 30-53 | 22 |
| 18. ბირმინგემი | 26 | 5 | 7 | 14 | 25-38 | 22 |
| 19. ფულჰემი | 26 | 3 | 10 | 13 | 25-44 | 19 |
| 20. დერბი | 26 | 1 | 6 | 19 | 13-55 | 9 |

**იტალია**

**სერია C1/A**

**ჩიგადელა-ფოჯა 0:2**

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

**ალემანია-კიოლნი 3:2**

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

**ბრესტი-ნანტი 1:2**

**შოტლანდიის თასი**

**მოზერველი-დანდი 1:2**

**ჩოგბურთი**

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| მატიო-ჟიკელი | 7:6, 7:6 |
| ნიემინენი-სიოდერლინგი | 3:6, 7:5, 5:7 |

**ATP. კოსტა დო სოიპე**

| | |
|---|---|
| მონტანიესი-დევილდერი | 6:4, 6:4 |
| ფონინი-ვანეკი | 6:3, 6:7, 7:6 |
| ვასალო არგელო-პაშანსკი | 4:6, 4:6 |

**ATP. დელრეი ბიჩი**

| | |
|---|---|
| ჯინეპრი-მონკური | 6:3, 6:0 |
| სერა-ნავარო პასტორი | 3:6, 6:3, 3:6 |
| კაპდევილე-ბოულსი | 6:2, 6:4 |
| გარსია ლოპესი-ოდესნიკი | 6:4, 6:2 |

**WTA. ანტვერპენი**

| | |
|---|---|
| ბამერი-შვედოვა | 0:6, 6:3, 2:6 |
| დეში-კნაპი | 6:7, 4:6 |
| ნა ლი-ლიხოვცევა | 6:1, 6:1 |
| პენგი-ვიკმაიერი | 0:6, 4:6 |

**WTA. ვინია დელ მარი**

| | |
|---|---|
| დომინგეს ლინო-ბენეშოვა | 6:2, 7:5 |
| ლუა-ჩეტკოვსკა | 2:6, 6:7 |
| შრუფი-ანი | 6:1, 6:1 |
| კორიტცევა-კასტანიო | 7:6, 6:1 |
| პარმენტიე-სალერნი | 5:7, 7:5, 6:3 |

# ციგურებით სრიალი

## მსოფლიო ჩემპიონატი. მრავალჭიდი

**ბერლინი (გერმანია)**

**მამაკაცები**

**500 მ.** 1. დენი მორისონი (კან) - 35.81; 2. შენი დევისი (აშშ) - 35.85; 3. სვენ კრამერი (ჰოლ) - 36.22; 4. ევგენი ლალენკოვი (რუს) - 36.27; 5. ჰავარდ ბოკო (ნორ) - 36.54; 5. ივან სკობრევი (რუს) - 36.54.

**5000 მ.** 1. სვენ კრამერი (ჰოლ) - 6:13.35; 2. ჰავარდ ბოკო (ნორ) - 6:17.64; 3. ჩად ჰედრიკი (აშშ) - 6:18.90; 4. შენი დევისი (აშშ) - 6:23.92; 5. ვოუტერ ოლდე ჰოიველი (ჰოლ) - 6:25.06; 6. კარლ ვერჰეიენი (ჰოლ) - 6:29.39.

**1500 მ.** 1. შენი დევისი (აშშ) - 1:45.93; 2. დენი მორისონი (კან) - 1:45.98; 3. ევგენი ლალენკოვი (რუს) - 1:46.39; 4. სვენ კრამერი (ჰოლ) - 1:46.47; 5. ჩად ჰედრიკი (აშშ) - 1:46.82; 6. ვოუტერ ოლდე ჰოიველი (ჰოლ) - 1:47.32.

**10000 მ.** 1. სვენ კრამერი (ჰოლ) - 13:09.06; 2. ჰავარდ ბოკო (ნორ) - 13:10.87; 3. ვოუტერ ოლდე ჰოიველი (ჰოლ) - 13:20.97; 4. კარლ ვერჰეიენი (ჰოლ) - 13:23.86; 5. შენი დევისი (აშშ) - 13:27.13; 6. ჩად ჰედრიკი (აშშ) - 13:32.69.

**საერთო ჩათვლა:** 1. სვენ კრამერი (ჰოლ) - 148.494; 2. ჰავარდ ბოკო (ნორ) - 149.823; 3. შენი დევისი (აშშ) - 149.908; 4. ჩად ჰედრიკი (აშშ) - 150.680; 5. ვოუტერ ოლდე ჰოიველი (ჰოლ) - 151.308; 6. დენი მორისონი (კან) - 153.077.

**ქალები**

**500 მ.** 1. კრისტინ ნესბიტი (კან) - 39.03; 2. ირენ ვიუსტი (ჰოლ) - 39.28; 3. ფეი ვანგი (ჩინ) - 39.57; 4. კრისტინა გროვსი (კან) - 39.64; 5. პაულიენ ვან დოიტეკომი (ჰოლ) - 39.65; 6. ეკატერინა ლობიშევა (რუს) - 39.70.

**3000 მ.** 1. პაულიენ ვან დოიტეკომი (ჰოლ) - 4:03.33; 2. მარტინა საბლიკოვა (ჩეხ) - 4:05.69; 3. კრისტინა გროვსი (კან) - 4:06.36; 4. ირენ ვიუსტი (ჰოლ) - 4:06.62; 5. კრისტინ ნესბიტი (კან) - 4:07.34; 6. დიან ვალკენბურგი (ჰოლ) - 4:09.49.

**1500 მ.** 1. ირენ ვიუსტი (ჰოლ) - 1:57.59; 2. პაულიენ ვან დოიტეკომი (ჰოლ) - 1:57.83; 3. კრისტინ ნესბიტი (კან) - 1:58.57; 4. კრისტინა გროვსი (კან) - 1:58.67; 5. ფეი ვანგი (ჩინ) - 1:59.31; 6. დანიელა ანშუტც-ტომსი (გერ) - 1:59.44.

**5000 მ.** 1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხ) - 6:59.26; 2. კრისტინა გროვსი (კან) - 7:06.22; 3. პაულიენ ვან დოიტეკომი (ჰოლ) - 7:07.10; 4. ირენ ვიუსტი (ჰოლ) - 7:09.54; 5. კლარა ჰიუზი (კან) - 7:09.55; 6. კლაუდია პეხშტაინი (გერ) - 7:11.45.

**საერთო ჩათვლა:** 1. პაულიენ ვან დოიტეკომი (ჰოლ) - 162.191; 2. ირენ ვიუსტი (ჰოლ) - 162.533; 3. კრისტინა გროვსი (კან) - 162.878; 4. კრისტინ ნესბიტი (კან) - 163.368; 5. მარტინა საბლიკოვა (ჩეხ) - 163.667; 6. დანიელა ანშუტც-ტომსი (გერ) - 164.886.

ჰოკეი

## ზედნიკი სიკვდილს გადაურჩა

კინაღამ ტრაგიკულად დასრულ-და რეგულარული ჩემპიონატის ბო-ლო ტურის მატჩი "ფლორიდა პან-ტერზსა" და "ბაფალო სეიბრზს" შო-რის. ფლორიდელთა ფორვარდი **რი-ხარდ ზედნიკი** სასწრაფოდ გადაიყ-ვანეს საავადმყოფოში, მას შემდეგ, რაც თავისი პარტნიორის **ოლი იო-კინენის** ციგურით ყელი გაიჭრა.

ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა იოკინენი **კლარკ მაკარტურის** ძა-ლისმიერი ილეთის მსხვერპლი გახ-და, ხოლო მის გვერდით მყოფმა ზე-დნიკმა კი, თავის მხრივ, თავი ვერ აარიდა იოკინენის ციგურს. დაზარა-ლებულმა თავისი ფეხით მიაღწია სა-თადარიგოთა სკამამდე, ხოლო შემ-დეგ, "ფლორიდას" სამედიცინო პერ-სონალის დახმარებით საავადმყო-ფოში აღმოჩნდა.

ბოლო ცნობებით, სლოვაკი ჰოკე-ისტის ჯანმრთელობის მდგომარეო-ბა სტაბილურია, თუმცა ზედნიკმა ბევრი სისხლი დაკარგა. თავად მატჩი დაახლოებით 20 წუთით შეწყდა, ვი-ნადან არენის ტექნიკური პერსონა-ლი ყინულს სისხლისგან წმენდდა.

## პიტსბურგმა ძირითადი მეკარე გაუშვა

"პიტსბურგ პინგვინზის" ხელმ-ძღვანელობამ ფარმ-კლუბში გაის-ტუმრა თავისი ძირითადი მეკარე **მარკ-ანდრე ფლერი**. ეს უკანასკნე-ლი ფეხის ტრავმის გამო დაახლოე-ბით ორი თვე ვერ თამაშობდა და ახ-ლახან ჩადგა მწყობრში. მაგრამ ფლ-ერი ჯერ შორს არის ოპტიმალური სპორტული ფორმისგან და ამის გა-მო, ძველი კონდიციების ალსადგენ-ად "პინგვინზმა" ის ამერიკის ჰოკეის ლიგაში (AHL) გაუშვა.

"პინგვინების" დამრიგებელს **მი-შელ ტერიენს** მიაჩნია, რომ ფლე-რისთვის ფარმ-კლუბში სამი-ოთხი მატჩის ჩატარება საკმარისი იქნება სპორტული ფორმის აღსადგენად, მანამდე კი, "პიტსბურგის" კარს კვ-ლავაც **ტაი კონკლინი** დაიცავს.

ჩოგბურთი

## სამპრასი არაფერს ნანობს

ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩო-გბურთელმა **პიტ სამპრასმა** გაზეთ San Francisco Chronicle-სთვის მიცე-მულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პროფესიულ სპორტში დაბრუნებას არ გეგმავს და სრულიადაც არ დარ-დობს, რომ კარიერა დაასრულა. ამ-ასთან სამპრასი, რომელმაც ექვსი წლის წინათ დაასრულა ჩოგბურთის თამაში, გააგრძელებს მთელს მსოფ-ლიოში მოქმედი წამყვანი ჩოგბურ-თელების წინააღმდეგ საგამოფენო მატჩებში მონაწილეობის მიღებას.

*"მე ეს ძალიან მომწონს. ნერვები მშვიდად გაქვს, ვინაიდან ეს არ არის ოფიციალური ტურნირები. მაგრამ ამავდროულად, ყოველთვის, როცა კორტზე გავდივარ მხოლოდ მოგება-ზე ვფიქრობ"*, - ამბობს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი.

რალი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**II ეტაპი. შვედეთის რალი**

1. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, "ფორდი") - 2:46.41,2; 2. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, "ფორდი") - +58,3; 3. ჯიჯი გალი (იტალია, "სტობარტ-ფორდი") - +2.23,20; 4. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, "სუბა-რუ") - +2.59,40; 5. ანდრეას მიკელსენი (ნორვეგია, "ფორდი") - +5.46,00; 6. დანი-ელ სორდო (ესპანეთი, "სიტროენი") - +7.13,10; 7. ტონი გარდემაისტერი (ფინე-თი, "სუძუკი") - +10.35,30; 8. იუპო ჰანინე-ნი (ფინეთი, "მიცუბიში") - +12.27,50.

საერთო ჩათვლა: 1. მიკო ჰირვონენი - 16 ქულა; 2-3. იარი-მატი ლატვალა, სე-ბასტიან ლოები (საფრანგეთი, "სიტროე-ნი") - 10; 4-5. პეტერ სოლბერგი, ჯიჯი გა-ლი - 9; 6. ატკინსონი - 6; 7. ფრანსუა დი-უვალი (ბელგია, "ფორდი") - 5; 8. ანდრეას მიკელსენი - 4.

კონსტრუქტორთა ჩათვლა: 1. ფორდი - 26 ქულა; 2-3. სტობარტ-ფორდი, სუბა-რუ - 16; 4. სიტროენი - 15; 5. სუძუკი - 5.

სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

# ერთი რბოლის ორი გამარჯვებული



ასეთი რამ სამთო თხილამურების მს-ოფლიო თასზე იშვიათად ხდება – სუპერ-გიგანტის მორიგი ეტაპი ერთბაშად ორმა მოთხილამურემ მოიგო. სესტრიერეს კან-დაჰარ ბანკეტას ფერდობზე გამოსვლა შვეიცარიელმა **ფაბიან სუტერმა** და ავს-ტრიელმა **ანდრეა ფიშბახერმა** აბსოლუ-ტურად იდენტური შედეგით დაასრულეს და ბუნებრივია, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ორივე ერთად ავიდა. საინ-ტერესოა, რომ ორივე მოთხილამურემ კა-რიერაში პირველად მოიგო მსოფლიო თა-სის რბოლა.

გამარჯვებულებთან 0.24 წამი წააგო სუპერგიგანტში მსოფლიო თასის კლასი-ფიკაციის ლიდერმა, გერმანელმა **მარია რიშმა**, ვინც მესამე ადგილს დასჯერდა. ეს კი საკმარისი გამოდგა ლიდერობის კი-დევ უფრო გასაზრდელად. მომდევნო სა-მი ადგილი ავსტრიელებმა დაიკავეს.

მოთხილამურეების ხშირი დაცემის გამო, რბოლა რამდენჯერმე შეწყდა. ყვე-ლაზე სერიოზული ინციდენტი კი ავსტ-რიელ **მარია ჰოლაუსს** შეემთხვა, რომე-ლიც ტრასის შუა ნაწილში დაეცა. მართა-ლია, წინასწარ დათვალიერებას სერიო-ზული ტრავმა არ გამოუვლენია, მაგრამ მოთხილამურე, რომელმაც რამდენიმე დღით ადრე, იტალიის კორტინა დ'ა-მპეცოში სუპერგიგანტის ეტაპის მოგება შეძლო, ტვინის შერყევის დიაგნოზით მა-ინც გადაიყვანეს ტურინის ჰოსპიტალში.

წაქცევას ვერც ამ სეზონის შვეიცარი-ელი სენსაცია, თინეიჯერი **ლარა გუტი** გადაურჩა. შეგახსენებთ, რომ გუტმა კორტინას სუპერგიგანტში მესამე ადგი-ლი დაიკავა და მაშინაც წაიქცა (ფინიში წაქცეულმა გადალახა). მომდევნო დღეს კი დაშვების რბოლაში ხუთეულში შევიდა.

წაიქცა კანადელი **ემილი ბრაიდონიც**, ვინც ერთი კვირით ადრე, შვეიცარიის სენ მორიცში შეძლო სუპერგიგანტის მოგება. არც გუტს და არც ბრაიდონს ტრავმა არ მიუღიათ. ტრავმას გადაურჩა კიდევ ერ-თი შვეიცარიელი, **ფრანცი აუფდენბლა-ტენი**, ვისი დაცემაც ყველაზე შთამბეჭ-დავი (თუ შეიძლება ასე ითქვას) გამოდგა.

ფიშბახერი 2004 და 2005 წლებში იუნი-ორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და მისგან, ადრე თუ გვიან, მსოფლიო თასზე გამარჯვებაც მოსალოდნელი იყო. სამაგიე-როდ, სუტერისგან ასეთ კარგ გამოსვლას არავინ ელოდა. მართალია, ჩქაროსნული ეტაპების მოწინავე 15-ეულში ის ხშირად გა-დის ხოლმე, მაგრამ კვარცხლბეკზე ადრე არასოდეს ასულა. აღსანიშნავია, რომ აქამ-დე ორივე მოთხილამურეს ხშირი ტრავმე-ბიც უშლიდა ხელს თავის გამოჩენაში.

*"მოტივაცია არასოდეს მაკლია, რადგან საკუთარ თავს ყოველთვის ვეუბნები, რომ მოთმინება ადრე თუ გვიან აუცილებლად ფასდება. უნდა ვთქვა, რომ ორივეს გაგვი-მართლა, როცა საასპარეზოდ ადრე გავე-დით, რადგან რბოლის დასაწყისში, ტრასა მოთელილი არ იყო და ამდენად, მეტი სიჩ-ქარის აკრეფის საშუალებას იძლეოდა"*, - ნარბოლევს განაცხადა ფიშბახერმა.

ამჯერად მხოლოდ მე-16 შედეგს დას-ჯერდა ამერიკელი **ლინდსი ვონი**, ვინც წინა დღეს დაშვებაში გაიმარჯვა და აბ-სოლუტურ კლასიფიკაციაში ლიდერი გახდა. ერთი ადგილით უკეთესი შედეგი ჰქონდა აბსოლუტურში მის მთავარ კონ-კურენტს, ავსტრიელ **ნიკოლ ჰოსპს**, ვინც სამი ქულით მეტიც მიიღო და ამერიკელს ლიდერობაშიც ჩაეზიარა.

*"წარმოდგენაც არ მაქვს, რა დამემარ-თა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ტრა-სა კარგად გავიარე, მაგრამ ტაბლოს რომ შევხედე, განწილებული დავრჩი. შემიძ-ლია ვთქვა, რომ ამ სეზონში ეს ჩემი ყვე-ლაზე უხეირო გამოსვლა იყო"*, - განაცხა-და ვონმა, ვინც მომდევნო ეტაპზე (სლა-ლომი), რომელსაც ხორვატიის ზაგრები უმასპინძლებს, ასპარეზობას არ აპირებს. ის შინ გაემგზავრება და ცოტას დაისვე-ნებს, რის შემდეგაც ბრიტანეთის კოლუმ-ბიაში (კანადა), უისტლერ მაუნტინის ჩქა-როსნულ ეტაპებზე იასპარეზებს.

**სესტრიერე (იტალია). ქალები. სუპერგიგანტი**

1-2. ფაბიან სუტერი (შვეიცარია) 1:21.06; 1-2. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 1:21.06; 3. მარია რიში (გერმანია) 1:21.30; 4. ალექსანდრა მაისნიცერი (ავსტრია) 1:21.44; 5. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:21.53; 6. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:21.58; 7. ნადია შტიგერი (შვეიცარია) 1:21.65; 8. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:21.90; 9. ანია პერსონი (შვედეთი) 1:21.96; 10. კრისტინ სპონრინგი (ავსტრია) 1:21.97...

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

1-2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 983; 1-2. ლინდსი ვონი (აშშ) 983; 3. მარია რიში (გერმანია) 881; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 827; 5. მარლის შილდი (ავსტრია) 767; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 750; 7. ანია პერსონი (შვედეთი) 697; 8. დენიზე კარბონი (იტალია) 619; 9. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 604; 10. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 584...

ველოსპორტი

ვარსკვლავი

# რასმუსენს დისკვალიფიკაცია ემუქრება

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი მოითხოვს, რომ მონაკოს ველოსპორტის ფედერაციამ დანიელი ველომრბოლის, **მიქაელ რასმუსენის** საქმის შესწავლა დაიწყოს. თუ ბრალი დაუმტკიცდა, რასმუსენს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ შარშან, დანიელ ველომრბოლს მისმა გუნდმა "რაბობანკმა" ტურ დე ფრანსი მაშინ დაატოვებინა, როცა ის სოლიდური უპირატესობით ლიდერობდა. ყველაფრის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ რასმუსენმა ტურის დაწყებამდე დოპინგ შემოწმებას რამდენჯერმე აარიდა თავი. ტურის წინ რასმუსენი სავარჯიშოდ მექსიკაში უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ის იტალიაში წავიდა, სადაც შემთხვევით ერთ-ერთ ყოფილ ველომრბოლს უნახავს. როცა გაიგო, რომ იმ დროს დანიელი მექსიკაში უნდა ყოფილიყო, იტალიელმა ყოფილმა ველომრბოლმა ეს ამბავი პრესას უამბო და სკანდალიც ამით დაიწყო.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ მიმართა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მონაკოს ველოსპორტის ფედერაციას, ეს იმის გამო მოხდა, რომ რასმუსენს პროფესიონალი ველომრბოლის ლიცენზია სწორედ მონაკოში მისცეს. სხვა ქვეყნის ლიცენზია კი ველომრბოლს იმის გამო დასჭირდა, რომ შარშან ურთიერთობა გაუფუჭდა დანიის ველოსპორტის ფედერაციასთან, რომელიც მას დოპინგის გამოყენებაში სდებს ბრალად.

დოპინგსაწინააღმდეგო წესებით, დოპინგ კონტროლისგან სამჯერ თავის არიდება დოპინგის გამოყენებაში მხილების ტოლფასია, რაც ორწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯება. შარშანდელი სკანდალის შემდეგ, რასმუსენი მუდმივად თავის მართლებაშია და ამბობს, რომ ტყუილი პირადი პრობლემების გამო თქვა, მაგრამ კავშირის დიდმოხელეები მაინც არ უჯერებენ და მის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევას იწყებენ.

ველომარათონები

# ტურის ორგანიზატორებს ვუელტას დაუფლება სურთ

არაა გამორიცხული, რომ მალე ველოსპორტის ორ დიდ რბოლას, ტურ დე ფრანსსა და ესპანეთის ტურს, იგივე ვუელტას, ერთმა ორგანიზაციამ უპატრონოს. საქმე ისაა, რომ ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ვუელტას ორგნიზატორობა ფრანგული ტურის ხელმძღვანელებს სურთ.

გაზეთ "მარკას" ცნობით, "უნიპუბლიკსა" (ვუელტას ორგანიზატორია) და "ამაური სპორტს ორგანიზასიონს" (ASO – ტურის ორგანიზატორი) შორის მოლაპარაკება თითქმის წელიწადია, მიმდინარეობს.

შეგახსენებთ, რომ ორივე კომპანიამ, ისევე როგორც იტალიის ტურის ორგანიზატორებმა, უარი თქვა პრო ტურის სერიაში მონაწილეობაზე. ფრანგული ტურის გარდა, ASO კიდევ არაერთი პრესტიჟული რბოლის ორგანიზატორია და არაა გამორიცხული, რომ მას თავისი ველოსპორტული სერიის ჩამოყალიბება სურდეს, რომლითაც პრო ტურს სერიოზულ კონკურენციას გაუწევს.

ცნობისთვის, იმისთვის, რომ დაკარგული რბოლების კომპენსირება შეძლოს, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი რამდენიმე ახალი რბოლის (რუსეთსა და ჩინეთში) ორგანიზებას აპირებს, რასთან დაკავშირებითაც მოლაპარაკებანი შარშან დაიწყო. მიმომხილველები არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მალე ჩინეთში ახალი ველომარათონი ჩატარდეს, რომელიც ურთულესი სამთო ეტაპებით იქნება გაჯერებული.

რაც შეეხება ვუელტას, ტრადიციულად, ის სეზონის მიწურულს ტარდება და როგორც წესი, რთული სეზონით გადაღლილი ვარსკვლავები მასზე გამოსვლისგან თავს იკავებენ ხოლმე. საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ ვუელტას მოჰყვება საგზაო ველოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი. ამიტომ, ველოსპორტის ვარსკვლავების დიდი ნაწილი სეზონს ისე გეგმავს, რომ ჯიროსა და ფრანგულ ტურზე გამოვიდეს, ვუელტაზე კი მეტწილად ესპანელი და შედარებით დაბალი დონის ველომრბოლები ასპარეზობენ.

გარდა ამისა, ესპანური რბოლა ძლიერ დაზარალდა იმით, რომ ბოლო ხანს მისი ჩემპიონები ხშირად ეხვევიან დოპინგ სკანდალებში. მათგან ყველაზე ხმაურიანი ის სკანდალი იყო, რომელშიც ვუელტას ოთხგზის ჩემპიონი, ესპანელი **რობერტო ერასი** გაეხვა. ამან ვუელტა მეოთხედ სამი წლის წინათ მოიგო, მაგრამ მალე დოპინგის (ერითროპოიეტინი) გამოყენებაში ამხილეს და ეს ტიტული ჩამოართვეს. სკანდალებს კი შედეგად მაყურებლისა და აქედან გამომდინარე, სპონსორთა ინტერესის კლება მოჰყვა, რაც ორგანიზატორებს უამრავ პრობლემას უქმნის.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), ბივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახალი კონსტიტუცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა